

**სამეცნიერო ჟურნალი**  
**LA REVUE SCIENTIFIQUE**  
**THE SCIENTIFIC JOURNAL**

**სამართალი**  
**და**  
**ეკონომიკა**

**LE DROIT ET L'ECONOMIE**  
**LAW AND ECONOMICS**

ISSN 1987-8303

ჟურნალი რეგულირდება ტექნიკური მის „ქართულ რეგულაციულ ჟურნალში“.

ბანთავსებულია ინტერნეტში [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net); [www.tech.org.ge](http://www.tech.org.ge)

<http://dspace.nplg.gov.ge>

№10

**საქართველო-GEORGIE-GEORGIA**

**თბილისი-TBILISSI-TBILISI**

**2019**

UDC(უკ) 34-33](051.2)

ს-216

**სამართლებრივი განვითარების  
ინსტიტუტი**

**L'INSTITUT DU DEVELOPPMENT DE DROIT  
INSTITUTE OF LEGAL DEVELOPMENT**

**მთავარი რედაქტორი**

**Redacteur en chef**

**Editor in chief**

**ქართლოს შრიდონაშვილი**

**Kartlos Pridonachvili**

**Kartlos Pridonashvili**

**რედაქტორები:**

**ნოდარ გრძელიშვილი**

**ვალერი მოდებაძე**

**Redacteurs:**

**Nodar Grdzelichvili**

**Valeri Modebadze**

**Editors:**

**Nodar Grdzelishvili**

**Valeri modebadze**

**მისამართი: 0101, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №16**

**Adress : Georgia, Vaja Pshavela ave. #16, Tbilisi, 0101**

**Phone : (+995) 790 476075; Mob: (+995) 595 508599; (+995) 599 903202**

**E-mail: law.economics@yahoo.com**

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ქართლოს ფრიდონაშვილი - ზოგიერთი მოსაზრება ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის პოლი ტიკურ ფუნქციასთან დაკავშირებით. .... 4 - 10
2. ნოდარ გრძელიშვილი - რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელობა საბიუჯეტო ფედერალიზმისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის ეფექტურობაზე ..... 11-23
3. ვალერი მოდებაძე - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების ანალიზი. .... 24 - 29
4. ნაზი გვარამია - ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები კლასიკური საბალანსო თეორიების პრიზმაში ..... 30 - 33
5. მედეა კოპალიანი - სანოტარო საქმიანობა ევროპაში და ნოტარიუსის კომპეტენციები უძრავი ქონების გარიგებებში (საფრანგეთის მაგალითი) ..... 34 - 42
6. Sopio Gelashvili - Managing and Implementing Ethics in Public Administration (Tools and Mechanisms) ..... 43 - 50
7. Valeri Modebadze - Factors that prevent the expansion of the European Union ..... 51 - 58
8. მარიამ ფრიდონაშვილი ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის გავლენა დასავლურ მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაზე ..... 59 - 67
9. კესო სუმბაძე - ემოციური ინტელექტი და ადამიანური რესურსების მართვა ... 68-73
10. ვალერი მოდებაძე - რამდენად მომგებიანია აშშ-სთვის ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა ..... 74 - 80
11. მირანდა მიქაძე, ეკატერინე ლომია - ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (საქართველოს მაგალითზე) ..... 81 - 89
12. ირინა ხატიაშვილი, თამარ შიუკაშვილი, ილონა საყვარელიძე - ანტიბიოტიკების კომპლექსური ნაერთის მოქმედება ზოგიერთ მიკროორგანიზმებზე .. 90 -94

**ზოგიერთი მოსაზრება ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის  
პოლიტიკურ ფუნქციასთან დაკავშირებით**

**ქართლოს ფრიდონაშვილი  
სამართლის დოქტორი**

ნორვეგიის სამეფოს მოქმედი კონსტიტუცია მიღებული იქნა 1814 წლის 17 მაისს. ნორვეგიის კონსტიტუციის მიღებას წინ უძღოდა დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ნორვეგიის მომავლის განსაზღვრა.

„დამფუძნებელი კრება შედგებოდა 112 წევრისაგან, რომელთაან 25 იყო ქალაქების, 33-არმიისა და ფლოტის, 54 - სასოფლო ოლქების წარმომადგენელი. მათგან 37 იყო მემამულე ფერმერი, 13 კომერსანტი, 5- მრეწველი, ხოლო 57 - თანამდებობის პირი.

კრება პირველად შეიკრიბა 1814 წლის 10 აპრილს ქალაქ ეიდსვოლში, პრინც კრისტიან-ფრედერიკის მიერ. ექვსი კვირის შემდეგ, 17 მაისს კრებამ დაამთავრა მუშაობა და საქმიანობა შეწყვიტა, მას შემდეგ, რაც კრისტიან-ფრედერიკი აირჩია ნორვეგიის მეფედ. ამავე დღეს იქნა მიღებული და ხელმოწერილი ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია, რომელიც დღემდე მოქმედებს. ამ კონსტიტუციას, მისი მიღების ადგილიდან გამომდინარე ხშირად უწოდებენ „ეიდსველის კონსტიტუციას“.<sup>1</sup>

ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია გამოირჩევა არა მხოლოდ თავისი სტრუქტურული წყობით, არამედ - იდეოლოგიური ფუნქციითაც. ვიდრე, უშუალოდ ვისაუბრებთ ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის იდეოლოგიურ თავისებურებებზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველი გავარკვიოთ კონსტიტუციების ფუნქციების არსში.

კონსტიტუციონალიზმში მეცნიერები გამოყოფენ კონსტიტუციის სამ უმთავრეს ფუნქციას, ესენია: „სამართლებრივი, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფუნქციები.

კონსტიტუციის სამართლებრივი ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, მისი, როგორც სამართლებრივი აქტის, ხასიათში ვლინდება, მისი მთავარი მიზანია, მოაწესრიგოს სახელმწიფოს ძირითად ორგანოთა და ინსტიტუტთა ურთიერთობები, განსაზღვროს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ძირითადი მიმართულებები, შექმნას სახელმწიფოს ერთიანი სამართლებრივი სისტემა და მართლწესრიგი. საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის სამართლებრივი მიზანია, გააკონტროლოს სახელმწიფო ორგანოთა ქმედებები და მოაქციოს ისინი სამართლებრივ ფარგლებში.

პოლიტიკური ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიკურ მოწყობასა და ქვეყანაში პოლიტიკური ძალების თანაფარდობას, ასევე პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, წესრიგსა და სამოქალაქო მშვიდობას.

... იდეოლოგიური ფუნქცია ვლინდება კონსტიტუციის იდეებსა და პრინციპებში, რომელსაც ძირითადი კანონი მიზნად ისახავს. კონსტიტუციაში აისახება მისი დამფუძნებლების, ხალხის მსოფმხედველობა, საზოგადოების მთავარი ღირებულებები და

<sup>1</sup> პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზრვარგარეტის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006 გვ. 490

ზნეობრივი ფასეულობები, მათ შორის: ადამიანის უფლებების პატივისცემა, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო და სხვ.

მეცნიერთა ნაწილი კონსტიტუციის დამფუძნებელ და მმართველობით ფუნქციებსაც ასახელებს, თუმცა ისინი გაცილებით ვიწრო შინაარსისაა, რომლებიც სამართლებრივი და პოლიტიკური ფუნქციების ჭრილშიც შეიძლება იყოს განხილული”<sup>2</sup>

ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის პირველივე თავში იკვეთება იდეოლოგიური ფუნქციების თავისებურება და განსაკუთრებულობა ევროპული, კლასიკური დემოკრატიული კონსტიტუციებისგან განსხვავებით. კერძოდ, ნორვეგიის კონსტიტუციის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „ნორვეგიის სამეფო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი და განუსხვისებელი სახელმწიფო. მისი მმართველობის ფორმა არის შეზღუდული და მემკვიდრეობითი მონარქია“. მეორე მუხლის მიხედვით კი: „სახელმწიფოს ყოველი მაცხოვრებელი ფლობს რელიგიური რწმენის თავისუფლებას .

სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია არის ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია. მისი აღმსარებელი მაცხოვრებლები ვალდებული არიან ამგვარად აღზარდონ საკუთარი შვილები.”

ნორვეგიის კონსტიტუციის მესამე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს... მეოთხე მუხლი მონარქს ავალდებულებს, რომ ყოველთვის აღიაროს ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგია, დაუჭიროს მხარი და გაუწიოს მფარველობა.

ნორვეგიის კონსტიტუციის მეხუთე მუხლი კი შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პოსტულატებთან და პრინციპებთან მოდის წინააღმდეგობაში, რადგანაც ამ მუხლის მიხედვით, „მეფის პიროვნება წმინდაა, იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს განსჯადობას და ბრალდებას. პასუხისმგებლობა ეკისრება მის საბჭოს.“

ევანგელისტურ - ლუთერანული კონფესიის კონსტიტუციით ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება და ამ რელიგიის აღმსარებელი მაცხოვრებლების კონსტიტუციით იმპერატიულად დავალდებულება ევანგელისტურ - ლუთერანულ დოგმატიკაზე შვილების აღზრდასთან დაკავშირებით, აგრეთვე მონარქის საკრალიზაცია, მისი პიროვნების როორც სიწმინდედ გამოცხადება და ამის საფუძველზე მეფის განთავისუფლება პასუხისმგებლობისა და განსჯადობისაგან, მონარქის, როგორც არმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის დავალდებულება კონსტიტუციური ნორმით, რომ ყოველთვის აღიაროს, დაუჭიროს მხარი და გაუწიოს მფარველობა ევანგელისტურ-ლუთერანულ რელიგიას ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს საფუძველებს დასკვნისათვის, რომ ნორვეგიის სამეფოს მმართველობის ფორმად მივიჩნიოთ თეოკრეტიული მონარქია, რადგანაც ნორვეგიის სამეფოში კონსტიტუციურ დონეზე ოფიციალურ რელიგიად აღიარებულია ევანგელისტურ-ლუთერანული კონფესია, ქვეყნის ძირითადი კანონის ნორმების ზედაპირული ანალიზითაც კი ვრწმუნდებით, რომ კონსტიტუცია მიზნად ისახავს რელიგიის გავლენის ზრდას ნორვეგიის სამეფოში საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში, რაც წარმოადგენს კიდევ ერთ არგუმენტს

<sup>2</sup> სამეცნიერო რედაქტორი: გიორგი გეგენავა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი 2015 წ. გვ.15

ნორვეგიის სამეფოს თეოკრატიულ მონარქიად მისაჩნევად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ზოგიერთი ავტორის მოსაზრება:

„არსებობს თეოკრატიული მონარქიების გარკვეული ჯგუფი (ვატიკანი, ბაჰრეინი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, ომანი, საუდის არაბეთი), რომელთა განმსაზღვრელი ნიშან-თვისება სახელმწიფოს მეთაურის განსაკუთრებულ სტატუსს უკავშირდება. იგი, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურია, ერთდროულად გარკვეული რელიგიური კულტის მეთაურადაც ითვლება. ამ კრიტერიუმის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი, ფორმალურად, თეოკრატიული მონარქიის ნიშნებს შეიცავს, ვინაიდან მეფე ანგლიკანურ ეკლესიასაც მეთაურობს.“<sup>3</sup>

აქვე, ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ნორვეგიის სამეფოს მონარქი სახელმწიფოს მეთაურთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობასაც ითავსებს ბრიტანეთის მონარქისგან განსხვავებით. შესაბამისად, თუ ბრიტანეთის თეოკრატიულ მონარქიად მიჩნევა დასაშვებია, მაშინ ნორვეგიის სამეფო ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს თეოკრატიულ მონარქიას. ამ თეზისს ამყარებს ნორვეგიის კონსტიტუციის კიდევ რამდენიმე მუხლი. კერძოდ, მეთექვსმეტე მუხლის მიხედვით, მეფე წყვეტს ყველა ოფიციალურ საეკლესიო და ღვთისმსახურების, რელიგიური საკითხების შესახებ ყველა ღონისძიებისა და შეკრების საკითხებს და თვალყურს ადევნებს, რომ რელიგიის მასწავლებლებმა დაიცვან მათთვის დადგენილი წესები. კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლი კი მონარქს ანიჭებს უფლებამოსილებას სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩიოს და დანიშნოს ყველა სასულიერო მოსამსახურე. მკითხველს აქვე გვინდა შევახსენოთ, რომ ეს ის სახელმწიფო საბჭოა, რომელიც მონარქის შესაძლო გადაცდომებზე პასუხს აგებს, რადგანაც კონსტიტუციით ნორვეგიის მეფის პიროვნება შერაცხულია სიწმინდედ.

ნორვეგიის მმართველობითი სისტემის უმაღლეს დონეზე რელიგიური დოგმატიკა იმდენად ღრმად არის შეჭრილი, რომ ერთგვარ დისკრიმინაციასაც კი აკანონებს კონსტიტუციის მეთორმეტე მუხლი, რომლის მიხედვითაც „...სახელმწიფო საბჭოს ნახევარზე მეტი უნდა იყოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის აღმსარებელი“ ... და ოცდამეშვიდე მუხლი „...სახელმწიფო საბჭოს წევრი, რომელიც არ არის სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიის მიმდევარი, არ შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფო რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში“. მოცემული კონსტიტუციური ნორმა შლის ყოველგვარ ზღვარს საჯარო ხელისუფლებასა და ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიას შორის და უმაღლეს საჯარო პოლიტიკური თანამდებობის პირს ართმევს თანასწორობის უფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებას და აქცევს მეორეხარისხოვან მოქალაქედ განსხვავებული რელიგიური მრწამსის გამო, რაც არსებითად არღვევს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიული თეორიის ფუნდამენტალურ პოსტულატებს.

კონსტიტუციური ნორმებით სახელმწიფოს ჰიპოთეტური ჩარევისგან დაცულია ნორვეგიის ეკლესიის მატერიალური და ფინანსური დამოუკიდებლობა, აღიარებულია მისი, თუ შეიძლება ითქვას, საფინანსო ხელშეუხებლობის პრინციპი. კერძოდ, ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის 106 - ე მუხლში ნათქვამია, რომ „საეკლესიო საჭიროებისათვის

<sup>3</sup> ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008წ. გვ. 119.

განკუთვნილი ქონების გაყიდვიდან შემოსავალი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ სასულიერო საჭიროებებისა და რწმენის განვითარებისათვის“...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის იდეოლოგიური ფუნქციის ფორმირებაში განსაზღვრულ როლს თამაშობს რელიგიური დოგმატიკა და, რომ ნორვეგიის ევაგელისტურ-ლუთერანული ეკლესია წარმოადგენს ნორვეგიის პოლიტიკური სისტემის იდეოლოგიურ ღერძს. თუმცა, თანამედროვე კრიტერიუმებით დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციის იდეოლოგიურ ფუნქციას აყალიბებს და უპირატესად განამტკიცებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის კონსტიტუციაში ასახვა და რაღა თქმა უნდა, მისი რეალიზება რეალურ ცხოვრებაშიც.

ადამიანის ძირითადი უფლებების თემა მოცემულია ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის ბოლო თავში - „ზოგადი დებულებები“. კონსტიტუციის ამ ნაწილში თავმოყრილია ადამიანის სამოქალაქო უფლებები, თანასწორობის უფლებები და საპროცესო უფლებები. თვალსაჩინოებისათვის მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს კონსტიტუციიდან:

„მუხლი 99. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. უსაფუძვლო დაპატიმრების ან უკანონო დაკავებისას დამკავებელი პირი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე.

მთავრობას არა აქვს უფლება სამხედრო ძალები გამოიყენოს სახელმწიფოს მოსახლეობის წინააღმდეგ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როდესაც რომელიმე შეკრება არღვევს საზოგადოებრივ მშვიდობას და დაუყოვნებლივ არ დაიშლება მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ხელისუფლების ორანოები სამჯერ ხმამაღლა წაიკითხავენ მასობრივი უწყსრიგობის შესახებ მუხლებს.

მუხლი 100. აღიარებულია სიტყვის თავისუფლება. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სასჯელს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შეხედულებების მიღებისა და გაცემისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ვალდებულება ამართლებს სიტყვის თავისუფლების მიზნებს, სახელდობრ, სამართლიანობის დემოკრატიისა და პირის მიერ აზრის თავისუფალ გამოხატვას. ამგვარი სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონით.

ყველას შეუძლია გამოთქვას აზრი სახელმწიფო მოწყობასა და სხვა საკითხებზე. შეიძლება დადგენილ იქნეს ამ უფლების მხოლოდ ნათლად განსაზღვრული შეზღუდვა, როდესაც განსაკუთრებით სამართლიანი შეხედულებით იგი აბალანსებს სიტყვის თავისუფლების მიზანს.

წინასწარი ცენზურა და სხვა შემზღუდავი ღონისძიებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი აუცილებელია ბავშვთა და ახალგაზრდების კინოსგან მავნე ზემოქმედებისაგან დასაცავად.

ყველას აქვს სახელმწიფო და მუნიციპალური ადმინისტრაციის დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება, ასევე სასამართლო და არჩევით ორგანოთა სხდომებზე დასწრების უფლება. კანონმა შეიძლება განსაზღვროს ამ უფლებების შეზღუდვის შემთხვევები პირად უფლებასთან დაკავშირებით ან სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებით.

სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაა აწარმოონ ღია და გამჭვირვალე საჯარო დიალოგი“.

ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია ადგენს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობას შემდეგი მუხლებით:

„არავის არ აქვს უფლება დაადგინოს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლების შეზღუდვა.

... მუხლი 104. არ შეიძლება დაირღვეს უძრავი და მოძრავი ქონების უფლება.

მუხლი 105. თუ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ აუცილებელია ვინმეს მოძრავი ან უძრავი ქონების საზოგადოებრივი სარგებლობისათვის გამოყენება, მისი მესაკუთრე სახელმწიფო ხაზინიდან იღებს სრულ კომპენსაციას“

ნორვეგიის სამეფოს ძირითადი კანონის 109-ე, 110-ე, 110-ე ა, 110-ე ბ, 110-ე გ და მუხლებით კონსტიტუციურ დონეზე განმტკიცებულია ადამიანის თანასწორობის კულტურული და სოციალური უფლებები.

ამგვარად, როგორც ვხედავთ ადამიანის ძირითადი უფლებები ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის იდეოლოგიური ფუნქციის ფორმირებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანის სამოქალაქო უფლებები კონფლიქტში მოდიან კონსტიტუციაში ასახულ რელიგიურ ნორმებთან, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური სისტემისათვის იმპერატიულად განსაზღვრავენ იდეოლოგიურ პლატფორმას მიმდინარე კანონმდებლობისათვის.

ადამიანის ეკონომიკური თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები ვფიქრობთ თავისუფალია რელიგიური დოგმატიკის პრიმატისგან ნორვეგიის კონსტიტუციაში, რაც ჩვენი აზრით, ნაკარნახევა საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე. თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში ზოგიერთი ავტორი ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიტიკურ დემოკრატias და საბაზრო დემოკრატias. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოში შეიძლება ერთდროულად თანაარსებობდეს ავტოკრატიული, ან რუდიმენტული დემოკრატის მქონე პოლიტიკური მმართველობა განვითარებული საბაზრო დემოკრატით, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ჩარევა ბაზრის რეგულირებაში გამართლებულია თუ ეს გამომდინარეობს თავისუფალი და თანასწორი საკონკურენციო გარემოს უზრუნველყოფის საჭიროებიდან და ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის, ე.ი. პოზიტიური თვალსაზრისით. აღნიშნულის დასტურად, შეიძლება მოვიშველიოთ სინგაპურის, მონაკოს და რალა თქმა უნდა, თვით, ნორვეგიის მაგალითიც კი.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის იდეოლოგიურ ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებაში და ხელისუფლების ყველა დონეზე ევანგელისტურ-ლუთერანული კონფესიის ღირებულებების განმტკიცება და აქცევს მას ეროვნულ იდეოლოგიად, რომელიც კონფლიქტში მოდის ადამიანის ძირითადი უფლებების გარკვეულ სპექტრთან და ზოგიერთ შემთხვევაში ხელყოფს კიდევ მათ, გარდა სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა, რომელთა დაცვა და უზრუნველყოფა წარმოადგენს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების საწინდარს ეკონომიკის გლობალიზაციის მიმდინარე პროცესში.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006 წ.
2. სამეცნიერო რედაქტორი: გიორგი გეგენავა, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი 2015 წ.
3. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008წ.
4. ნორვეგიის კონსტიტუცია, პასუხისმგებელი რედაქტორი ვასილ გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III, თბილისი 2006 წ.
5. Jacques ATTALI, une brève histoire de l'avenir, Paris, 2017.

## ზოგიერთი მოსაზრება ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის პოლიტიკურ ფუნქციასთან დაკავშირებით

ქართლოს ფრიდონაშვილი  
სამართლის დოქტორი

### რ ე ზ უ მ ე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში განხილულია ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას დადგინდეს ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუციის იდეოლოგიური ფუნქციის რეალური არსი და მიზნები.

ავტორის აზრით, ნორვეგიის სამეფოს კონსტიტუცია აფუძნებს თეოკრატიულ მონარქიას და კონსტიტუციის პოლიტიკურ ფუნქციას წარმოადგენს დაიცვას და განამტკიცოს ევანგელისტურ-ლუთერანული კონფესიის ღირებულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელისუფლების ყველა დონეზე, რომელიც შედეგობრივი თვალსაზრისით, გვევლინება კონსტიტუციით დაცულ ეროვნულ იდეოლოგიად, რაც საბოლოო ჯამში კოლიზიაში მოდის ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ სპექტრთან, გარდა სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებებისა, რომლის დაცვაც განპირობებულია თავისუფალი საზოგადოებრივი ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებლობით.

**Some Ideas about Political Functions of the Constitution of the Kingdom of Norway**

**Kartlos Pridonashvili**

**Doctor of Law**

**A B S T R A C T**

This publication studies some articles of the constitution the Kingdom of Norway which enables to determine the real essence and objectives of the ideological function of the constitution of the Kingdom of Norway.

According to the author, the constitution of the Kingdom of Norway establishes a theocratic monarchy and the constitution has the function of defending and promoting the values of the Evangelical Lutheran confession in public life and at all levels of government. Consequently, this process constitutes a national ideology which is also protected by the constitution and finally this process collides with some conflicts of certain norms of human rights and freedoms except socio-economic rights as the protection of these rights is guaranteed by the proper functioning of a market economy.

**Quelqueques considération de la Constitution du Royaume de Norvège**

**Par rapport à la fonction politique**

**Kartlos Pridonashvili**

**Docteur en droit**

**R E S U M E**

Cette publication traite des articles de la constitution du Royaume Norvège, qui permettent de déterminer l' essence réelle et les objectifs de la fonction idéologique de la constitution du Royaume Norvège .

Selon l' auteur, la Constitution du Royaume de Norvège instaure une monarchie théocratique et la Constitution a pour fonction de défendre et de promouvoir les valeurs de la confession évangélique-luthérienne dans vie publique et à tous les niveaux de gouvernement, qui en conséquence constitue une idéologie nationale protégée par la Constitution. Ce qui finit par la collision avec un certain gamme de droits de l' homme et de libertés, outre les droits et libertés socio-économique, dont la protection de celle-ci est conditionnée par la nécessité du bon fonctionnement d' une économie de marché.

**რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების  
მნიშვნელობა საბიუჯეტო ფედერალიზმისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის  
ეფექტურობაზე**

**ნოდარ გრძელიშვილი  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი  
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი**

მმართველობის დეცენტრალიზაცია, რომელიც თვითმმართველობაზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას უკავშირდება, სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტის – ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას გულისხმობს. სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა მმართველობის სისტემის რეფორმირების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის ტრანსფორმაცია რადიკალურ ცვლილებებს იწვევს რეგიონულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიმართულება მეთოდებისა და ინსტრუმენტების გარკვეულ ნაკრებს ფლობს, რომლებიც ტერიტორიული განვითარების ამოცანების გადაწყვეტისკენაა მიმართული.

სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებისას, გასათვალისწინებელია, როგორც რეგიონების დამოუკიდებელი განვითარებისკენ სწრაფვა, ისე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში მათი კოოპერაციისაკენ ლტოლვა. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება.

ასეთი მიდგომა, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ლოკალური (რეგიონული, ადგილობრივი) ამოცანების გადაჭრას უზრუნველყოფს.

ძირითადი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანებია:

- ტერიტორიული ერთიანობისა და ქვეყნის სტაბილურობის ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება;

- მრავალწობიანი ეკონომიკისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება;
- რეგიონების განვითარების დონეებს შორის განსხვავების შემცირება;
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება.

- რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე კი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების პრობლემა დგას, კერძოდ:

- ტერიტორიების საკუთარი ეკონომიკური ბაზის განვითარება;
- კომპლექსურობისა და რაციონალურობის ეკონომიკური სტრუქტურის უზრუნველყოფა;

- რეგიონული და რეგიონთაშორისი ბაზრების ფორმირება;
- მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის დონის ამაღლება.
- რეგიონებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების დონეზე ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ურთიერთქმედების მექანიზმი, რეგულირების ორგანიზაციულ-

სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ მეთოდებზე იგება. იგი ხელისუფლებისა და მეურნე სუბიექტების დონეებს შორის როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ურთიერთობას გულისხმობს. ასე რომ, ურთიერთკავშირების მიზანია:

- რეგიონული მეურნეობის კონკურენტუნარიანი სექტორების განვითარებისათვის აუცილებელი შესაძლებლობების შექმნა;
- შრომის საერთაშორისო და ეროვნული დანაწილების ფარგლებში რეგიონების მყარი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობისთვის სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ცხოვრების სოციალური სტანდარტების შექმნა;

აღნიშნული მექანიზმის პრიორიტეტები რეგიონების ეკონომიკის თავისებურებებით, ტერიტორიული და დარგობრივი შრომის დანაწილებაში მათი ადგილით, წარმოების სპეციალიზაციითა და მოსახლეობის მოთხოვნილებებით განისაზღვრება.

ტერიტორიული განვითარების რეგულირება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით ხდება, რომლის ბერკეტებია როგორც ტრადიციული (ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სხვ.), ისე სპეციფიკური მეთოდები და ინსტრუმენტები. ზემოქმედების რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია რეგიონთაშორის და რეგიონულ პროგრამებში, გრძელვადიან გეგმა-პროგნოზებსა და ეკონომიკურ შეთანხმებებში, რომლებიც კონკრეტული ტერიტორიის ინტერესებს ეხება. ამასთან, მეტად ინტესიურად გამოიყენება ზემოქმედების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები.

რეგიონის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პრინციპები, მეთოდები და მექანიზმები რეგიონის საბიუჯეტო მოწყობის სპეციფიკასა და მის ტერიტორიულ რგოლებს შორის სახსრების ნაწილის გადანაწილებასთანაა დაკავშირებული. არსებითია, მეურნე ტერიტორიის ეკო-ნომიკური ბაზის როლიც.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურების დონეებსა და ერთეულებს შორის ფინანსური ნაკადების ფორმირება და განაწილება. საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობების ახალი მოდელების ფორმირებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო ფედერალიზმს.

საბიუჯეტო ფედერალიზმი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების და მათი ურთიერთრეგულირების მექანიზმია. „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ სხვადასხვა ავტორების მიერ არაერთგვაროვნად განიმარტება. ყველაზე ხშირად ამ ტერმინის გამოყენებით ახასიათებენ ფინანსური დეცენტრალიზაციისა და ტერიტორიული წარმონაქმნების თვითმყოფადობის სხვადასხვა ასპექტებს. აკადემიკოსი ა. გრანბერგი მიიჩნევს რა სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ქმედით ბერკეტად, საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას - „საბიუჯეტო ფედერალიზმს“ ახასიათებს, როგორც ცალკეული დონის ბიუჯეტების ავტონომიურობისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების შეხამებას.

საგულისხმოა ცნობილი პროფესორის ვლ. პაპავას თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავს, რომ „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის

ცენტრალურ („ცენტრსა„) და ტერიტორიულ („რეგიონებს„) სახელისუფლო სტრუქტურებს შორის.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ნ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება. საბიუჯეტო ფედერალიზმი ეკონომიკური ცნებაა, რომელიც ახასიათებს ბიუჯეტის მრავალდონიან სისტემას. ჩვეულებრივ, მსოფლიო პრაქტიკაში განიხილავენ ხელისუფლების სამ დონეს: ცენტრალურს, რეგიონულს და ადგილობრივ ორგანოებს. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი საფინანსო გეგმა, ბიუჯეტი და კონკრეტულ ქვეყანაში დადგენილი წესისამებრ არეგულირებს მის შემოსავლებსა და გასავლებს. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ცალ–ცალკე ფუნქციონირება და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ნორმებს იწოდება საბიუჯეტო ფედერალიზმად. ამ საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინს ჩვენ მართებულად მივიჩნევთ.

„საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მრავალსპექტიანი რთული მექანიზმია, რომლის ძირითადი მიზანია „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის ფუნქციონირება და უფლებამოსილებათა გამიჯვნის კვალობაზე, (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების“ დელეგირების გათვალისწინებით) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამი ძირითადი ფაქტორი:

1. ხელისუფლების ყველა დონეს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა საფინანსო რესურსების განკარგვაზე;
2. სხვადასხვა სახელისუფლებო დონეებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის, მათი შესაბამისი საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა;
3. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დისბალანსის შერბილება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტების გამოყენებით, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმების ფარგლებში.

რეგიონული სამართლიანობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ტიპის ამორჩევაზე. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ორი ძირითადი ტიპი: კონკურენტული (დეცენტრალიზაციის) და კოოპერაციული.

საბიუჯეტო ფედერალიზმის კონკურენტული ტიპი მეტწილად გავრცელებულია განვითარებული ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში და მმართველობითი დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით, ასევე, რეგიონული ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობითა და სახელმწიფო როლის სისუსტით გამოირჩევა.

საბიუჯეტო ფედერალიზმის კოოპერაციული ტიპი უფრო მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში და რეგიონთაშორისი დისპროპორციების გამოთანაბრების პროცესში ცენტრალური ხელისუფლების შედარებით აქტიური მონაწილეობით ხასიათდება; აგრეთვე, გამოირჩევა რეგიონში საფინანსო რესურსების წარმართვაზე „ცენტრის“ მაღალი პასუხისმგებლობით და მთლიანობაში, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

საბიუჯეტო ფედერალიზმის, როგორც რეგიონული და რეგიონთაშორისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტის დახმარებით, მნიშვნელოვანი ამოცანები წყდება, სახელდობრ:

- ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილებისას რაციონალური და დიფერენცირებული მიდგომის უზრუნველყოფა. ამასთან, გასათვალისწინებელია რეგიონული თავისებურებები (რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი, დემოგრაფიული მახასიათებლები, მოსახლეობის ცხოვრების პირობები, საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობები და სხვ.);

### ფისკალური დეცენტრალიზაციის კომპონენტები და კრიტერიუმები

აუცილებელი პირობები	სასურველი პირობები
არჩეული ადგილობრივი საკრებულო და აღმასრულებელი (მერი).	სესხის აღების უფლება.
საბიუჯეტო დამოუკიდებლობა.	არამიზნობრივი ტრანსფერები ხელისუფლების უფრო მაღალი დონეებისგან.
ადგილობრივი თვითმართველობის ფართო ხარჯვითი უფლებამოსილებები, ფუნქციები და კომპეტეციები.	თავისუფლება ცენტრალური ხელისუფლებისგან ხარჯვით ნაწილში.
ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო უფლებამოსილებების თანაფარდი დისკრეცია საკუთარი შემოსავლების მობილიზებაში.	
თვითმმართველობებისათვის საკუთრებაში გადაცემული ქონება.	
„მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვა“ (Hard Budget Constraint).	
მოსახლეობის რეალური ჩართულობა და გამჭვირვალობა.	

- რეგიონების ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდისათვის, ინსტიტუციონალური გარდაქმნებისათვის, პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის პირობების შექმნა. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების რეგულირება, მიზნებისა და ამოცანების ხარჯების შესაბამისობის უზრუნველყოფა;

- რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პრინციპების შესაბამისად ფინანსური სახსრების გადანაწილება.

## ფისკალური დეცენტრალიზაციის კომპონენტები

საკუთარი გადასახადები	საგადასახადო ბაზა და განაკვეთი მთლიანად ადგილობრივი მთავრობის კონტროლის ქვეშ
ერთობლივი გადასახადები	საგადასახადო ბაზა ეროვნულ დონეზე და განაკვეთი ადგილობრივი მთავრობის კონტროლის ქვეშ
არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები და გადასახდელები)	სესხები, გრანტები და სხვადასხვა ტიპის გადასახდელები და მოსაკრებლები, რომლის ადმინისტრირებასაც ადგილობრივი მთავრობა ახდენს
ზიარი გადასახადები	საგადასახადო ბაზა და განაკვეთი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ საგადასახადო შემოსავლის ადგილზე დატოვება ფიქსირებული პროპორციით
ძირითადი გრანტები	ცენტრალური მთავრობა ანებს ადგილობრივი მთავრობისთვის მისაცემი ტრანსფერის ოდენობას, ხოლო ადგილობრივი მთავრობა მას ხარჯავს თავისი საჭიროებების შესაბამისად, ცენტრალურ მთავრობასთან შეუთანხმებლად
სპეციალური გრანტები	ცენტრალური მთავრობა ანებს ადგილობრივი მთავრობისთვის მისაცემი ტრანსფერის ოდენობას, მაგრამ ადგილობრივი მთავრობა მას ხარჯავს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პროგრამებისთვის

დეცენტრალიზაციის სტრატეგია ეფუძნება და ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით: 1) კომპლექსურობა და სისტემურობა - ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პროცესის ურთიერთგანმაპირობებელი და ურთიერთდამოკიდებული ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური, მატერიალური, სოციალური და სხვა ფაქტორების ერთიანი სისტემური და კომპლექსური აღქმა, რომელთა ფუნქციონირება მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისკენ; 2) სუბსიდიარობა - საჯარო ფუნქციების განხორციელება თუ არ დასტურდება ამ უფლებამოსილებათა უფრო მაღალ დონეზე განხორციელების მეტი ეფექტიანობა და ეკონომიურობა, უპირატესად უნდა დაეკისროს მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლების ორგანოს ამ ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით; 3) ეტაპობრიობა, თანმიმდევრულობა და სინქრონულობა - დეცენტრალიზაციის განხორციელება ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ ეტაპობრივ განვითარებას, რომელიც ხორციელდება 9 თანმიმდევრულად, სინქრონულად სხვადასხვა სფეროებში; 4) ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიურობა - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები და შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონით დადგენილ ფარგლებში დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე; გააჩნდეთ გადაწყვეტილების დაგეგმვისა და მიღების პროცესში ფართო დისკრეცია და სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ, აგრეთვე, ნებისმიერი იმ საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს; 5) სამართლიანობა - ყველა თვითმმართველი ერთეულისთვის მათზე დაკისრებული უფლებამოსილების განსახორციელებლად თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების გარანტირება; 6) უფლებამოსილების სისრულე და ექსკლუზიურობა - ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება უნდა იყოს სრული და ექსკლუზიური.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საკუთარ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება შეიზღუდოს ან გასაჩივრდეს ხელისუფლების სხვა ორგანოს მიერ გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა; 7) შესაბამისობა და თანაბარზომიერება - თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემული ფინანსური და მატერიალური რესურსები უნდა შეესაბამებოდეს ორგანული კანონით დადგენილ თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს; 8) განვითარების გათანაბრება და ფინანსური სოლიდარობა - სახელმწიფო უზრუნველყოფს ფინანსურად სუსტი თვითმმართველ ერთეულების დახმარებას საფინანსო რესურსების სამართლიანი გადანაწილების მექანიზმის მეშვეობით; 9) მონაწილეობითი დემოკრატია - მოქალაქეთა თვითორგანიზებულობის ფორმების სტიმულირება, თვითმმართველობის უშუალო განხორციელებისა და მონაწილეობითი დემოკრატის ფორმების ხელშეწყობა; 10) ინსტიტუციური დიალოგი - სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელმისაწვდომი მეთოდებითა და გონივრულ ვადებში უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინფორმირებულობასა და მათთან ორგანული კანონით დადგენილი წესით კონსულტაციების ჩატარებას დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება თვითმმართველ ერთეულს ან უკავშირდება დეცენტრალიზაციის პროცესს; 11) გამჭვირვალობა და საჯაროობა - დეცენტრალიზაციის პროცესის დაგეგმვაში, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული პირისათვის, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ამ პროცესებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის გარანტირება. 12) გენდერული თანასწორობა - დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების 10 პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა

საბიუჯეტო ფედერალიზმზე დამყარებული საბიუჯეტო ურთიერთობები ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების ფინანსური მექანიზმის არსს ასახავენ. ამასთან, მას რეგიონთაშორისი ურთიერთობების არაპირდაპირ, ირიბად (მათი შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირებით) რეგულირებისთვისაც იყენებენ.

საბიუჯეტო ფედერალიზმის რეალიზაცია არა მარტო საქართველოში, არამედ მრავალ სხვა ქვეყანაშიც უამრავ სიმწელესთანაა დაკავშირებული, სახელდობრ: რთულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა, საბიუჯეტო სახსრების განაწილებასა და გადანაწილებაში სამართლიანობის დაცვა, რეგიონების ინტერესების ერთმანეთთან და ცენტრთან შეთანხმება. საბიუჯეტო რეგულატორები, ხშირად, ეკონომიკური ზე-მოქმედების საშუალებიდან ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ბერკეტად იქცევა.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების მთავარი ამოცანაა რეგიონების დამოუკიდებლობასა და ცენტრის დახმარებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. იდეალურ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების განაწილების საერთო სქემა და იგი რეგიონული განვითარების ეკონომიკურ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს.



არსებითია, რომ საქართველოში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები ხელისუფლების ორგანოების სუბიექტური გავლენისაგან დამოუკიდებელი და, გარკვეული ზომით, ავტომატური გახდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გაანალიზებისას, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფაქტორს.

საქართველოს რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებით, შესაძლებელია, გამოვავლინოთ ტერიტორიების დონეებს შორის არსებული დიფერენციაციების თავისებურებები და ტენდენციები, მათი სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონტექსტში. აქედან გამომდინარე კი, შესაძლებლობა მოგვეცემა დავსვათ ობიექტური აქცენტები, რაც, თავის მხრივ, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი დონეების გამოთანაბრების ამოცანების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური განლაგების პრობლემამ. მხედველობაში გვაქვს რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიდა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და სხვ.

რეგიონების სოციალური მდგომარეობის ანალიზის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ფაქტორია მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის გათვლა.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანია დამკვიდრდეს დეპრესიული რეგიონების გამოკვეთისა და მათთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის მეთოდური მიდგომა.

საბიუჯეტო ფედერალიზმი ფინანსური ნაკადების მოძრაობის შემდგომ დეცენტრალიზაციასა და ტერიტორიულ განვითარებაში ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტების როლის ამაღლებას გულისხმობს.

ადგილობრივი ბიუჯეტების საფინანსო ბაზის განმტკიცება შეუძლებელია ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის გარეშე, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის სახსრების ობიექტურ განაწილებასთან.

საქართველოს პირობებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხელისუფლების სხვადასხვა დონის ერთობლივი გაძღოლის საკითხები. როგორც წესი, ხელისუფლების ძირითადი დაპირისპირება წარმოიშობა არა ისეთ საკითხებზე, თუ რამდენი ფინანსური რესურსი რა მიზნით იქნება მიმართული, არამედ თუ კონკრეტულად ვინ განახორციელებს მის განკარგვას.

საბიუჯეტო ფედერალიზმის გამოყენებისას, გასათვალისწინებელია ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკა. იგი ორი, საპირისპირო მიმართულების ფაქტორით განისაზღვრება, კერძოდ:

- ერთი მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირების მექანიზმები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის თვითკმარისობის პრინციპის რეალიზაციას;
- მეორე მხრივ, ადგილობრივი ბიუჯეტები ერთიანი საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც, ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა

სახელმწიფოთა კონსტიტუციებში ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებათა განსაზღვრის საყოველთაო პრაქტიკით იზღუდება.

• ამგვარად, ადგილობრივი ბიუჯეტები განკერძოებულია (ფინანსური ავტონომია აქვთ), მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო უფლებამოსილება მაინც სახელმწიფო კანონმდებლობით განისაზღვრება. ამას ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურაც ადასტურებს, რომელშიც შედის:

- ადგილობრივი გადასახადები;
- არასაგადასახადო შემოსავლები;
- სუბსიდიები;
- სესხები;
- დოტაციები ცენტრალური ბიუჯეტიდან.

დადებით მოვლენად მიგვაჩნია 2012 წლიდან საქართველოს თვითმმართველი ერთეულების გადასვლა პროგრამულ ბიუჯეტებზე. საბიუჯეტო პროგრამების, პროექტების, დაგეგმილი ღონისძიებების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების არსებობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას უფრო გამჭვირვალეს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის, საშუალებას მისცემს საზოგადოებას, რეალურად შეაფასოს არჩეული ხელისუფლების ეფექტიანობა.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად კვლავ ფისკალური დეცენტრალიზაცია რჩება. 2015-2017 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შეფარდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებთან მიმართებით შემცირდა. კერძოდ, 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 23,4%-ს, 2016 წელს – 22%-ს, ხოლო 2017 წელს – 20,1%-ს. კვლავ მცირეა მუნიციპალიტეტების (თბილისის გარდა) ბიუჯეტის შემოსულობების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წელს – 3,16% იყო, 2016 წელს – 3,21%, 2017 წელს – 3,06%. ამ ორი მაჩვენებლის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფისკალური დეცენტრალიზაციის დონე საქართველოში არ გაუმჯობესებულა.

**მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შემოსულობები 2013-2017წწ. (მლნ. ლარი)**



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2010-2015 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის ნომინალური მაჩვენებლები ყოველწიურად იზრდებოდა. 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველ ერთეულებს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით 834.2 მლნ ლარი გამოეყო, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 10.2%-ს შეადგენდა. აღნიშნული წლის შემდეგ, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა არსებითად შემცირდა, რომელის მიზეზი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემა იყო. 2016-2018 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის წილი ბიუჯეტის შემოსავლებში, საშუალოდ, 6.8%-ს შეადგენდა. რაც შეეხება 2018 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით, ჯამში, 705 მლნ ლარი გამოეყო, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 6.8%-ია.

2019 წლიდან თვითმმართველი ერთეულები გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ფინანსურ დახმარებას არ მიიღებენ, ვინაიდან აღნიშნული ტრანსფერი გაუქმდა. გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემა იცვლება განაწილებული გადასახადის (tax sharing) სისტემით და 2019 წლის 1-ელი იანვრიდან დამატებული ღირებულების გადასახადის 19% მუნიციპალიტეტზე განაწილდება.


დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება განხორციელდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობის და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით.

კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის: 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით; 15% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით; 10% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით; 5% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით; 10% ნაწილდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით.

გარდამავალ პერიოდში დგინდება თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები შემოსავლის წინა წელთან ზრდის შეზღუდვა, რომელიც 2019 წლისათვის განსაზღვრულია 25%-ით, ხოლო 2020-2023 წლებში, წინა წელთან შედარებით თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შედეგად მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მოცულობის ზრდის მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტის კანონით. აღნიშნული მაჩვენებელი თითოეულ წელს არ უნდა იყოს 25%-ზე ნაკლები. განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებელზე მეტი რესურსი იმ მუნიციპალიტეტების შემოსავლებში მიიმართება, რომელთა მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.

2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების შემოსავლის 50%-ს (473 მლნ ლარს) თბილისის მიიღებს, 5%-ს (48 მლნ ლარს) ბათუმი, 3.5%-ს (33 მლნ ლარს) ქუთაისი და ა.შ. 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან თბილისი 436 მლნ ლარს იღებს, ანუ 2019 წელს მისი დაფინანსება 37 მლნ ლარით იზრდება. დამატებით

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 130 მლნ ლარით დაფინანსდება თბილისში ახალი ავტობუსების შემოყვანა.



2018 წელს თვითმმართველი ერთეულების ჯამური შემოსავალი 1 309.8 მლნ ლარი იყო, რაც მშპ-ს 3.2%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 2019 წლისთვის 2 090.3 მლნ ლარამდე იზრდება და ამავე წლის საპროგნოზო მშპ-ს 4.7%-ია. ესე იგი, 2019 წლისთვის გადასახადებისა და სხვა შემოსავლების სახით მთავრობის მიერ მობილიზებული ფინანსური რესურსების უფრო მეტი წილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებს დარჩებათ, ვიდრე ეს ხდებოდა წინა წლებში.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირება, უმეტესწილად, ადგილობრივი გადასახადებით და მოსაკრებლებით, აგრეთვე არასაგადასახადო შემოსავლებით და ზედა რგოლის ბიუჯეტების ანარიცხებით წარმოებს. ამ წყაროებს შორის თანაფარდობა დამოკიდებულია მართვის რეგიონული ორგანოებისათვის დაკისრებულ ფუნქციებზე, ადგილობრივი გადასახადების ამოღების პოტენციურ შესაძლებლობებზე, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ სიძლიერეზე.

ფისკალური დეცენტრალიზაცია, ანუ ადგილობრივი მთავრობისთვის საგადასახადო და მხარჯავი უფლებამოსილების მინიჭება ბევრი განვითარებადი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო. ადგილობრივი მთავრობის ფისკალური ავტონომია პოლიტიკური დეცენტრალიზაციის უმთავრესი ასპექტია. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანამ გაიარა. მთავრობის უფლებამოსილების და ფინანსების ცენტრალური და ადგილობრივ მთავრობას შორის გადანაწილება დღესაც ბევრ ქვეყანაში აქტიური დებატების საგანს წარმოადგენს. მთავრობათაშორისი ფისკალური ურთიერთობის რეფორმის ძირითადი მიზანი ყველგან ერთია - მიიღწეს რესურსების განთავსების ეფექტიანობა და ადგილობრივ ხელისუფლებას გააჩნდეს ფინანსური საშუალებები მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად,

რისთვისაც ისინი არიჩიეს. ამასთან, ადგილობრივი მთავრობები ამ რესურსების ხარჯვაზე ანგარიშვალდებული უნდა იყვნენ ამომრჩევლების წინაშე, რისი წინაპირობაც ფისკალური ავტონომიაა.

ჩვენი ხედვა დეცენტრალიზაციის პროცესთან მიმართებაში გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და მოსახლეობის აქტიური თანამონაწილეობით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონის ფარგლებში, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას, მუნიციპალიტეტის პოტენციალის სრულად გამოყენებას, მდგრად ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის განუზრეღ ამაღლებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ამაშუკელი ე., საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის მეთოდოლოგიური საკითხები, შრ. კრ. თბ. ფსკი 2002, გვ. 194.
2. ბარათაშვილი ე, გრძელიშვილი ნ, „რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება (რეგიონული მენეჯმენტი). თბილისი 2012.
3. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, (გვ. 385).
4. გრძელიშვილი ნ, რეგიონული კონკურენტუნარიანობის პრინციპები და შეფასების მეთოდები, თანაავტორობით, სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ №10-12, 2010. გვ.91-102;
5. გრძელიშვილი ნ, რეგიონული პოლიტიკის ევროპული გამოცდილება. თანაავტორობით, სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ №10, 2010, გვ.67-71;
6. გრძელიშვილი ნ, რეგიონების საინვესტიციო გარემო და საინოვაციო პოლიტიკა. თანაავტორობით, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2010. გვ.110-116;
7. გრძელიშვილი ნ, რეგიონული პოლიტიკა და სახელმწიფოს სტრატეგია ეკონომიკური კრიზისის პირობებში. „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია . სტუ. თბილისი 2011 წელი;
8. კაკულია რ., ადგილობრივი (რეგიონული) ფინანსების მართვა, „ადგილობრივი (რეგიონული) ეკონომიკის განვითარების და მართვის პრობლემები“, თბილისი, 2001, გვ. 54.
9. საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების წლიური ანგარიში (2016-2017 წლები).
10. ანალიზი და რეკომენდაციები ეფექტური ფისკალური დეცენტრალიზაციისთვის. თბილისი 2015
11. დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2019-2025
12. <https://www.bpn.ge/article/49280-gatanabrebiti-transperis-sistema-ganacilebuli-gadasaxadis-sistemit-icvleba/>
13. <https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-2019-clis-saxelmcpo-biujetis-proektis-analizi-darekomendaciebi>

**რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების  
მნიშვნელობა საბიუჯეტო ფედერალიზმისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის  
ეფექტურობაზე**

**ნოდარ გრძელიშვილი**  
**ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი**

**აბსტრაქტი**

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურების დონეებსა და ერთეულებს შორის ფინანსური ნაკადების ფორმირება და განაწილება. საბიუჯეტო-საგადასახადო ურთიერთობებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო ფედერალიზმს და ფისკალურ დეცენტრალიზაციას.

საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ უნდა უზრუნველყოს: ტერიტორიული ინტეგრაცია, ეკონომიკური ეფექტიანობა, საბიუჯეტო პასუხისმგებლობა, სოციალური სამართლიანობა, პოლიტიკური კონსოლიდაცია.

ფისკალური დეცენტრალიზაცია, ანუ ადგილობრივი მთავრობისთვის საგადასახადო და მხარჯავი უფლებამოსილების მინიჭება ბევრი განვითარებადი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო. ადგილობრივი მთავრობის ფისკალური ავტონომია პოლიტიკური დეცენტრალიზაციის უმთავრესი ასპექტია.

**Importance of State Regulation of Regional and Municipal Economies on the  
Effectiveness of Budgetary Federalism and Fiscal Decentralization**

**Nodar Grdzelishvili**  
**New Higher Education Institute - Doctor of Economics, Professor**

**Abstract**

An important element of the system of state regulation of the economy is the formation and distribution of financial flows between levels and units of the state's territorial structures. Budgetary-tax relations are of particular importance in budget-tax relations.

The realization of budget federalism is not only difficult in Georgia but also in various European countries, namely: it is difficult to determine the socio-economic opportunities and needs of the regions, the fairness of the allocation and distribution of budget funds, the agreement of regional interests with each other and with the Center. . Budgetary regulators often turn administrative-political leverage out of economic influence.

The system of budget federalism should ensure: territorial integration, economic efficiency, budgetary responsibility, social justice, political consolidation.

Fiscal decentralization, that is, giving tax and spending powers to local governments, has been one of the major reforms in many developing countries. Local government fiscal autonomy is a key aspect of political decentralization.

## **Importance de la réglementation étatique des économies régionales et municipales sur l'efficacité du fédéralisme budgétaire et de la décentralisation fiscale**

**Nodar Grdzelishvili**

**Nouvel Institut d'Enseignement Supérieur - Docteur en économie, Professeur. Géorgie**

### **Résumé**

Un élément important du système de régulation de l'économie par l'État est la formation et la répartition des flux financiers entre les niveaux et les unités des structures territoriales de l'État. Les relations budget-impôt revêtent une importance particulière dans les relations budget-impôt.

La réalisation du fédéralisme budgétaire est non seulement difficile en Géorgie, mais également dans divers pays européens, à savoir: il est difficile de déterminer les opportunités et les besoins socio-économiques des régions, le caractère équitable de l'affectation et de la répartition des fonds budgétaires, l'accord de intérêts régionaux entre eux et avec le Centre. . Les régulateurs budgétaires dissipent souvent l'influence politique et administrative de l'influence économique.

Le système du fédéralisme budgétaire devrait assurer: l'intégration territoriale, l'efficacité économique, la responsabilité budgétaire, la justice sociale, la consolidation politique.

La décentralisation fiscale, c'est-à-dire l'octroi de pouvoirs fiscaux et de dépenses aux gouvernements locaux, a été l'une des réformes majeures de nombreux pays en développement. L'autonomie fiscale des collectivités locales est un aspect essentiel de la décentralisation politique.

## ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობების ანალიზი

ვალერი მოდებაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ თურქეთმა პროდასავლური პოლიტიკა აირჩია და მიზნად დაისახა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. 1945 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი სუპერსახელმწიფოდ გადაიქცა, რომელსაც სურდა მეზობელ ქვეყნებში თავისი გავლენის გავრცელება. კრემლში არსობდა თურქეთის გაწითლების გეგმა. თურქეთს ყველაზე რთულ პერიოდში მხსნელად აშშ და დასავლეთი მოველინა. საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის გასანეიტრალებლად თურქეთს სჭირდებოდა დასავლეთის მხარდაჭერა. 1947 წელს პრეზიდენტი ტრუმენი სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას დაჰპირდა იმ ქვეყნებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირისგან საფრთხე ექმნებოდა. 1949 წელს თურქეთი ევროპის საბჭოს წევრად მიიღეს, ხოლო 1952 წელს ის ნატოს წევრი გახდა. მას შემდეგ რაც თურქეთი გაწევრიანდა ნატოში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სამხრეთიდან დაუმეზობლდა სსრკ-ს. ნატოში გაწევრიანების შემდეგ თურქეთის ტერიტორიაზე განთავსდა ამერიკის სამხედრო ბაზები და რაკეტები. 1952-1963 წლებში ბირთვული იარაღიც კი ინახებოდა თურქეთში შექმნილ ამერიკულ სამხედრო ბაზებზე. ამერიკის მიმართ თავისი მაღლიერების გამოსახატავად თურქეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კორეის ომში (1950-1953 წლები) თურქული სამხედრო ნაწილები ამერიკელთა მხარდამხარ იბრძოდა კორეაში. (Omer Goksel Isyar, 2005)

თავისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთი ყოველთვის იპყრობდა აშშ-ს ადმინისტრაციის ყურადღებას. თურქეთი არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თურქეთი ესაზღვრება ენერგორესურსებით მდიდარ არაბულ ქვეყნებს და ირანს. კლინტონის ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კასპიის ნავთობის თურქეთის ტერიტორიის გავლით გატარების საქმეში. კლინტონის ადმინისტრაციას არ სურდა რომ რუსეთი ყოფილიყო ენერგორესურსების ერთადერთი მიმწოდებელი ევროპისათვის და ამიტომ დიდ ყურადღებას უთმობდა ალტერნატიული ენერგოდერეფნების შექმნას. სწორედ კლინტონის ადმინისტრაციის დამსახურებაა, რომ განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი ენერგოპროექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა თურქეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. (Modbadze Valeri, Sayin, F.M. & Yilmaz, R., 2014)

თუ ცივი ომის დროს და 90-იან წლების დასაწყისში თურქეთსა და აშშ-ს შორის არსებობდა თბილი და მჭიდრო ურთიერთობები, ბოლო წლებში ესე ურთიერთობები თანდათანობით გაცივდა და მნიშვნელოვნად გაუარესდა რამოდენიმე მიზეზის გამო. აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა რამოდენიმე ფაქტორმა გამოიწვია:

1. პირველი ფაქტორი დაკავშირებულია იმ გეოპოლიტიკურ ძვრებთან, რაც მოხდა ცივი ომის დასრულების შემდეგ. კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ გაქრა გაწითლების საფრთხე და თურქეთის გასაბჭოების იდეაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს



უკვე აღარ გააჩნდა საერთო საზღვარი მის ისტორიულ მტერთან - რუსეთთან. კავკასიაში დიდი და აგრესიული რუსეთის ნაცვლად, მას გაუჩნდა საზღვარი სუსტ და პატარა სახელმწიფოებთან (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი). რუსეთის სამხედრო პოტენციალიც მნიშვნელოვნად შემცირდა სსრკ-ს კოლაფსის შემდეგ. სწორედ ამიტომ თურქეთს უკვე აღარ ესაჭიროებოდა აშშ-ს დახმარება უსაფრთხოების სფეროში და გაუჩნდა სურვილი რომ გამხდარიყო დამოუკიდებელი გეოპოლოტიკური მოთამაშე და დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა საერთაშორისო არენაზე. რუსეთის დასუსტებასთან ერთად, თურქეთს თანდათანობით უჩნდება სურვილი, რომ გახდეს ახლო აღმოსავლეთის ჰეგემონი სახელმწიფო. 90-იან წლებში თურქეთში პოპულარული ხდება პანთურქიზმი და დიდი თურქული სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეა, რომელშიც გაწევრიანებული იქნებოდა როგორც თურქეთი, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული თურქულენოვანი ქვეყნები.

თურქეთი თანდათანობით იწყებს გააქტიურებას პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რაც გამოწვეულია მისი სურვილით გაზარდოს თავისი გავლენა ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სივრცეში. ხშირად თურქეთის ახალ რეგიონულ პოლიტიკას „ნეოსმანიზმის“ სახელით მოიხსენიებენ. „ნეოსმანიზმის“ მიზანია, რომ თურქეთი გახდეს რეგიონალური სუპერსახელმწიფო.

თურქეთი 90-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკურ აღმასვლას განიცდის და შესაბამისად იზრდება მისი პოლიტიკური ამბიციებიც. თურქეთს უკვე აღარ სურს რომ იყოს აშშ-ს სატელიტი ქვეყანა და ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მისი პოლიტიკური ამბიციებიც იზრდება.

2. ურთიერთობების გაუარესების მეორე მიზეზი სირიაში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას ეხება: სირიის კონფლიქტში აშშ-მ დიდი დახმარება აღმოუჩინა ქურთების შეიარაღებულ ძალებს, რამაც ანკარას უკმაყოფილება და გაღიზიანება გამოიწვია. ანკარის უკმაყოფილებას იწვევს ასევე ერაყის ტერიტორიაზე ქურთისტანის მუშათა პარტიის არსებობა. თურქეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აშშ არანაირ ზომებს არ იღებს, რომ გაანეიტრალოს ეს ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც ხშირად იჭრება თურქეთის ტერიტორიაზე და უამრავ ტერაქტს ახორციელებს. ქურთისტანის მუშათა პარტიის თემა არის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი თურქეთის ხელისუფლებისათვის, რაც ხშირად ძაბავს ურთიერთობებს აშშ-სა და თურქეთს შორის. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ვაშინგტონი ფარულად დახმარებას უწევს ქურთისტანის მუშათა პარტიას, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ერაყის ოკუპაცია განხორციელდა 2003 წელს. (Özden Zeynep Oktav, 2019)

ვაშინგტონმა ქურთების დახმარება და იარაღით მომარაგება გაზარდა, მას შემდეგ რაც დაიწყო სირიის კონფლიქტი და ქურთების შეიარაღებული ძალები ისლამურ სახელმწიფოს დაუპირისპირდა. ტრამპის ადმინისტრაცია იარაღით ამარაგებდა ქურთების შეიარაღებულ ძალებს - ფეშმერგას, რომელიც სირიის კონფლიქტში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა. აშშ-ს ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ფეშმერგა იყო ეფექტური და ლეგიტიმური ძალა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. მას შემდეგ რაც ტრამპის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ამერიკელი სამხედროების გაყვანა სირიის ტეროტირიიდან, შეიქმმა საშიშროება, რომ თურქეთის სამხედრო შენაერთები გაანადგურებდნენ ქურთების შეიარაღებულ ძალებს სირიაში. იმისათვის რომ თავიდან

აეცილებინა თურქებისა და ქურთების შეჯახება სირიაში, ტრამპი დაემუქრა თურქეთს, რომ მის ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებდა, თუ ანკარა ქურთების შეიარაღებულ ძალებს სირიაში თავს დაესხმებოდა და გაანადგურებდა. (Özden Zeynep Oktav, 2019) ტრამპის მუქარამ დიდი ზიანი მიაყენა აშშ-თურქეთის ურთიერთობებს. თურქეთი თანდათანობით ხდება დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური მოთამაშე ახლო აღმოსავლეთში. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი მიიჩნევს, რომ აშშ-თურქეთის ურთიერთობები ასიმეტრიული ხასიათისაა და შეუსაბამო თურქეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან. 2016 წლის 15-16 ივლისის სამხედრო პუტჩი და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღიქმება თურქების მიერ, როგორც აშშ-ს განზრახვა დაემხო ერდოღანის რეჟიმი და ძალისმიერი მეთოდით შეეცვალა პოლიტიკური სისტემა თურქეთში.

3. მესამე ფაქტორი, რამაც გამოიწვია ურთიერთობების დაძაბვა, სამხედრო პუტჩთან არის კავშირში: ანკარასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუარესდა 2016 წლის სამხედრო პუტჩის შემდეგ. თურქები თვლიან, რომ გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი ფეთჰულა გულენი იყო, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც აშშ-ში, პენსილვანიაში ცხოვრობს. ის აშშ-ში იმყოფება 1999 წლის შემდეგ. თურქეთის ხელისუფლება მოითხოვს აშშ-სგან გულენის ექსტრადირებას თურქეთში, რაზეც აშშ-ს ადმინისტრაცია არ თანხმდება და ცივ უარს აცხადებს. (Defne Arslan, Pinar Dost & Grady Wilson, 2018) აშშ-ს ხელისუფლება მოითხოვს მტკიცებულებების წარდგენას თურქეთის ხელისუფლებისგან, რომ ეს სამხედრო პუტჩი გულენის მიერ იყო დაგეგმილი და ორგანიზებული. მტკიცებულებების არქონის გამო ვაშინგტონი მიზანშეწონილად არ თვლის გულენის გადაცემას თურქეთის ხელისუფლებისათვის. ამრიგად, 2016 წლის შემდეგ ერდოღანის რეჟიმს გაუფუჭდა ურთიერთობა დასავლეთთან და თურქეთის ტრადიციულ მოკავშირეებთან. მან თანდათანობით დაიწყო რუსეთთან და ირანთან დაახლოება. დასავლეთზე განაწყენებული თურქეთი თანდათანობით ორიენტაციას იცვლის და აღმოსავლეთისაკენ იხრება, სულ უფრო ინტენსიურად აფართოებს კავშირებს პუტინის რეჟიმთან და ირანთან. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ, განსხვავებით ირანისა და რუსეთის ხელისუფლებისაგან, არ დაგმო საჯაროდ თურქი სამხედროების საქციელი და სამხედრო პუტჩი. 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ირანი და რუსეთი ერდოღანის მხარეს დადგნენ და მას როგორც მორალური, ასევე პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვეს. თურქეთის რუსეთთან დაახლოებამ პიკს მიაღწია, როდესაც ერდოღანმა შეიძინა კრემლისაგან C-400 კლასის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.

4. მეოთხე ფაქტორი, რამაც მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობები ანკარასა და ვაშინგტონს შორის, არის სწორედ საზენიტო-სარაკეტო სისტემის შეძენასთან დაკავშირებული. ანკარას განზრახვამ, რომ შეეძინა თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემა კრემლისგან, გამოიწვია ვაშინგტონთან ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესება. ვაშინგტონი თვლის რომ რუსეთის საჰაერო თავდაცვის სისტემა არ არის თავსებადი ნატოს თავდაცვის სისტემასთან. აშშ-ს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ამ სარაკეტო სისტემის განტავსებით თურქეთის ტერიტორიაზე, მოხდება ნატოსთვის მეტად სენსიტიური სამხედრო მონაცემების რუსეთისთვის გადაცემა. (Simon Waldman, 2019) მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მადალჩინოსნები, მათ შორის პენსი, დიდი ხნის განმავლობაში აფრთხილებდნენ ანკარას, რომ C-400 კლასის საზენიტო-სარაკეტო

კომპლექსის შეძენას მძიმე შედეგები და სანქციები მოჰყვებოდა, ერდოლანმა მაინც არ გააუქმა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება. ამ ზაფხულს რუსეთმა დაიწყო თურქეთისათვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გადაცემა. ბელარუსის და ჩინეთის შემდეგ თურქეთი გახდა მესამე სახელმწიფო, სადაც რუსეთი ყიდის თავის სარაკეტო სისტემას. (Krzysztof Strachota & Andrzej Wilk, 2019)

საჰაერო თავდაცვის სისტემის შეძენამ თურქეთს გარკვეული პრობლემები უკვე შეუქმნა. თურქეთის ამ ნაბიჯმა ნატოს პარტნიორების უკმაყოფილება გამოიწვია. აქტიური მცდელობა ჰქონდა ვაშინგტონს, რომ შეეჩერებინა C-400 კლასის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის შეძენა, რადგან აშშ-ს ხელისუფლება ხედავს დიდ საფრთხეს რუსეთ-თურქეთის დაახლოებაში. თურქი ანალიტიკოსები თვლიან, რომ ერდოლანმა გადადგა ეს ნაბიჯი იმისათვის, რომ უფრო მეტი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აბდულა აგარის აზრით C-400 კლასის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის შეძენის გამო თურქეთს დიდი პრობლემები შეექმნება მის სტრატეგიულ პარტნიორებთან, როგორც აშშ-სთან, ასევე ევროპასთან. ერდოლანის ამ ნაბიჯს ნეგატიური შედეგი თურქეთისათვის უკვე ჰქონდა: აშშ-მ აკრძალა თავისი ბობდამშენების - F-35-ბის გაყიდვა თურქეთში, იმიტომ რომ არ უნდა რუსეთმა მოიპოვოს თვითმფრინავის საიდუმლო ტექნოლოგიების შესახებ იფნორმაცია. თურქეთი აღარ იქინება ჩართული F-35-ის წარმოებაში, რაც თურქეთის ეკონომიკას უზარმაზარ ზარალს მიაყენებს (საუბარია დაახლოებით 9 მილიარდი აშშ დოლარის ზარალზე.)

რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოსკოვმა ანკარას უნდა გადასცეს 2,5 მილიარდი ლირებულების 4 დივიზიონი. თუ ვაშინგტონი ანკარას სანქციებს დააკისრებს, ეს დიდ ზიანს მიაყენებს თურქეთის ეკონომიკას, როგორც ეს მოხდა გასულ წელს. (Alex Ward, 2019) სანქციები ნეგატიურ გავლენას მოახდენს ერდოლანის პოპულარობაზეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერდოლანის პარტიამ სწორედ სანქციების გამო წააგო სტამბულის მერის არჩევნები და ვერ შესძლო თავისი კანდიდატის მერად გაყვანა. ეკონომისტები თურქეთის პრეზიდენტს ახალ მარცხს უწინასწარმეტყველებენ. თურქი ეკონომისტი უგურ დემირი თვლის, რომ თურქული ეკონომიკის სწრაფი ზრდა განაპირობებდა ერდოლანის პოპულარობას და მიიჩნეოდა თურქეთის პრეზიდენტის დიდი წარმატების მთავარ ბაზისად. უგურ დემირის აზრით სანქციების შემთხვევაში ერდოლანს გაუჭირდება რაიმე წარმატების მიღწევა ეკონომიკის სფეროში და მისი რეიტინგიც მკვეთრად დაეცემა. გასულ წელს ერდოლანს მართლაც უდიდესი პრობლემები შეექმნა, როდესაც აშშ-მ თურქულ ლითონზე ტარიფები გაზარდა და ორ თურქ ჩინოვნიკს სანქციები დააკისრა. სანქციებმა თურქული ლირას სწრაფი გაუფასურება და დევალვაცია გამოიწვია. იგივე პრობლემები შეიძლება შეექმნას თურქეთის ეკონომიკას ახალი სანქციების შემთხვევაში.

დღევანდელი თურქეთის მომავალი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ განვითარდება აკარა - ვაშინგტონის ურთიერთობები. აშშ- თურქეთის დამაბულობის გაგრძელების შემთხვევაში, შეიძლება თურქეთმა საერთოდ დაკარგოს დასავლეთის მხარდაჭერა. თუ თურქეთი ვერ შეძლებს დასავლეთთან ურთიერთობების დალაგებას, მაშინ ის შეიძლება ჩამოყალიბდეს ანტი-დასავლურ სახელმწიფოდ. ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ მოხდება ისლამური ფუნდამენტალიზმის და რადიკალიზმის აღზევება თურქეთში, რაც დიდ ზიანს მიაყენებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

### ბიბლიოგრაფია:

1. Özden Zeynep Oktav (2019) US-Turkey Relations in the Trump Era: A Turkish Perspective, Available from World Wide Web: <https://thenewturkey.org/us-turkey-relations-in-the-trump-era-a-turkish-perspective>
2. Modebadze, Valeri, Sayın, F.M. & Yılmaz, R., (2014) Georgian – Turkish Relations since the Breakdown of Soviet Union, Çankırı Karatekin University, Journal of The Faculty of Economics and Administrative Sciences, Volume 4, Issue 1, pp.359-369. Available from World Wide Web: <https://dergipark.org.tr/download/article-file/382303>
3. Omer Goksel Isyar (2005) An Analysis of Turkish-American Relations from 1945 to 2004. Initiatives and Reactions in Turkish Foreign Policy, Turkish Journal of International Relations-Alternatives, Volume 4, number3. Available from World Wide Web: <https://dergipark.org.tr/download/article-file/19464>
4. Defne Arslan, Pinar Dost & Grady Wilson (2018) US-Turkey Relations: From Alliance to Crisis. Available from World Wide Web: <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/us-turkey-relations-from-alliance-to-crisis>
5. Simon Waldman (2019) The new era of US-Turkey relations is defined by difference, not common goals, Available from World Wide Web: <https://www.thenational.ae/opinion/comment/the-new-era-of-us-turkey-relations-is-defined-by-difference-not-common-goals-1.888840>
6. Krzysztof Strachota & Andrzej Wilk (2019) The S-400 for Turkey. The crisis in Turkish-American relations escalates, Available from World Wide Web: <https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2019-06-12/s-400-turkey-crisis-turkish-american-relations-escalates>
7. Alex Ward (2019) How America's relationship with Turkey fell apart, Available from World Wide Web: <https://www.vox.com/world/2019/4/11/18292070/usa-turkey-trump-erdogan-s400>

**ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის არსებული დაძაბული  
ურთიერთობების ანალიზი**

**ვალერი მოდებაძე**

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი  
რეზუმე**

სტატიაში განხილულია თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვა. თუ აშშ-სა და თურქეთს შორის ცივი ომის დროს მჭიდრო და მეგობრული კავშირი არსებობდა, ცივი ომის შემდეგ არ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები თანდათანობით გაცივდა. სტატიის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტორების ანალიზი, რამაც ხელი შეუწყო ურთიერთობების გაუარესებას.

**Analysis of the tense relations between the United States and Turkey**

**Valeri Modebadze**

**Saint Andrew the First- Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**

**Summary**

The article discusses what factors have led to the strained relations between Turkey and the USA. If there was a close and friendly relationship between USA and Turkey during the Cold War, relations between the two countries gradually cooled down after the Cold War. The purpose of this article is to analyze the factors that have contributed to the deterioration bilateral relations.

**Analyse des relations tendues entre les États-Unis et la Turquie**

**Valeri Modebadze**

**Saint André le Premier Appelé du Patriarcat de Géorgie Université Georgian**

**Résumé**

L'article discute des facteurs qui ont conduit aux relations tendues entre la Turquie et les États-Unis. S'il y avait une relation étroite et amicale entre les États-Unis et la Turquie pendant la guerre froide, les relations entre les deux pays se sont progressivement apaisées après la guerre froide. Le but de cet article est d'analyser les facteurs qui ont contribué à la détérioration des relations bilatérales.

## ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები კლასიკური

### საბალანსო თეორიების პრიზმაში

ნაზი გვარამია

#### სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი გზა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარებაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას (“ზიზნესის საერთაშორისო ენას”) მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული. უკანასკნელ პერიოდში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრულმა აღრიცხვამ დაიწყო აქტიური მონაწილეობის მიღება მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტერმა კი შეითავსა დაგეგმვა, პროგნოზირება, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლი, ანუ მას წარმოექმნა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში. აქედან გამომდინარე, ცალსახაა თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი როლი ზოგადად მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საკითხებში, კერძოდ ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების, ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტების თვალსაზრისით. სამეცნიერო ნაშრომში განვიხილავთ კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათებას ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, რაც სრულად გვაძლევს წარმოდგენას ასევე მის სამართლებრივ მხარეზე.

საბალანსო თეორიები საბალანსო არსის, ამოცანებისა და შინაარსის ასახვის თვალსაზრისებია. ყველა ამ თეორიას ერთი საერთო ასპექტი აერთიანებს: განისაზღვროს ბალანსის მთავარი მიზანი და გამოკვლევულ იქნას მიზანზე ორიენტირებული საბალანსო ღირებულებები. ბალანსის განსხვავებული ამოცანები განაპირობებენ სხვადასხვა საბალანსო თეორიებს. გამოვყოფთ მათგან რამოდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანს:

- ❖ **სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები;**
- ❖ **დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია;**
- ❖ **ორგანული საბალანსო თეორიები.**

სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები: სტატიკური საბალანსო მოძღვრების თანახმად, ბალანსი ემსახურება ქონების სწორად დადგენას. მოგება კი არის “ქონების მატება”. მთავარი ყურადღება ექცევა დროის გარკვეული მომენტისათვის ქონებისა და ვალდებულებების შემადგენლობის განსაზღვრას. როდესაც ვეხებით სტატიკურ საბალანსო თეორიებს, არ ვგულისხმობთ ყველა წვრილმანის თვალსაზრისით მონოლითურ საბალანსო თეორიას. სტატიკური საბალანსო თეორია თავის დასაბამს იღებს გასული საუკუნის ბოლოსათვის არსებული საბალანსო თვალსაზრისებიდან, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ კომერციულ რეალობას. ამ თვალსაზრისს სასამართლო წარმოებაში ლიკვიდაციის სტატიკას უწოდებდნენ. ამგვარად საბალანსო თვალსაზრისი ამოდის ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული ფაქტიური გაკოტრების მდგომარეობიდან და ბალანსში ასახულ ქონებას განიხილავს როგორც კრედიტორთათვის ხელმისაწვდომს (სალიკვიდაციო ქონება), თუ საჭირო იქნება საწარმოს ლიკვიდაცია.

ლიკვიდაციის სტატიკის მიზანია ვალების დაფარვის კონტროლი. ბალანსის შედგენის მეშვეობით უნდა შემოწმდეს ექნება თუ არა უნარი მეწარმეს საწარმოს სავარაუდო ლიკვიდაციისას დაფაროს ყველა არსებული ვალი. “არსებულ ვალად” ჩაითვლება არსებული ვალდებულებები გარეშე პირთა მიმართ. შიდა ვალდებულებები არ წარმოადგენენ ლიკვიდაციის შემთხვევაში დასაფარ ვალებს.

**ჰერმან ვიეტ სიმონმა** განავითარა “საქმის გაგრძელების” სტატიკა. ბალანსის შედგენის დროს უნდა ამოვიდეთ **წარმოების უწყვეტობის პრინციპიდან**. თუ დაბალანსების საფუძველი იქნება წარმოების უწყვეტობის პრინციპი, მაშინ წარმოების საშუალებათა ღირებულება გადააჭარბებს გასხვისების პოტენციურ ღირებულებას. აქტივაციის უნარი წარმოების უწყვეტობის პრინციპზე აგებულ ბალანსში აქვს ყველა იმ ქონებრივ ღირებულებას, რომელთაც დადებითი წვლილი შეაქვთ შემოსავლების ფორმირებაში. ამდენად აქტივების წრე ფართოვდება. სიმონის შეხედულებით სამართლის თვალსაზრისით პასივაციის უნარი გააჩნიათ ვალებსაც. სტატიკოსები ძირითადად უარყოფენ დანახარჯებისათვის ანარიცხების ფართო პასივაციას. ახალი სტატიკური საბალანსო თეორიის წარმომადგენლებად უპირველეს ყოვლისა ითვლებიან **ნიკლიში და ლე კუტრე**. თუ სიმონი დასაშვებად თვლიდა საბრუნავი კაპიტალის შეფასებას უფრო მაღალი საბაზრო ღირებულებებით, ახალი სტატიკის წარმომადგენლები ძირითად ორიენტაციას შეძენის ღირებულებაზე იღებენ. ბალანსი გაგებულია როგორც კაპიტალის დეპოზიციური ანგარიში.

**დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები:** დინამიკური მოძღვრების თანახმად, ბალანსის შედგენის ძირითად მნიშვნელობას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მოგებისა და ზარალის დადგენა. დინამიკური საბალანსო თეორიის ფუძემდებლად ითვლება **ევგენი შმალენბახი**, რომელიც 1819 წელს დაუპირისპირდა სტატიკოსების თვალსაზრისს იმ საკითხებში, რომ მოგება განეხილა, როგორც ქონების გაზრდა. შედეგის დინამიკური ანგარიშების საშუალებით მეწარმე ღებულობს ინდიკატორებს რენტაბელობის კონტროლისათვის. დინამიკური ბალანსის არსი ორი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება:

- ❖ **პერიოდის შესაბამისი, მოგების ექსტრემალური განსაზღვრა;**
- ❖ **შედარების პრინციპი.**

დინამიკური საბალანსო თეორიის ძირითად პუნქტს შეადგენს პერიოდების შესაბამისი შემოსავლებისა და გასვლების დაპირისპირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. აღნიშნულ თეორიაში შმალენბახი ეწევა **სიფრთხილის** პრინციპის პროპაგანდას, რაც ემსახურება დინამიკურ ბალანსში დაუგეგმავი ჩანაწერების თავიდან აცილებას, რომლებიც განსაკუთრებით უშლიან ხელს ანგარიშგებაში შედეგების შესადარისობას. შმალენბახი იყენებს აგრეთვე რეალიზაციის პრინციპს, მაგრამ ეს პრინციპი არ არის შექმნილი დინამიკური საბალანსო თეორიის მიხედვით, პირიქით, იგი ამცირებს კიდევაც დინამიკური მოგების მნიშვნელობას. **ვალბმა** განავითარა შმალენბახის დინამიკური საბალანსო თეორია საფინანსო-ეკონომიკურ ასპექტში. იგი განასხვავებს ანგარიშების ორ კლასს: საანგარიშსწორებო ანგარიშებს და საშედეგო ანგარიშებს.

**ორგანული ბალანსის თეორია:** გერმანიაში გასული საუკუნის 20-იან წლებში სწრაფ ინფლაციაზე რეაგირებას წარმოადგენდა **ფრიც შმიდტის** მიერ შექმნილი ორგანული ბალანსის თეორია, რომლის ძირითად არსს წარმოადგენს ინფლაციური პროცესების

განვითარების გათვალისწინება მატერიალური ფასეულობების ღირებულებისა და მოგების დადგენის დროს. შმიდტი თავის თეორიას ორგანულს უწოდებს, რადგან მეწარმეს, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცის ნაწილს, შეუძლია განსაზღვროს თავისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში. შმიდტს ბალანსის შედგენის საშუალებით სურს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გადმოსცეს მეწარმის ქონებრივი მდგომარეობა საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ამისათვის ის აფართოებს აქტივაციის საზღვრებს და ობიექტივაციის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე ახდენს არამატერიალური აქტივების აქტივაციას. მატერიალური ფასეულობები ორგანულ ბალანსში აისახება მოცემული დღისათვის არსებული შეძენის ღირებულებით, ამით კი ირღვევა რეალიზაციის პრინციპის მოთხოვნა. შმიდტის მიხედვით სამეურნეო წლის მოგება წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნამეტს რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაზე, რომელიც შეფასებულია რეალიზაციის დღისათვის არსებული ფასებიდან გამომდინარე.

სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ განგვეხილა კლასიკური საბალანსო თეორიები და შესაბამისად წარმოგვედგინა ბალანსის შედგენის თვალსაზრისები, უკვე არსებული და აპრობირებული მიდგომები ამ ასპექტით. **დასკვნის** სახით დავსძენთ, რომ სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) და დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები დღესაც ვითარდება არსებული მოთხოვნების შესაბამისად. თანამედროვე პრაქტიკაში საბალანსო კანონი გულისხმობს როგორც სტატიკურ (ქონებაზე ორიენტირებულ), ისე დინამიკურ (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებულ) ბალანსს, ამასთან უპირატესობა ენიჭება სტატიკურ თვალსაზრისს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **ნ. გვარამია.** ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია /თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის ირობებში/. შრომების კრებული, თბ., 2015 წ, გვ. 55-59

2. **ნ. გვარამია.** ბალანსის შედგენის თვალსაზრისები და საბალანსო თეორიები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-IV საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია IEC -2016 - ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუმინ, დღეს, ხვალ. თბილისი, ქუთაისი, 2016 წ. 14-15 ოქტომბერი, გვ. 234-235

3. ზ. ლიპარტია, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა. ეკონომიკური ანალიზი. თბ., 2007 წ.

4. ნ. ძიმციიშვილი, ნ. გვარამია, მ. ნაჭყებია. ფინანსური ანგარიშგება. თბ., 2007 წ.

5. Баканов М.И., Мельник М. В., Шеремет А. Д. Теория экономического анализа. Учебник.: Финансы и статистика, 2006 г.

6. Downes Y., Goodman E. Y. Dictionary of Finance and Investment Terms, 2006.



**ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები კლასიკური  
საბალანსო თეორიების პრიზმაში**

**ნაზი გვარამია**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
რეზიუმე**

სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი როლი ზოგადად მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საკითხებში. კერძოდ, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების, ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტების თვალსაზრისით. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათება (სტატიკური, დინამიკური და ორგანული) ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, რაც სრულად გვაძლევს წარმოდგენას მის სამართლებრივ მხარეზე.

კვლევაში მოცემულია კლასიკური საბალანსო თეორიების ფუძემდებელ მეცნიერთა შეხედულებები, ანალიზი და დასკვნის სახით წარმოდგენილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული თეორიების განვითარების ტენდენციები.

**Economic and legal aspects of classic balance theories**

**Nazi Gvaramia**

**Associated Professor of Sokhumi State University**

**Summary**

Important role of accounting on the modern stage mainly in the questions of management theory and practice improvement is given in the scientific thesis. Mainly, by point of view of finding out, treatment of economic information and methodic and analyze aspects in financial managements.

Characterization of classic balance theories is discussed in the scientific thesis (static, dynamically organic) follow from the balance creation, which fully gives the imagination for its legal side.

Analyze and views of founder scientists of classic balance theories are given in the research and as a conclusion development tendencies of abovementioned theories are given as a conclusion in compliance with the modern requirements.

**Aspects économiques et juridiques des théories classiques de l'équilibre**

**Nazi Gvaramia**

**Professeur associé de l'Université d'État de Sokhumi**

**Résumé**

La thèse scientifique donne un rôle important à la comptabilité sur la scène moderne, principalement dans les questions de théorie de la gestion et d'amélioration de la pratique. Principalement, du point de vue de la découverte, du traitement de l'information économique et de la méthodologie, et d'analyser les aspects de la gestion financière.

La caractérisation des théories classiques de l'équilibre est abordée dans la thèse scientifique (statique, organique dynamique) issue de la création de l'équilibre, ce qui donne toute l'imagination à son aspect juridique.

La recherche fournit une analyse et les points de vue des scientifiques fondateurs sur les théories classiques des équilibres. En conclusion, les tendances de développement des théories susmentionnées sont présentées en conclusion conformément aux exigences modernes.

**სანოტარო საქმიანობა ევროპაში და ნოტარიუსის კომპეტენციები უძრავი  
ქონების გარიგებებში (საფრანგეთის მაგალითი)**

**მედეა კოპალიანი - სამართლის მაგისტრი**

საქართველოში ნოტარიატის განვითარება ვერ განხორციელდება საზღვარგარეთის ქვეყნების სანოტარო საზოგადოებისაგან იზოლირებით. ამასთან დაკავშირებით, ძალზე აქტუალური ხდება იმის ცოდნა, თუ როგორ მუშაობენ ნოტარიუსები ევროპის ქვეყნებში.

ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი უცხოელი კოლეგების გამოცდილება შეიძლება სასარგებლო იყოს ადგილობრივი იურისტებისთვის. ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში განგვეხილა და გვესაუბრა ზოგიერთი უცხო ქვეყნის ნოტარიატის ორგანიზებისა და საქმიანობის თაობაზე, კერძოდ: ნოტარიუსის პოზიციაზე კანდიდატთან წაყენებული მოთხოვნების, ნოტარიუსთა პროფესიული ორგანიზაციების, ჰონორარების, საპენსიო უზრუნველყოფისა თუ ნოტარიუსის საქმიანობაზე კონტროლის შესახებ.

ევროპულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამოქალაქო მიმოქცევაში იურიდიული მომსახურებების უმეტეს ნაწილს ნოტარიუსები ახორციელებენ. ისინი თავიანთი საქმიანობით ქმნიან სათანადო უტყუარ მტკიცებულებათა სისტემას უდავო სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია კონტინენტური სამართლის სისტემისთვის. სწორედ ნოტარიუსებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი ახალი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაში, მათ ევალებათ "ახალი კოდეხის სიცოცხლის უზრუნველყოფის ფუნქცია".

რაც შეეხება ნოტარიატის განვითარებას ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბდა ანგლო – საქსური სამართლის სისტემა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში არ არსებობდა სანოტარო ორგანოების გარკვეული დამოუკიდებელი სტრუქტურა და სისტემა, რაც აიხსნება თავად პრეცედენტული სამართლებრივი სისტემის განსხვავებითა და წერილობით მტკიცებულებათა მცირე მნიშვნელობით - ზოგადი წესის თანახმად, ხელშეკრულებათა ნამდვილობისათვის განსაკუთრებული ფორმა არ იყო საჭირო. ამავდროულად, არ ყოფილა ფორმულირებული კონცეფცია, რომელიც იქნებოდა ზუსტ შესაბამისობაში კონტინენტალურ "საჯარო დოკუმენტ"-თან. სანოტარო მოქმედებების შესრულება ევალებოდა მოსამართლეებსა და სასამართლო მოსამსახურეებს, თუმცა, ფაქტობრივად, არსებობდნენ ნოტარიუსებიც, რომელთა მოქმედების ფარგლებს წარმოადგენდა მომმართველ პირთა თხოვნით, სხვადასხვა სახის სამოქალაქო სამართლის აქტების შედგენა, დედანი დოკუმენტების შენახვა, გარკვეული გარემოებებისა და თარიღების დამოწმება.

ბოლო წლებში, ნოტარიატის როლი გაიზარდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვის სისტემაში. დღეის მდგომარეობით, ნოტარიუსთა საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გაფორმებულ დოკუმენტზე სახელმწიფო ბეჭდის დასმით. ისინი ადასტურებენ სხვადასხვა ფაქტებს, გარიგებებს, მინდობილობებს, დოკუმენტებზე ხელმოწერების ნამდვილობას, წარმოადგენენ გადახდის ჩეკებს, აწარმოებენ მოქალაქეების მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმეებს, ახორციელებენ განმარტებას მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, აგრეთვე, დოკუმენტებით გათვალისწინებული პირობების არაკეთილსინდისიერი შესრულების

შედეგებს, ასრულებენ სხვა მოქმედებებს, რომლებიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზება.

მოქალაქეებისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების განმარტება, როგორც სანოტარო მოქმედებამდე, ისე მის შემდეგ, აგრეთვე დოკუმენტებში მითითებული პირობების არაკეთილსინდისიერი შესრულების თაობაზე განმარტება, წარმოადგენს ნოტარიუსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას. ის ხომ გამოდის როგორც დამოუკიდებელი მრჩეველი და გარიგების ყველა იმ მხარის დამცველი, რომელიც მიმართავს მას ნოტარიულ ქმედებათა განხორციელების მიზნით. უკრაინის კანონმდებლობამ დააკისრა ნოტარიუსებს მნიშვნელოვანი ვალდებულებები იმ გარიგებათა დამოწმებისათვის, რომლებიც შეეხება ბინების გასხვისებას, საცხოვრებელ ქონებას, ყველა სახის ავტოტრანსპორტს, რითაც გააფართოვა ამ ქონების შემძენის სამართლებრივი საფუძვლები; გამოჩნდა ისეთი გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია მიწაზე საკუთრების შეძენასთან, მიწის გამოყენებასა და მიწის საკუთრებაში ყოფნასთან; გაფართოვდა დაგირავებისა და სხვა გარიგების დიაპაზონი.

### **საფრანგეთის ნოტარიატი**

საფრანგეთში, ნოტარიუსი წარმოადგენს თავისუფალი პროფესიის მქონე პირს, რომლითაც სახელმწიფო ცნობს ოფიციალური პირის ფუნქციებს, იმ უფლებამოსილებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას აქტებისა და ხელშეკრულებების მიმართ იმავე ხარისხის ნდობა, რომელიც ტოლფასია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გაცემული დოკუმენტებისა.

საფრანგეთში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებები ექვემდებარება სავალდებულო ნოტარიულ დამოწმებას, ხოლო ნოტარიუსი არის საკვანძო ფიგურა გაყიდვების რეგისტრაციის პროცესში. ყოველწლიურად, ნოტარიუსები წარმოადგენენ სტატისტიკურ მონაცემებს სხვადასხვა ბაზრის სეგმენტებში ღირებულების, გარიგებათა რაოდენობისა და ა.შ., რაც მიუთითებს ქვეყნის უძრავი ქონების ბაზრის ევოლუციაზე.

2017 წლის ბოლოსთვის დაფიქსირებულ იქნა 867 ათასი გაყიდვა, ბოლო 12 წლის განმავლობაში. ეს არის წინა ანალოგიურ პერიოდზე 7,7 %-ით მეტი - 805 ათასი გაყიდვა. ერთი წლით ადრე, საფრანგეთში დაიდო 803 ათასი გარიგება. მზარდი მოთხოვნა აიხსნება დაბალი საპროცენტო განაკვეთით და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების ზრდას ქვეყნის ცალკეულ ქალაქებში. ფასების ყველაზე დიდი ზრდა შეინიშნება ბორდოსა (+ 11.2%) და სტრასბურგში (+ 6.8%), შემდეგ მოდის ლიონი (+ 6.2%). რეიმში, ტულონში, ლილში, მონპელიეში, ნანტში, გრენობლში, ბეზანსონსა და ბრესტში უძრავი ქონების ფასების ზრდა 2% - 5% -ს შეადგენს. ასეთი პოზიტიური ტენდენციისაგან განსხვავებით, პროვინციის მთავარ ქალაქებში მეორე ხარისხოვან ბაზარზე ბინების ღირებულება ეცემა: სენტ-ეტიენში (-5%), ტულუზაში (-1.5%), მარსელში (-1.3%). 2016 წელს საფრანგეთის მოსახლეობა შეადგენდა 66 627 602 ადამიანს.

საფრანგეთში, უძრავი ქონების ოპერაციებში ნოტარიუსის მონაწილეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამრიგად, მიიღწევა სამოქალაქო მიმოქცევის სტაბილურობა და საკუთრების უფლების დაცვა. ამის გათვალისწინებითა და თანამედროვე საფრანგეთში სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეთა კომფორტის მიზნით, შეიქმნა ეფექტური სისტემა, რომლის თანახმად, ნოტარიუსი, გარიგების დადასტურებისას, ახორციელებს ფუნქციების სრულ

სპექტრს, რომელიც გათვალისწინებულია კანონით უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემისას.

### **ხელშეკრულების თავისებურებები და ნოტარიუსის როლი**

ნოტარიუსის კომპეტენცია ვრცელდება საფრანგეთის მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე. 1971 წლის 25 ნოემბრის N71-942 დეკრეტის მე-8 მუხლის თანახმად, რომელიც დამტკიცდა 1986 წლის 29 აპრილის დეკრეტით: „ნოტარიუსები ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე“.

1954 წლის 2 ნოემბრის ორდონანსის 1-ლი მუხლის თანახმად „ნოტარიუსები წარმოდგენენ თანამდებობის პირებს, უფლებით მიიღონ ნებისმიერი აქტი და კონტრაქტი, რომლითაც მხარეები ვალდებულნი არიან ან სურთ, დაადასტურონ ავთენტურობის ბუნება, სახელმწიფო ორგანოს აქტების მსგავსად, დაამოწმონ მათი თარიღი, შეინახოს ისინი, მათი დამოწმებული ასლები, აღმასრულებელი წარწერითა და ნოტარიულად დამოწმებული ასლებით“.

ეს ნიშნავს, რომ ნოტარიუსის მოვალეობას წარმოადგენს შეადგინოს აქტები ნებისმიერ პირობებზე, რომლებიც განსაზღვრავს მათი საიმედოობისა და გარკვეული განსაკუთრებული თვისებების მოთხოვნას - მტკიცებულების უფლებამოსილებასა და სააღსრულებო დოკუმენტის ძალას.

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ქონების აღწერილობასა და მის ღირებულებას. იმისათვის, რომ გაყიდვის ფაქტი გახდეს სავალდებულო მესამე პირებისათვის, გარიგება უნდა დარეგისტრირდეს უძრავი ქონების საჯარო რეესტრში.

ნოტარიუსი აკონტროლებს ხელშეკრულების შესრულებას, როგორც ოფიციალური საჯარო მოხელე, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელითა და ანიჭებს მას, კონფიდენციალურობის გარდა, აუცილებელ იურიდიულ უსაფრთხოებას. ნებისმიერი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგება ხორციელდება ნოტარიუსის მეშვეობით, რომლის ვალდებულებას წარმოადგენს გარიგების იურიდიული უნაკლოობისა და შეძენილი ქონების ტექნიკური მდგომარეობის გადამოწმება, გამყიდველის საპასპორტო დეტალებისა და უძრავი ქონების შესაძლო თანამფლობელების შემოწმება, რომელთაგანაც აუცილებელია გაყიდვაზე ოფიციალური თანხმობის მოპოვება, აგრეთვე, ითვალისწინებს უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებული იპოთეკური დავალიანების სასამართლო დავის შემოწმებას.

უძრავი ქონების შეძენის გეგმიდან დაწყებული, ნოტარიუსთან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის აქტის გაფორმებამდე, აუცილებელია რამოდენიმე ეტაპის გავლა. ნოტარიუსი თან ახლავს და რჩევებს აძლევს მყიდველსა და გამყიდველს გაყიდვის პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში, გასაღების გადაცემის მომენტამდე.

საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენის გარიგების პირველ ეტაპს წარმოადგენს ქონების მოძებნა. ამ ეტაპზე შესაძლებელია რამდენიმე გადაწყვეტილების მიღება: მომავალ მყიდველს შეუძლია მოძებნოს საკუთარი ძალებით (საიტები, ჟურნალები, რეკლამები, მეგობრების მიერ გაყიდვა და ა.შ.), ან დაუკავშირდეს ნოტარიუსს (აუქციონიდან გაყიდვა, სპეციალური საიტები, სანოტარო განცხადებები), ან უძრავი ქონების სააგენტოს მეშვეობით). ნოტარიუსი მაცნობს მომავალ მყიდველს უძრავი ქონების ბაზარს, ქონების ღირებულებას.

როდესაც უძრავი ქონების ობიექტი მოძებნილია, მყიდველი და გამყიდველი ხელს აწერენ ხელშეკრულებას შესყიდვის შეთავაზების შესახებ. ამ დოკუმენტში, გამყიდველი მყიდველს სთავაზობს შეიძინოს ქონება გარკვეული ფასითა და პირობებით. თუ შეთავაზება მისაღებია, გამყიდველს და მყიდველს მოეთხოვებათ ხელი მოაწერონ წინარე ხელშეკრულებას (წინარე შეთანხმება, დაპირება ან გაყიდვის კომპრომისი). მისი ხელმოწერის მიზნით, მათ უნდა აირჩიონ ნოტარიუსი. ეს შეიძლება იყოს მყიდველისა ან გამყიდველის მიერ შემოთავაზებული ნოტარიუსი, ან ორივე ნოტარიუსი, რომლებიც გაიყოფენ ანაზღაურებას (სახელმწიფოს მიერ ფიქსირებული, ვრცელდება საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე). ნოტარიუსის არჩევა სრულიად უფასოა. ჩვეულებრივ, გამყიდველის ნოტარიუსი ადგენს წინასწარ ხელშეკრულებას, ხოლო მყიდველის ნოტარიუსი ადგენს საბოლოო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას.

ნოტარიუსი იწვევს გამყიდველსა და მყიდველს წინარე ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს გარიგების ყველა პირობას, რის შემდეგაც მყიდველი ვალდებულია გადასცეს ქონების ღირებულების 10% ნოტარიუსის ანგარიშზე (დეპოზიტი). ეს თანხა ინახება ნოტარიუსის ანაბარზე, სანამ არ მოხდება გარიგების დასრულება ან ანულირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური გარიგება ხორციელდება უნაღდო ფორმით, ხოლო თანხების გადატანა 10 000 ევროზე მეტი ოდენობით, ექვემდებარება კონტროლს. ნოტარიუსის მოვალეობას წარმოადგენს გარიგების გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაანგარიშება. სანოტარო და სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება ნოტარიუსის მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების დროს. სარეგისტრაციო მოსაკრებლის ღირებულება დამოკიდებულია უძრავი ქონების ტიპზე: 5 ახალაშენებულ კორპუსში - 2-3%, 5 წელზე მეტი ვადის მქონე და მეორად საცხოვრებელში - 6-7%. როგორც გარიგების დასრულებას ესაჭიროება 2-3 თვე.

გარდა ამისა, საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილია მერიის უპირატესი უფლება შეიძინოს ობიექტი წინასწარი შეთანხმებით განსაზღვრულ ფასად. თუ მერია დაინტერესებულია ამ ობიექტის შეძენით, მყიდველს ავანსი უბრუნდება დამატებითი ანაზღაურების გარეშე. მერია ვალდებულია 2 თვის განმავლობაში უპასუხოს ნოტარიუსის მომართვას. ამ პერიოდის გასვლის და მერიისგან პასუხის არარსებობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს ქონების შეძენის სრულ უფლებას.

აღსანიშნავია, რომ წინარე ხელშეკრულების გაფორმების დროს, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ობიექტის ტექნიკური მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და დაურთოს ტექნიკური ექსპერტიზის აქტები, საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გამყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ატარებს სამართლებრივ და ტექნიკურ ხასიათს. იურიდიული თვალსაზრისით, გამყიდველი ახდენს მყიდველის ინფორმირებას არსებული სერვიტუტების შესახებ (გასასვლელი, წყლის დრენაჟი და ა.შ.), იპოთეკური სესხისა და სხვა შეზღუდვების შესახებ.

ტექნიკურ გეგმაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: ბროშურა, რომელიც უნდა გადაეცეს მომავალ მფლობელს თანამფლობელთა რეგლამენტთან ერთად, ბიუჯეტში

შეტანილი შენატანების ოდენობის, არასაბიუჯეტო გადასახადების, შენობის მმართველისთვის ანაზღაურების შესახებ და ა.შ.

ტექნიკურ გეგმაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: მოცულობის წიგნაკი, რომელიც წარმოადგენს მთლიანი ფართობის ზუსტ ციფრს (კარრესის კანონი), ტყვიის, აზბესტის, ტერმიტების შემოწმებით, ელექტროგაყვანილობისა და გაზის გაყვანილობის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის, გაზისა და ელექტრო მოწყობილობების მდგომარეობის შემოწმებით, თუ ისინი 15 წელზე მეტი ვადის არიან.

წინარე ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს საბოლოო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისთვის ყველა აუცილებელ პირობას: ფასი, გადახდის მეთოდი, გადაცემის დრო და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი ყველა პირობა გადატანილი იქნება გაყიდვის საბოლოო აქტში, ცვლილების გარეშე.

წინარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, უძრავი ქონების ობიექტი იხსნება გაყიდვიდან და იჯავშნება მყიდველის მიერ. კანონი ითვალისწინებს 7-დღიან პერიოდს ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, რომლის განმავლობაშიც, მყიდველს უფლება აქვს მოახდინოს ხელშეკრულების ანულისრება და დააბრუნოს თანხა.

გამყიდველს არ აქვს უფლება უარი თქვას წინარე ხელშეკრულების შესრულებაზე. 7-დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების შეწყვეტის ერთადერთი საფუძველია ერთ-ერთი მხარის მიერ მისი პირობების შეუსრულებლობა. მყიდველს, რომელიც უარს აცხადებს ყიდვაზე, უარის თქმის გარეშე, არ აქვს უფლება მოითხოვოს თანხის დაბრუნება (ავანსი).

ყიდვა-გაყიდვის საბოლოო აქტის ხელმოწერამდე, მყიდველი ვალდებულია გადაიტანოს დარჩენილი თანხა ნოტარიუსის ანგარიშზე.

დათქმულ დღეს (მინიმუმ 30 დღის შემდეგ), გამყიდველი და მყიდველი ეწვევიან ნოტარიუსის ოფისს. შესაძლებელია უძრავი ქონების აგენტის დასწრებაც, თუკი ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ნოტარიუსი კითხულობს აქტს. გამყიდველი და მყიდველი სვამენ კითხვებს, რომ დარწმუნდნენ, რომ მათ სწორად ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა. გამყიდველი გადასცემს მყიდველს გასაღებს.

გამყიდველსა და მყიდველს შორის ყიდვა-გაყიდვის აქტის ხელმოწერისთანავე, ნოტარიუსი გადასცემს გამყიდველს უძრავი ქონების ობიექტის სრულ ღირებულებას, უძრავი ქონების სააგენტოს- საკომისიოს, ამოწმებს გარიგებას, ესწრება გასაღების გადაცემის მომენტს და გადასცემს ახალ მესაკუთრეს საკუთრების ფლობის პირველად სერტიფიკატს.

შემდგომი ქონება ნოტარიუსის მიერ რეგისტრირდება იპოთეკის ბიურო-შემნახველში ახალი მფლობელის სახელით. სახელმწიფო რეგისტრაციის ვადაა 3-4 თვე, რის შემდეგაც, ახალ მესაკუთრეს გადაეცემა საკუთრების ახალი სერტიფიკატი - ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობას.

ახალი მესაკუთრე ვალდებულია დააზღვიოს თავისი ქონება და გააფორმოს ხელშეკრულებები კომუნალურ მომსახურებაზე.

## სანოტარო ტარიფები

ყიდვა-გაყიდვის აქტის ხელმოწერის დღეს, მყიდველი იხდის სანოტარო მომსახურების მოსაკრებელს. აღნიშნული ტერმინი გულისხმობს არა მხოლოდ სანოტარო მომსახურებას, არამედ სხვადასხვა მოსაკრებელს, რომლითაც დატვირთულია უძრავი ქონების გარიგებები და რომელთა მიღებაზეც პასუხისმგებელია ნოტარიუსი. ნოტარიუსი ვალდებულია არა მხოლოდ გამოიანგარიშოს საფასურის ოდენობა, არამედ დააკისროს ის კლიენტს და გადასცეს სახელმწიფო და მუნიციპალურ ხელისუფლებას, დანიშნულებისამებრ.

ვინაიდან ნოტარიუსი ასრულებს საჯარო ფუნქციას, მისი ანაზღაურება მკაცრად არის რეგლამენტირებული. აღნიშნული ტარიფი, რომელიც დადგენილ იქნა 1978 წლის 8 მარტის დეკრეტით, შეიცვალა 4-ჯერ: 2006 წლის 16 მაისის დეკრეტით, 2007 წლის 21 მარტის დეკრეტით, 2011 წლის 17 თებერვლის დეკრეტითა და 2016 წლის 26 თებერვლის დეკრეტით. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ფრანგი მოსახლეობის 73% თვლის, რომ სახელმწიფოს მიერ სანოტარო ტარიფის ფიქსირება „კარგი საქმეა, ვინაიდან წარმოადგენს მოქალაქეთა თანასწორობის გარანტს“ (საფრანგეთის ნოტარიუსები, 2013 წლის მარტი).

ტარიფი მოიცავს: ანაზღაურებას, პროპორციულსა და ფიქსირებულს (დეკრეტით ან ბრძანებულებით) ყველა აქტისა და ფორმალობისთვის, რომელთა მიმართაც იქნა უზრუნველყოფილი აღნიშნული, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულებები, ჩუქება, გაყოფა, გაყიდვა და ა.შ.), ჰონორარებს - ყველა ის აქტი, რომლისთვისაც დეკრეტით არის დადგენილი, რომ ანაზღაურება თავისუფლად დგინდება ნოტარიუსსა და მის კლიენტს შორის (კომერციული იჯარა, კომპანიების აქტები, მოლაპარაკებები, პირველადი კონსულტაციები და ა.შ.) ხელშეკრულებით.

ფიქსირებული ანაზღაურება ვრცელდება იმ აქტებზე, რომლებზეც შეუძლებელია პროპორციული ანაზღაურების გამოყენება. თანხა მერყეობს მოქმედების ტიპიდან გამომდინარე (მაგალითად: მეუღლეებს შორის ჩუქება - 115,39 ევრო). პროპორციული ანაზღაურება გამოითვლება აქტში მითითებული ღირებულების პროცენტის შესაბამისად. მაგალითად: პროპორციული ანაზღაურება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისაგან:

- 0-დან 6500 ევრომდე - 3.945%,
- 6,500 – დან 17 000 ევრომდე - 1.627%
- 17,000-დან 60,000 ევრომდე - 1.085%,
- 60,000 და ზემოთ- 0.814%.

თუმცა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების პროპორციული ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ქონების ღირებულების 10 %-ს.

სანოტარო მომსახურების საფასურს განსაზღვრავს სახელმწიფო და ის დამოკიდებულია გარიგების თანხის ოდენობაზე. აღნიშნული მომსახურება იბეგრება დღე-თი, რომელიც შეადგენს 19.6%.

საშუალოდ, სანოტარო მომსახურებისა და მოსაკრებლების ოდენობა საფრანგეთში უძრავი ქონების შეძენისას, წარმოადგენს გარიგების თანხის 6-დან 8%-მდე.

**უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგების სამართლებრივი რეგულირების ისტორია.** ყიდვა-გაყიდვა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ – ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს. ამ ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების ისტორია ოთხ ათასზე მეტ წელს ითვლის. ითვლება, რომ ეს იყო ერთ – ერთი პირველი გარიგება

გაცვლის გარიგების შემდეგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოხსენიებულია ძველი სამყაროს ადრეულ საკანონმდებლო აქტებში: ჰამურაბის კანონებში, ძველ ეგვიპტეში, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მოითხოვდა განსაკუთრებული პირობების დაცვას: წერილობით ფორმას, მოწმეების არსებობას, ნივთების ზუსტ აღნიშვნას, გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების დადასტურებას.

ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ნორმების სამართლებრივი სისტემების მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში ბევრი წარუმატებელი დებულება გაუქმდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა უფრო დასაბუთებული ნორმები. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულმა სამართლებრივმა ნორმებმა შეიძინა ზოგადი დებულებების ხასიათი სხვა სამოქალაქო გარიგებებისათვისაც. ამის შედეგად, ყიდვა-გაყიდვის ინსტიტუტმა გავლენა მოახდინა ყველა იურიდიული სისტემის სახელშეკრულებო სამართლის ჩამოყალიბებაზე.

კლასიკური რომაული სამართლის ეპოქაში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებმა ფართო განვითარება ჰპოვეს. რომაული სამართალი, რომელიც მოგვიანებით მიღებულ იქნა ევროპის ხალხების მიერ, მაგალითად, რომში იპოთეკა შემოვიდა ძველი ათენიდან: იქ იყო ჩვევა, რომ დატვირთულ მიწის ნაკვეთზე იდგმებოდა სვეტი, რომელზეც აღირიცხებოდა დავალიანების ოდენობა, ხოლო საბერძნეთის ზოგიერთ ქალაქში იყო სპეციალური წიგნები, რომლებშიც რეგისტრირდებოდა ქონების გადაცემა.

რომის სამართლის მიღებამ განაპირობა სახელშეკრულებო სამართლის აღორძინება დასავლეთ ევროპაში, მათ შორის, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებისა.

ევროპის ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი იყო გაცვლის ხელშეკრულებების განვითარება, რაც აიხსნება ნატურალური მეურნეობის არსებობით.

ისტორიულად, საფრანგეთში უძრავი ქონების ბრუნვის შესახებ კანონმდებლობა უკავშირდება მესსიდორის 3 წლის (1795 წ.) 9 კანონს, რომელიც ეძღვნება იპოთეკურ სამართალს, ბრიუმერის 11 კანონს, რომელიც ახდენს საკუთრების გადაცემის რეგლამენტირებას, აგრეთვე, 28 ვანტოზის კანონს, რომელთანაც თავად ნაპოლეონს ჰქონდა კავშირი და მისი საფრანგეთის სამოქალაქო 1804 წლის კოდექსით.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 711, 712 მუხლების შესაბამისად, საკუთრების შეძენა ხორციელდება შემდეგი გზით: სასყიდლიანი (გაყიდვა, გაცვლა და ა.შ.) ან უსასყიდლო (ჩუქება) ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა საფუძველზე; კანონით ან აღთქმით ანდერძით მემკვიდრეობით; ფლობის შედეგად (ხანდაზმულობა); ზრდის შედეგად.

საკუთრების უფლების შეძენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ საფუძველს ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს განეკუთვნება: ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2524-ე მუხლი, რომელიც დაემატა 2006 წლის 23 მარტს, ადგენს, რომ ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებას, უნდა იქნას შედგენილი ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ფორმით.

### **ნოტარიატის ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივები**

ტრადიციულად, ნოტარიუსის კომპეტენცია მოიცავს საოჯახო სამართლის პრობლემებს (მემკვიდრეობას, ქორწინების ხელშეკრულებებს), საკორპორაციო სამართალს და, რა თქმა უნდა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს.



მიუხედავად ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა, მათ შორის სანოტარო სფეროში, ნოტარიუსის უფლებამოსილებას ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთში, აქვს გაფართოების ტენდენცია. ამის მაგალითია 2016 წლის ბოლოს ნოტარიუსებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღონ მეუღლეების განქორწინების რეგისტრაციის პროცესში.

საერთაშორისო კავშირების გაზრდა ხელს უწყობს ნოტარიუსის ჩართვას საერთაშორისო გაცვლით სფეროში საოჯახო სამართლის, საკორპორაციო სამართლისა და უძრავი ქონების სფეროში და იწვევს იმის აუცილებლობას, რომ ნოტარიუსის მიერ დამყარებულ იქნას მჭიდრო კონტაქტი უცხოელ კოლეგებთან, მათი კანონმდებლობისა და გამოცდილების შესწავლის და გაზიარების მიზნით.

### გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. მედეა კოპალიანი - „ნოტარიუსის როლი და მნიშვნელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი „მომამბე“ №34 ; გვ. 32-39; 2019
2. მედეა კოპალიანი, მოხსენების თემა: „სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ლათინური ტიპის ნოტარიატის ევოლუციაზე ევროპაში.“ ქართული უნივერსიტეტი. მეცნიერების და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი. სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "ევროკავშირის გაფართოება-პრობლემები და პერსპექტივები". 2019 წლის 23-24 სექტემბერი.
3. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, International journal of the legal professional, Vol. 13 No. 3 November 20069 published at Routledge, Taylor & Francis Group p. 244.
4. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, p.246,252
5. Bogdan CIUCA. Few Perspectives on the Comparative Law Concerning Notarial Activity. 2009 Acta U. Danubius Jur., 162
6. Статья «Некоторые тенденции эволюции нотариата и нотариальной формы в мире» / Медведев И.Г. // «Нотариальный вестник», май 2014 года
7. Европейский Кодекс Нотариальной этики», принят Конференцией нотариусов Европейского Союза 3–4 февраля 1995 года в Неаполе, изменен 20–21 октября 1995 года в Граце, 17–18 марта 2000 года в Брюсселе и 9 ноября 2002 года в Мюнхене
8. [www.paris.notaires.fr](http://www.paris.notaires.fr)
9. [www.notaires.paris-idf.fr](http://www.notaires.paris-idf.fr)

სანოტარო საქმიანობა ევროპაში და ნოტარიუსის კომპეტენციები უძრავი  
ქონების გარიგებებში

მედეა კოპალიანი - სამართლის მაგისტრი

აბსტრაქტი

ევროპაში ნოტარიატის როლი გაიზარდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დაცვის სისტემაში. დღეის მდგომარეობით, ნოტარიუსთა საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გაფორმებულ დოკუმენტზე სახელმწიფო ბეჭდის დასმით. ისინი ადასტურებენ სხვადასხვა ფაქტებს, გარიგებებს, მინდობილობებს, დოკუმენტებზე ხელმოწერების ნამდვილობას, წარმოადგენენ გადახდის ჩეკებს, აწარმოებენ მოქალაქეების მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმეებს, ახორციელებენ განმარტებას მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, აგრეთვე, დოკუმენტებით გათვალისწინებული პირობების არაკეთილსინდისიერი შესრულების შედეგებს, ასრულებენ სხვა მოქმედებებს, რომლებიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზება.

**Notary activities in Europe and notary competencies Real**

**In property transactions**

**Medea Kopaliani - Master of Law**

**Abstract**

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის**  
**ქართული უნივერსიტეტი**  
**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ევროკავშირის წინაშე არსებული გამოწვევები და გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის ევროპის გაფართოებას. დაარსების დღიდან ევროკავშირი რამდენჯერმე გაფართოვდა, მაგრამ დღეს ის მრავალი გამოწვევის წინაშე დგას (შიდა და გარე), რაც აფერხებს მის შემდგომ გაფართოებას. შიდა გამოწვევებიდან სტატიაში გაანალიზებულია ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, პოპულიზმის და ევროსკეპტიციზმის ზრდა ბებერ კონტიტენტზე და ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა (ბრექსიტი). რაც შეეხება ევროკავშირის წინაშე არსებულ საგარეო გამოწვევებს, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია შემდეგ სამ საკითხზე: მიგრაციის კრიზისი და გაძლიერებული ტერორიზმის საფრთხე, კრემლის მზადყოფნა, ხელი შეუშალოს ევროკავშირის გაფართოებას და ყოფილი კომუნისტური ქვეყნების უუნარობა გაატარონ დემოკრატიული რეფორმები.

**Factors that prevent the enlargement of the European Union**  
**Valeri Modebadze**  
**St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**

This article discusses the challenges facing the EU and analyzes those factors that hinder Europe's expansion. Since its establishment, the EU has expanded several times, but today it faces many challenges (internal and external) that hinder its further expansion. From domestic challenges this article analyzes the economic and financial crisis, the rise of populism and Euroscepticism on the Old Continent, and Brexit. As for the external challenges facing the EU, particular attention is paid to the following three issues: the migration crisis and the heightened terrorism threat, the Kremlin's readiness to hinder EU enlargement and the inability of the former communist countries to carry out democratic reforms.

**Facteurs qui empêchent l'expansion de l'Union européenne**  
**Valeri Modebadze**  
**Saint André le Premier Appelé du Patriarcat de Géorgie Université Georgian**

Cet article traite des défis auxquels l'UE est confrontée et analyse les facteurs qui entravent l'expansion de l'Europe. Depuis sa création, l'Union européenne s'est élargie plusieurs fois, mais elle est aujourd'hui confrontée à de nombreux défis (internes et externes) qui entravent son expansion. À partir de défis nationaux, cet article analyse la crise économique et financière, la montée du populisme et de l'euroscepticisme sur le Vieux Continent et le Brexit. En ce qui concerne les défis extérieurs auxquels l'UE est confrontée, une attention particulière est accordée aux trois problèmes suivants: la crise migratoire et la menace terroriste accrue, la volonté du Kremlin de faire obstacle à l'élargissement de l'UE et l'incapacité des anciens pays communistes à mener des réformes démocratiques.

## ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის გავლენა დასავლურ მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაზე

მარიამ ფრიდონაშვილი  
თ.ს.უ ხელოვნებათმცოდნეობა  
დოქტორანტი

### მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის რაობა

#### 1. მოდერნიზმი

მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ევროპისთვის აღინიშნა მწვავე ომებისა და რევოლუციების სერიით, რომელმაც თანდათან დასაბამი მისცა ახალი იდეებისა და დოქტრინების ტალღას, ე.წ. რომანტიზმს<sup>1</sup>. ამ იდეების ფოკუსი ინდივიდის სუბიექტური გამოცდილება, ბუნების, როგორც ხელოვნების სტანდარტული სუბიექტის, უზენაესობა, გამოხატვის რევოლუციური ან რადიკალური მიმართულებები და ინდივიდუალური თავისუფლებაა. საუკუნის შუა წლებში ამგვარი რადიკალიზმი შესამჩნევად განელდა და ნაწილობრივ 1848 წლის ჩაშლილი რომანტიკული რევოლუციების გამო გაჩნდა ამ იდეათა მმართველობის სტაბილურ ფორმებთან სინთეზი. ეს მასტაბილიზირებელი სინთეზი გახდა საფუძველი იდეისა, რომ ის, რაც "რეალურია", დომინირებს იმაზე, რაც სუბიექტურია.

მოდერნიზმისთვის დამახასიათებელი თვისებები სოციალური ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში აისახა, სხვადასხვა თეორეტიკოსები, ავტორები მოდერნიზმს განსხვავებული პერსპექტივიდან განიხილავენ, მაგრამ არსებობს რამდენიმე ძირითადი ცნება, რაც მკაფიოდ გადმოსცემს მოდერნიზმის რაობასა და თვისობრიობას. მაგ; მოდერნიზმი თავისთავში უკვე გულისმობს „მოდერნიზაციას“, შესაბამისად, მოდერნიზებულ სამყაროსთან ადამიანს უწევს იყოს ადაპტირებული, რათა არ ასცდეს დროსა და სივრცეში არსებულ მოცემულობას. მოდერნიზმის ადამიანი გარემო პირობებთან მიმართებაში ნაკლებად სენსიტიური და ემოციურია, ფეხს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ტექნიკური ევოლუციის პროცესში იღებს აქტიურ თანამონაწილეობას, ყალიბდება ლიბერალური დემოკრატია და ადამიანი, როგორც ინდივიდუალური არსება, ხდება რაციონალური. სახელმწიფოებრივ დონეზე კი იწყება რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკის წარმოება, რომელიც წინა წყობებთან შედარებით ჰუმანურია და მიმართულია ინდუსტრიალიზაციისა და სეკულარიზმისაკენ არის მიმართული.

მოდერნიზმმა ფილოსოფოსებმა და მწერლებმა დატოვეს უამრავი ვერსია იმის შესახებ, თუ რა არის მოდერნიზმი და რა საჭიროება დადგა მისი არსებობითვის; მაგალითად, ნიცშემ, დოსტოევსკიმ, კაფკამ განმანათლებლობის მთავარი აზრი - რაციონალიზმი და მისი წარმატების რწმენა ეჭვქვეშ დააყენეს. თუმცა ეს პერიოდი ასევე სულიერი რწმენის კრიზისითაც გამოირჩეოდა - ნიცშე შემეცნებაზე მაღლა სიცოცხლეს აყენებდა. მისთვის სიცოცხლე სრულ ღირებულებას წარმოადგენდა, ხოლო სიცოცხლის ნება ძალაუფლების ნებასაც გულისხმობდა. ამან კი ახალი რელიგიის ფორმირება - „ქერა ბესტიას“, „ზეკაცის“ შექმნა განაპირობა.

<sup>1</sup> რომანტიზმი — მიმდინარეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, აღმოცენდა XVIII საუკუნეში

მოთხრობაში, „მტრედი“, კავკას მოდერნისტულ-ექსპრესიონისტულ „ლაბირინთის პრობლემას“ პოსტმოდერნისტული აღქმა - „სამყარო, როგორც ქაოსი“, „სამყარო, როგორც ტექსტი“, ეხმიანება. ცხოვრებისეულ ქაოსში მწერალთან მარგინალური სახეებისთვის თავდაცვითი იმპულსები პოსტმოდერნისტული ირონიით იკვეთება, რადგან მის თანამედროვე აღქმაში ყოფა არა დამლუპველ - დამანგრეველ ქაოსად, არამედ გარდაუვალ მოვლენად არის მიჩნეული, რომელიც თანამედროვე კულტურამ გამოავლინა.

## **2. პოსტმოდერნიზმი**

რაც შეეხება პოსტმოდერნიზმს, ის მეოცე საუკუნის მიწურულს იწყებს არსებობას და მისი საწყისები ფილოსოფიასა და ლიტერატურას უკავშირდება. მოდერნიზმისგან განსხვავებით „პოსტ“<sup>2</sup> უკვე აღნიშნავს იმას, რომ მომდევნო პროცესებს ახალი სიცოცხლე უნდა შემოეტანა საზოგადოებაში. პოსტმოდერნიზმში მოდერნიზმისგან განსხვავებით უკვე არსებულით დაკავება და ინტერპრეტირება ხდება ტენდენციური, ვიდრე ახლის შექმნა. შესაბამისად, პოსტმოდერნიზმი არსებულის გადაფასება და კრიტიკული ანალიზია.

ტერმინი- პოსტმოდერნიზმი- ფრანგმა ფილოსოფოსმა ჟან ფრანზუა ლოტარმა 1979 წელს შემოიტანა და პირდაპირ დაუკავშირა „დიდი ნარატივების“ დასასრულს. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ყველაზე დიდი ნარატივის - ღმერთის სიკვდილით- ნიცშემ უკვე მისცა ბიძგი ამ პროცესებს მოდერნიზმში.

ფილოსოფიაში პოსტმოდერნული იდეების გავრცელებამ საზოგადოებაში გაზარდა კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და საფუძველი დაუდო ახალ მიმდინარეობებს ლიტერატურაში არქიტექტურასა და დიზაინში. პოსტმოდერნიზმმა შეაღწია მარკეტინგში, ისტორიაში, ფილოსოფიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში. შესაბამისად, მოხდა დასავლური ფასეულობების, (სიყვარული, ქორწინება, პოპულარული კულტურა და ა.შ.) გადაფასება. ამ პროცესების მწვერვალად 1968 წლის სოციალური რევოლუციის პერიოდი ითვლება. პოსტ მოდერნიზი ხშირად მოიაზრება ტერმინ „პოსტსტრუქტურალიზმის“<sup>3</sup> სინონიმადაც, რადგან იგი სწორედ ამ უკანასკნელის იდეებიდან აღმოცენდა.

პოსტმოდერნიზმის ავტორები არიან: ჯონ ბარტი, ხორხე ლუის ბორხესი, ვლადიმირ ნაბოკოვი, ორჰან ფამუქი (ლიტერატურაში); ჟაკ დერიდა და ჟან ბოდრიარი (ფილოსოფიაში), რომელთა თეორიებზეც დგას პოსტმოდერნისტული კულტურა.

### **მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი ხელოვნებაში**

მოდერნიზმი, კლასიკური განმარტებით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული ტენდენციების ერთობლივი სახელწოდებაა. მხატვრულ მიმდინარეობებში იგულისხმება: იმპრესიონიზმი, მოდერნი და სიმბოლიზმი.

ხელოვნებაში ამ პერიოდს (1960-1970) შეგვიძლია ისტორიული მოცემულობის კულტურული ექსპრესია ვუწოდოთ. აკადემიური ხელოვნებისგან განსხვავებით მოდერნიზმი არის სუბიექტური აღქმების რეპრეზენტაციის ეპოქა, ინდივიდუალური ექსპრესიების მოდერნისტული გამოხატვა.

<sup>2</sup> პოსტ- ნიშნავს შემდგომს, მომდევნოს

<sup>3</sup> პოსტსტრუქტურალიზმი-ინტელექტუალური მიმართულება ევროპულ ფილოსოფიასა და კრიტიკულ თეორიაში, რომელიც მე-20 საუკუნის ფრანგული ფილოსოფიის წიაღში აღმოცენდა.

თემის მეტად დასავიწროვებლად განვიხილავ მოდერნიზმის წამყვან ფიგურებს (მხატვრებს). ამ პერიოდის ხელოვნებას ისეთმა მხატვრებმა ჩაუყარეს საძირკველი, როგორებიც არიან: ვინსენტ ვან გოგი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ჟორჟ სერა და ჰენრი დე ტულუზ-ლოტრეკი. XX საუკუნის დასაწყისში ჰენრი მატისისა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა მხატვრის, მათ შორის, პრე-კუბისტების- ჯორჯ ბრაკის, ანდრე დრეინის, რაულ დუფის, ჟან მეტონგერის და მორის დე ვლამინკის, რევოლუციამ მოახდინა პარიზის ხელოვნების სამყაროს შექმნა, მრავალფუნქციური, ექსპრესიული პეიზაჟებით და ფიგურული ნახატებით, რომლებსაც უკვე შემდგომში ხელოვნების კრიტიკოსებმა ფოვიზმი უწოდეს. მატისის ნამუშევარმა, სახელწოდებით, *The Dance*- მა (ცეკვა), აღმოჩნდა თანამედროვე მხატვრობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ეს ნამუშევარი თანამედროვე ხელოვნებაში სრულიად ახალ დამოკიდებულებასა და ხედვას გვთავაზობს, როგორც მისი კომპოზიცია, ასევე ფერთა გამა ახალი სიტყვაა მოდერნიზმში: ფიგურების ინტენსიური თბილი ფერი, ძლიერი ლურჯ-მწვანე ფონის საწინააღმდეგოდ მოცეკვავე შიშველი ფიგურების რიტმული თანმიმდევრობა გადმოგვცემს ემოციურ განთავისუფლებას და ჰედონიზმს.

ტულუზ-ლოტრეკის, გოგენის და მე -19 საუკუნის სხვა ინოვაციების ზეგავლენით პაბლო პიკასომ თავისი პირველი კუბისტური ნახატები შექმნა სეზანის იდეებზე დაყრდნობით, პიკასოს იდეით ბუნების ყველა გამოსახულება შეიძლება შემცირდეს სამ სიმყარად: კუბი, სფერო და კონუსი. *Les Demoiselles d'Avignon*- ის ნახატი (1907), პიკასომ დრამატულად შექმნა ახალი და რადიკალური სურათი, რომელიც ასახავს უხეში და პრიმიტიული ბორდელის სცენას ხუთი მეძავით, ძალადობრივად შეღებილი ქალებით, აფრიკული ტომების ნიღბებით და საკუთარი ახალი კუბისტური გამოგონებებით.

როდესაც ვსაუბრობთ მოდერნიზმზე გვერდს ვერ ავუვლით ისეთ არტისტს როგორცაა მარსელი დიუმანი (1887-1968) ფრანგი წარმოშობის ამერიკელი ხელოვანი, რომელიც მოღვაწეობდა ხელოვნების სხვადასხვა დარგებში და მედიებში: კუბიზმი, დადაიზმი, კონცეპტუალური ხელოვნება, კრიტიკა და სხვა.

ცოტა რამ დადაიზმის შესახებ: დადაიზმი იყო ევროპული ავანგარდის სახელოვნებო მოძრაობა მე -20 საუკუნის დასაწყისში. იგი დაიწყო 1916 წელს ციურიხში, შვეიცარიაში, შემდეგ მალევე გავრცელდა ბერლინში. მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ვიზუალურ ხელოვნებას, ლიტერატურას, პოეზიას, ხელოვნების მანიფესტებს, ხელოვნების თეორიას, თეატრს და გრაფიკულ დიზაინს და კონცენტრირებას უკეთებდა ანტისაზომიურ პოლიტიკას ხელოვნებაში გაბატონებული სტანდარტების უარყოფის გზით, ხელოვნების საწინააღმდეგო კულტურული ნაწარმოებების საშუალებით. გარდა ამის საწინააღმდეგოდ, დადა ასევე იყო ანტი-ბურჟუაზიული მოძრაობა, რადიკალურ მემარცხენეობასთან.

დადას საქმიანობა მოიცავდა სახალხო შეკრებებს, დემონსტრაციებს და ხელოვნების / ლიტერატურული ჟურნალების გამოცემას; მათი ხელოვნების, პოლიტიკის და კულტურის გაშუქება ხდებოდა სხვადასხვა მედიაში განსახილველი თემები. მოძრაობის ძირითადი ფიგურები, გარდა დუშამპის გარდა, იყვნენ: უგო ბურთი, ემის ჰენინგსი, ჰანს არპი, რაულ ჰუსმანი, ჰანა ჰოხი, იოჰანეს ბაადერი, ტრისტან ცარა, ფრენსის პიკაბია, რიჩარდ ჰუელსენბეკი, გეორგ გროზი, ჯონ ჰარტფილდი, ბეატრის ვუდი, კურტ შვიტერსი და ჰანს რიხტერი. მოძრაობამ გავლენა მოახდინა მოგვიანებით სტილებზე, როგორებიცაა

ავანგარდული და ცენტრალური მუსიკალური მოძრაობები და ჯგუფები, მათ შორის სიურეალიზმი<sup>4</sup>, პოპ არტი<sup>5</sup> და ფლუქსუსი<sup>6</sup>.

### ზიგმუნდ ფროიდი

სრული სახელი ზიგმუნდ სოლომონ ფროიდი, ავსტრიელი (6 მაისი 1856 წ, მაშინდელი ავსტრია - უნგრეთის პროვინცია მარავიაში, ქ. ფრაიბერგში, ამჟამად ჩეხეთი ქ.პრჟიბორი - 23 სექტემბერი, 1939, ლონდონი) ნერვოპათოლოგი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. გარდა იმისა რომ ფროიდმა შექმნა ფსიქოანალიზზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური მკურნალობის მეთოდოლოგიები, მან ასევე ჩამოაყალიბა ფსიქოდინამიკა, რაც გულისხმობს; ახალ ფსიქოლოგიურ თვალსაზრისს, რომელშიც ცენტრალურია: წინააღმდეგობების პრინციპი, გადატანა, არაცნობიერი და ლტოლვა.

ფროიდის ნაშრომი „კულტურით უკმაყოფილება“ (1930წ) რომელიც მისი კულტურული პესიმიზმის, ანტიმოდერნისტულ შეხედულებებს შეიცავს, დაიწერა 1929 და გამოიცა მომდევნო წელს. ტრაქტატში ავტორი ხატავს სუსტი „მე“-ს (ლათ. „ego“) სურათს, რომლისგანაც ყოველი მხრიდან მოითხოვენ შეუძლებელს „იგი“ (ლათ. „id“) და „ზე-მე“ (ლათ. „super-ego“) (მან ეს ტერმინები ფსიქოლოგიაში 20-იან წლებში დაამკვიდრა), და შინაგანი ფსიქიკური კონფლიქტები (სიამოვნებისა და სინამდვილის პრინციპებს, ცნობიერისა და გაუცნობიერებელის პრინციპებს შორის) ადამიანთა ცივილიზაციაზე გადააქვს. ფროიდი თვლის, რომ ცივილიზაცია განისაზღვრება ისეთივე კონფლიქტის სივრცედ, როგორც წარმოიქმნება ერთი რომელიმე ინდივიდის ფსიქიკაში, ხოლო ვინაიდან ადამიანის ბუნებაში არსებობს სწრაფვა თვითგანადგურებისაკენ, ამ ძალის მიერ წარმოშობილი აგრესიული იმპულსები მუდამ ეძებენ გამოსავალს და შედიან დაუსრულებელ წინააღმდეგობაში ლიბიდოსთან და ცივილიზაციასთან. საბოლოო შერიგება ბუნებასა და კულტურას შორის წარმოუდგენელია, რის გამოც ცივილიზაციით უკმაყოფილების გადაწყვეტა არის შეუძლებელი. საფასური ცივილიზაციისათვის არის დანაშაულის გრძნობა და უკმაყოფილება, რომლებიც აქვთ ადამიანებს თავისი პირველყოფილი ინსტინქტების დათრგუნვისა და მათი გაკონტროლების უუნარობის გამო.

ფროიდის კონცეფციებმა ფსიქოლოგიაში, უზარმაზარი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მეოცე საუკუნის ფსიქოლოგიასა და თეორიულ აზროვნებაზე, არამედ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაზე. მის მიმდევრებში თავისუფლად შეგვიძლია მოვიხილოთ: კარლ გუსტავ იუნგი, ჰერბერტ მარკუზე, კლოდ ლევი-სტროსი, სალვადორ დალი, ჯეიმზ ჯოისი, თომას მანი, ალფრედ ჰიჩკოკი, ოტო რანკი და ა.შ.

ზოგადად ფროიდის თეორიების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ფილოსოფოსებმა: ნიცშემ და შოპენჰაუერმა<sup>7</sup>. ნიცშეს შეხედულებებით ზნეობრივი ღირებულებები ინტერნალიზებული აგრესიის შედეგია, რასაც ფროიდიც ეთანხმება. ასევე

<sup>4</sup> სურრეალიზმი-მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში XX საუკუნის შუა წლებში. ოფიციალურად ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბება უკავშირდება საფრანგეთში, ანდრე ბრეტონის მიერ 1924 წელს სიურრეალისტური მანიფესტის გამოქვეყნებას. სიურრეალისტების მიზანია ფარდა ახადონ ქვეცნობიერს, სიღრმისეულად გამოიკვლიონ სამყარო.

<sup>5</sup> პოპ-არტი-XX საუკუნის ვიზუალური ხელოვნების მიმდინარეობა. წარმოიშვა 1950-იანი წლებში ბრიტანეთში

<sup>6</sup> ფლუქსუსის მიმდინარეობა ჩამოყალიბდა 1959 წელს. მისი ფუძემდებელია ჯორჯ მაკიუნასი.

<sup>7</sup> არტურ შოპენჰაუერი-გერმანელი ფილოსოფოსი-მიზანთროპი.

შოპენჰაუერთან ვხვდებით შემდგომში უკვე ფროიდის მხრიდან გავრცობილ თეორიებს, იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის ქცევაში დიდი წილი მნიშვნელობისა მოაქვს სექსუალობას და მის აღქმას.

ფროიდის მიხედვით ფსიქიკის ტიპოგრაფიული მეთოდი გამოყურება შემდეგნაირად: ცნობიერი, წინაცნობიერი, არაცნობიერი. რაც შეეხება პიროვნების სრულქტირას, მასში სამ კომპონენტს გამოყოფს, ესაა იგი (ID), მე (EGO), ზე-მე (Super EGO).

მიუხედავად იმისა ფროიდმა შექმნა ფსიქოლოგიაში ახალი ეპოქა (ფსიქოანალიზი) და ამ სფეროში შემოიტანა სუბიექტის მნიშვნელობა, მაინც მის თეორიებსა და ნაშრომებს საკმაოდ საფუძვლიანი კრიტიკა დაჰყვება. მაგ: ის რომ ფროიდი არ ეყრდნობა საკმარის ემპირიულ პროცედურებს, ენეგეტიკული მოდელის გამო, პაციენტებთან ზედმეტი მინდობილობა და ამბის მხოლოდ ერთი წყაროდან გადაუშოწმებლად მიღება, სექსიზმი რომელიც მის თითქმის ყველა ნაშრომში საკმაოდ ვრცლად გვხვდება, ის თუ რა როლს ანიჭებს ქალს და რამდენად ამცირებს მის შესაძლებლობებსა და უფლებებს კაცთან შედარებით. ამ და სხვა მიზეზების გამო ხშირად თანამედროვე მეცნიერენა ფროიდის აქამდე ღირებულ თეორიებს ეჭვქვეშ აყენებს.

### **ზიგმუნდ ფროიდის და მისი ფსიქოანალიზის გავლენა დასავლურ ხელოვნებაზე**

ფროიდის კონცეფციაში, მხატვრული შემოქმედების ანალიზს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მხატვრული შემოქმედებით ფროიდის დაინტერესება იწყება ფსიქიატრიული მკურნალობის ფსიქოანალიზური მეთოდოლოგიის შექმნის პარალელურად. (შემოქმედება როგორც მკურნალობის ან პაციენტის კვლევის მეთოდი)

ფროიდისთვის ხელოვნება წარმოადგენს არაცნობიერის სუბლიმაციის<sup>8</sup> შედეგს, მისი აზრით ხელოვნება იქმნება ამ არაცნობიერი ენერგიით, რომელიც დაგროვდა თანდაყოლის ინსტინქტში. ხელოვნებისთვის თერაპიული ფუნქციის მიანიჭებამ, ფროიდი იმ დასკვნამდე მიიყვანა რომ, მხატვრულ შემოქმედებას ძირითადად სტიმულები წარმართავენ. ე.წ დაუკმაყოფილებელი სურვილების აღსრულება, ისეთი როგორცაა, პატივმოყვარული სურვილები და ეროტიული სურვილები. შებამისად მისი მხრიდან, ხელოვნებას ენიჭება გატაცების სტატუსი, რომელიც ტანჯვისგან იცავს ადამიანს და უქმნის წუთიერი ბედნიერების ილუზიას, რადგან როგორც თავად აღნიშნავს: ხელოვანი ფანტაზიორია და ბედნიერი ადამიანი არ ფანტაზიორობს.

ფროიდმა ზეგავლენა იქონია და იდეებით გამოკვება სახელოვნებო მოძრაობები, ისეთი როგორცაა: სურეალიზმი და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი<sup>9</sup>. ფსიქოლოგიისთვის ხელოვნების მთავარ და ძირითადად მოტივად და სტიმულად ისევ ადამიანი რჩება. მისი შინაგანი, ფარული ლატენტობის რაობის კვლევის საგანი.

ფროიდის სიზმრის ახსნებთან აუცილებელი პარალელი ხელოვნებაში სურეალიზმია და მისის წარმომადგენელი სალვადორ დალი. მისი ნამუშევრები სხვა არაფერია გარდა

<sup>8</sup> სუბლიმაცია-ნერვის გადატანა სექსუალური ლტოლვებიდან, პირდაპირი მიზნიდან მიღებულ იქნეს დაკმაყოფილება და გაგრძელდეს შთამომავლობა, არასექსუალური - სოციალური მიზნებისაკენ.

<sup>9</sup> აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი-ელოვანთა მიმდინარეობა (სკოლა), რომლის წევრები სწრაფად და დიდი ზომის ტილოებზე ხატავდნენ არაგომეტრიული შტრიხების, დიდი ფუნჯების, ზოგჯერ ტილოზე დაწვეთების მეშვეობით, ემოციების სრული გამოვლენისთვის.

არაცნობიერისა და სიზმრისა. ასევე მის ნამუშევრებში ხშირად ვხვდებით ეროტიული-თანატურ<sup>10</sup> საკითხებს.

სალვადორ დალის „ნარცისისზმის მეტამორფოზა“, რომელზეც ასახულია ბერძნული მითი, ნარცისის რომელიც საკუთარ ანარეკლს უყურებს წყალში, იქვე ფონად არც ისე შორს მოსჩანს ქვის ფიგურა რომელიც ნარცისის სილუეტს იმეორებს მცირედი გასხვავებებით. ფონზე მოცემული შიშველი ფიგურები და კვერცხი (კვერცხი სხვა ნამუშევრებშიც ხშირად გვხვდება დალისთან) მოაზრება როგორც სექსუალობის სიმბოლო. ეს ნამუშევარი ერთგვარი ილუსტრაციაა ფროიდის კვლევებთან - ნარცისიზმე და ლიბიდოზე. ნარცისის რომელიც ცდილობს მოახდინოს კოგნიტური დისონანსის დაძლევა და „ეგოს“ დაცვის ხარჯზე ეძებს პოზიტიურ სტიმულებს გარემოში. დალისთანაც პათოლოგიურად ეგოცენტრული ნარცისი იდენტიფიცირებას ახდენს წყალში, ანერეკლის საშუალებით და იკმაყოფილებს სექსუალურ ლტოლვებს.

ფროიდის ხელოვნების თეორიაში ცენტრალური ადგილი ლიბიდოს უჭირავს. ლუსიენ ფროიდი ზიგმუნდ ფროიდის შვილიშვილი და ბრიტანელი მხატვარია (1922 წლის 8 დეკემბერი - 2011 წლის 20 ივლისი). ლუსიენს პირველი პერსონალური გამოფენა 22 წლისას ჰქონდა, მისი ადრეული ნამუშევრები კრიტიკოსებისთვის მხოლოდ ზიგმუნდ ფროიდის ილუსტრაციებს წარმოადგენდა, რაც შეიძლება იმით აიხსნას რომ ლუსიენის ადრეული ნამუშევრები სურეალისტური იყო. მიუხედავად იმისა რომ ლუსიენი თავადაც აღიარებდა შემოქმედებაზე მისი ბაბუის გავლენას და მისი სახელის გამოყენებას საკუთარი კარიერის შექმნისთვის, მისი შემოქმედება რეალურად იმსახურებს იმ საჯარო აღიარებს რაც მან მოიპოვა.

ლუსიენმა დაიწყო ფიგურატიული ნახატების შექმნა, მუშაობდა პორტრეტებზეც. იგი ზიგმუნდ ფროიდის მსგავსად აღიარებს ადამიანის დესტრუქციულ ბუნებას, აგრესიულობას და ლიბიდოს მნიშვნელობას. ლუსიენის ფიგურები (ნატურები) გამოირჩევიან ცივიკ, ინდეფერენტული მზერით, მათი სხეულები განსხვავებულია საზოგადოდ დამკვიდრებული სილამაზის სტანდარტებიგან. ლუსიენი მნახველს საკუთარი ნამუშევრებით უყვება იმის შესახებ რომ ნებისმიერი სხეული შეიძლება იყოს ლამაზი ან მიმზიდველი. მისი ფიგურები ხშირად სექსუალურად დაკმაყოფილებულ ან დაუკმაყოფილებელნი არიან, მის ნამუშევრებში ლიბიდო, სექსუალობა და დესტრუქცია წამყვანი კონცეფციებია.

ეროტიულ-თანატური მოტივები გვხვდება ავსტრიელ მხატვარ ეგონ შილესთანაც (1890 წლის 12 ივნისი - 1918 წლის 31 ოქტომბერი) ის ექსპრესიონიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად მოიაზრება ხელოვნების ისტორიაში. შილემ მოდერნიზმის ეპოქაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თავისი ხატვის განსხვავებული ტექნიკითა და ხედვით. ეგონ შილეს ნამუშევრებში ძლიერი ზეგავლენა იგრძნობა ზიგმუნდ ფროიდისა, ისი ფიგურები, დასუსტებული, უხეში ხაზებით დახატულები, გამოხატავენ იმ დრამას და უუნარობას რაც ფროიდისვე თეორიებით თანმდევია ყველა იმ პრობლემებთან ერთად როდესაც ლიბიდოს ფენომენს განიხილავს. მისი განადგურებული პერსონაჟები სხვადასხვა დრამატული მაგრამ

<sup>10</sup> თანატური- მომდინარეობს სიტყვა თანატოსიდან, ბერძნულ მითოლოგიაში წარმოადგენს სიკვდილის ღმერთს, ნიქტის (ღამე) და ერებოსის (წყვდილი) შვილი.



სექსუალური პოზებით, ცდილობენ მაცდური და დესტრუქციული განწყობის შემოტანას მნახველში.

### გავლენის კვალი და მნიშვნელობა

ხელოვნებაში ფროიდის წილი და როლი იმაზე დიდა ვიდრე ეს შეიძლება ზოგადად ჩანდეს, რადგან ფროიდმა ხელოვნებს მისცა საშუალება ექსპრესიის გამოხატვისა, მან თითქოს სამყარო მოამზადა ისეთი ხელოვნების ლეგიტიმაციისთვის რისთვისაც შეიძლება არც სახელოვნებო სივრცე და არც საზოგადოება მზად არ იყო.

ფროიდის კრიტიკოსთა სიაში ფემინისტები მოწინავე პოზიციებზე იმყოფებიან, მისი ნაშრომის „პენისის შურის“ და „ფსიქოანალიზის“ გამო. სადაც ის ქალებს შესაბამისი თანასწორობით არ განიხილავს როგორც მამაკაცებს. ასე რომ ფემინისტური საფუძვლიანი კრიტიკა ფსიქოანალიტიკოსის მიმართ, ქმნის მეორე რეალობას, რომ ფროიდი თითქმის არ წარმოადგენდა ინსპირაციის წყაროს ქალი მხატვრებისთვის. ფროიდით გატაცებული თეთრკანიანი პრივილეგირებული მამაკაცების მხატვრობა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებისა, სხვადასხვა რასებისა და უმცირესობების ხელოვნებისგან. ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ ფროიდზე, თავიდანვე მოვიაზრებთ მას როგორც პატრიარქალური წესრიგის ავტორს, რომელმაც დიდი გავლენა მოიტანა კაცების ხელოვნებაში და არამარტო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Sarane Alexandrian*, Surrealist art, Thames & Hudson Ltd; Édition : Reprint (18 novembre 1985)
2. *Cherry Kendra*, Freud's Perspective on Women, Updated June 30, 2019, *retrieved from* <https://www.verywellmind.com/how-sigmund-freud-viewed-women-2795859> 10/09/2019
3. *Schafer Roy*, Problems in Freud's Psychology of Women, Research Article , first Published June 1, 1974, *retrieved from* <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/000306517402200301?journalCode=apaa> 10/09/2019
4. *Shapka Lindsay*, Freud's Surreal Influence on Art, *retrieved from* <https://theanthrotrorian.com/art/2012/10/20/freuds-surreal-influence-on-art> 10/09/2019
5. *Freud Sigmund*, General Introduction to Psychoanalysis , Wordsworth Editions Ltd, UK ed. (8 juin 2012) *online version retrieved from* <https://eduardolbm.files.wordpress.com/2014/10/a-general-introduction-to-psychoanalysis-sigmund-freud.pdf> 20/09/2019
6. *Dvorsky George*, Why Freud Still Matters, 8/07/13, *retrieved from* <https://io9.gizmodo.com/why-freud-still-matters-when-he-was-wrong-about-almost-1055800815> on 10/09/2019
7. National Portrait Gallery - Lucian Freud *retrieved from* <https://www.npg.org.uk/collections/search/person/mp01684/lucian-freud> on 20/09/2019
8. The Collection of the largest groupings of Salvador Dalí artworks, Dali Universe; Dali and Freud *retrieved from* <https://www.thedaliuniverse.com/en> on 20/09/2019

9. Freud, Dalí and the Metamorphosis of Narcissus, An exhibition exploring the connection between Sigmund Freud and Salvador Dalí, Freud Museum London, *retrieved from* <https://www.freud.org.uk/exhibitions/freud-dali-and-the-metamorphosis-of-narcissus/>
10. Egon Schiele - Austrian Draftsman, Painter, and Printmaker *retrieved from* <https://www.theartstory.org/artist/schiele-egon/> on 20/09/2019
11. *Duignan Brian*, Postmodernism , *retrieved from* <https://www.britannica.com/topic/postmodernism-philosophy> on 20/09/2019
12. *Kuiper Kathlen* , Modernism Art Definition, *retrieved from* <https://www.britannica.com/art/Modernism-art> on 20/09/2019
13. History of Modernism ; Modernism: Charachters , *retrieved from* [https://www.mdc.edu/wolfson/academic/artsletters/art\\_philosophy/humanities/history\\_of\\_modernism.htm](https://www.mdc.edu/wolfson/academic/artsletters/art_philosophy/humanities/history_of_modernism.htm) on 20/09/2019
14. *Hans Richter* , Dadaism Art and Anti Art, Thames & Hudson Ltd; Édition : 2nd Revised edition (1 octobre 2016)
15. *Thompson Karl*, From Modernism to Post Modernity , *retrieved from* <https://revisesociology.com/2016/04/09/from-modernity-to-post-modernity/> on 20/09/2019
16. *Bernard Michael*, Postmodernism, and Liberals Don't Understand Why , 2018 *retrieved from* <https://medium.com/s/story/conservatives-hate-post-modernism-and-liberals-dont-understand-why-7ba19eecab4d> on 20/09/2019

## **ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის გავლენა დასავლურ მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაზე**

### **აბსტრაქტი**

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ზიგმუნდ ფროიდის წვლილი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, მაგრამ რა ცვლილებები შეიტანა მან ხელოვნების დარგში, რა გავლენა დატოვა მხატვრებზე და მათ ნამუშევრებზე?

ეს საკითხი პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე არ კარგავს აქტუალურობას ხელოვნების მკვლევარებისთვის. ფსიქოანალიზისთვის იმდენადვე საჭიროა ხელოვნების გამოყენება, როგორც მეთოდი, რამდენადაც ხელოვნებას ფსიქოანალიზის ცოდნა და გააზრება. ფროიდის გავლენის ქვეშ იყვნენ მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის წამყვანი არტისტები. მის სახელს უკავშირდება ასევე სურეალიზმის ფუძემდებლობა, რადგან მის თეორიებზეა დაწერილი ანდრე ბრეტონის მიერ სურეალიზმის მანიფესტი.

სტატიაში განხილულია ხელოვნების მიმდინარეობები, მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის რაობა, კონკრეტული არტისტების კონკრეტული ნამუშევრები რომელმც ფროიდის გავლენა ფიქსირდება, ფსიქოანალიზისა და ხელოვნების კომპარატივისტიკა.

## **The Influence of Sigmund Freud's Psychoanalysis on the Western Modernist and Postmodernist Art**

### **ABSTRACT**

Sigmund Freud's contribution to modern psychology is well known to the public, but what changes has he made in to the art, how has it affected artists and their work?

This issue has not lost any actualities to art scholars since World War I. For psychoanalysis it is essential to use the art as a method of research and consequently the art often needs proper understanding and study of psychoanalysis. Freud influenced most of the leading artists of modernism and postmodernism. He is also considered as a founder of surrealism; Andre Breton's *Manifesto of Surrealism* is based on all the theories of Freud.

The article discusses the current state and branches of the art, the nature of modernism and postmodernism, the specific works of particular artists with Freudian influence, analytical comparison of the art and psychoanalysis.

## **L'influence de la psychanalyse de Sigmund Freud sur l'art moderniste et postmoderniste occidental**

### **R E S U M E**

La contribution de Sigmund Freud à la psychologie moderne est bien connue du public, mais quels changements a-t-il apportés à l'art, comment cela a-t-il affecté les artistes et leur travail?

Cette question n'a pas perdu de son actualité pour les spécialistes de l'art depuis la Première Guerre mondiale. La psychanalyse est essentielle pour utiliser l'art comme méthode de recherche et, par conséquent, l'art a souvent besoin d'une compréhension et d'une étude appropriées de la psychanalyse. Freud a influencé la plupart des grands artistes du modernisme et du postmodernisme. Il est également considéré comme un fondateur du surréalisme. Le Manifeste du surréalisme d'André Breton est basé sur toutes les théories de Freud.

L'article traite de l'état de l'art actuel, de la nature du modernisme et du postmodernisme, des œuvres spécifiques d'artistes particuliers ayant une influence freudienne, de la psychanalyse et de l'art comparé et de la psychanalyse.

## ემოციური ინტელექტი და ადამიანური რესურსების მართვა

კესო სუმბაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

BTU – მიწვეული ასისტენტ-პროფესორი

ადამიანური რესურსი ორგანიზაციისთვის ნამდვილი სიმდიდრეა. ამიტომაც მათი მართვა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და საფრთხილო საქმეა. იგი მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებას როგორცაა: - დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, მოზიდვა, შერჩევა, დაქირავება, განვითარება, კარიერული წინსვლის ორგანიზება, სწავლება, საქმიანი კარიერის მართვა, მოტივაცია, კონფლიქტების მოგვარება, სტრესის მართვა და სხვა, თითოეული ფუნქციის განხორციელება დამოკიდებულია მენეჯერის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებაზე და მოხერხებულობაზე. გარდა ამისა მნიშვნელოვანია მენეჯერი ფლობდეს ლიდერისთვის დამახასიათებელ სხვა უნარებს, ჰქონდეს დადებითი შეხედულებები და პროგრესულად აზროვნებდეს.

(M. Gordon., 2007), „ლიდერი“ ინგლისური სიტყვაა და მეთაურს, ხელმძღვანელს ნიშნავს. ლიდერობა ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. აღსანიშნავია, რომ ყველა მენეჯერი კარგი ლიდერი არ არის, უფრო მეტიც არსებობს ასეთი გამონათქვამი - „ლიდერებად იზადებიან, მენეჯერებად კი ყალიბდებიან“. ამდენად ყველა მენეჯერი ლიდერი არ არის რაც რათქმაუნდა ორგანიზაციისთვის არასახარბილოა.

თანამედროვე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ლიდერობის აუცილებელი წინაპირობა ემოციური ინტელექტია. ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტების თანახმად ემოციური ინტელექტი (EQ=Emotional Quotient) არის ემოციების აღქმის, მისი გაგების, გამოხატვის, მართვის და რეგულირების უნარი. თუმცა არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომებიც, მაგალითად (Mayer, J.D Salovey, P. 1997 ) ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით ემოციური ინტელექტი განიხილება როგორც საკუთარ ისე სხვა ადამიანთა ემოციებზე დაკვირვების, შემჩნევის, ერთმანეთისგან განსხვავების და გაანალიზების მიზნით მიღებული ინფორმაციის გამოყენების უნარი. (Petrides, K. V., & Furnham, A.2004) მეორე მიდგომის მიხედვით, იგი განიხილება როგორც პიროვნული ნიშანი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობს პიროვნება საკუთარი თავის შესახებ, მათ შორის იცის თუ არა საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, აქვს თუ არა სოციალური ურთიერთობების დამყარების უნარი და უმკლავდება თუ არა ყოველდღიურ სირთულეებსა და სიმძნელებს.

(დ. გოლემანი., 2018 წ) ცნობილი მეცნიერი დენიელ გოლემანი მიიჩნევს, რომ თუ მენეჯერს ემოციური ინტელექტი არ აქვს ის ვერასოდეს გახდება კარგი ლიდერი. გოლემანის მიხედვით ემოციური ინტელექტი მოიცავს მენეჯერის ხუთ ძირითად უნარს, ესენია:

1. თვითცნობიერება - მოიცავს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, აღმძვრელების, ღირებულებებისა და სხვებზე ზეგავლენის ცოდნას.
2. თვითრეგულაცია - დამანგრეველი, ხელისშემშლელი იმპულსებისა და გუნება-განწყობილების გაკონტროლება ან გადამისამართება.
3. მოტივაცია - მიღწევებით ტკბობა საკუთარი სიამოვნებისთვის.
4. ემპათია - სხვა ადამიანების ემოციური მდგომარეობის გაგება.

5. სოციალური უნარი - სხვებთან რაპორტის დამყარების უნარი, მათი სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით.

მენეჯერსა და თანამშრომელს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში ემოციები ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად რაც უფრო კარგად აქვს მენეჯერს ემოციური ინტელექტი განვითარებული უფრო უადვილდება თანამშრომლებთან კომუნიკაცია, კონფლიქტების და სტრესის მართვა. კარგმა ლიდერმა აუცილებლად უნდა განვიითაროს ემოციური ინტელექტის დონე.

ჩვენს მიერ გამოკითხული 225 რესპოდენტიდან 208 - ის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მენეჯერის ხასიათს და განწყობას, 12 მათგანი ყურადღებას არ აქცევს, ხოლო დარჩენილი 5 ვერ ხვდება რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ ამ საკითხს. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მენეჯერის გუნება- განწყობა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს განწყობასა და მოტივაციაზე. მენეჯერის დაბალი ემოციური ინტელექტი უარყოფითად აისახება სამუშაო გარემოზე. თანამშრომლები დამაბულელები, შეშინებულები და ნაკლებპროდუქტიულები არიან. ლიდერის განწყობა ვირუსულად ვრცელდება თანამშრომლებში თუმცა აბსოლიტურ უმრავლესობას არ შესწევს ძალა უხასიათო მენეჯერთან დასაპირისპირებლად. ერთ-ერთმა ჩვენმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელი ძალიან უხეში, უტაქტო და ემოციურად არასტაბილურია, მუდმივად ესხმის თავს თანამშრომლებს და შეურაცხყოფას აყენებს მათ. თანამშრომლები მაქსიმალურად გაურბიან მასთან კომუნიკაციას. რესპოდენტი მენეჯერთან კომუნიკაციისას, იმდენად იმაზე და ღელავს, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ავიწყდება. შეხვედრიდან გამოსულს არ ახსოვს განხილული საკითხები და შესაბამისად მისი რეაგირება არაეფექტურია, რაც ისედაც უხასიეთო მენეჯერის უკმაყოფილებას იწვევს და მის მდგომარეობას ართულებს. ამ შემთხვევაში მენეჯერს არ გააჩნდა ემოციური ინტელექტის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი როგორც თვითცნობიერება და თვითრეგულაცია. მას არ შეუძლია საკუთარი ემოციების და სხვებზე ზეგავლენის მოხდენის დარეგულირება, ვერ ახერხებს საკუთარი სუსტი მხარეების შეფასებას და გამოსწორებას. რაც საბოლოო ჯამში თანამშრომელთა უკმაყოფილებას და კომუნიკაციის კრახს იწვევს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა თვითრეგულაციის დეფიციტის მრავალფეროვანი ფაქტორები, როცა მენეჯერები ვერ ახერხებენ დამანგრეველი და ხელისშემშლელი იმპულსებისა და გუნება-განწყობილების გაკონტროლებას. რესპოდენტები საუბრობენ მენეჯერთა დეპრესიულ ჩაკეტილობაზე, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათი თანამშრომლებისგან გამიჯვნით გამოიხატება. დღეების და ზოგჯერ კვირების განმავლობაში მენეჯერი თანამშრომელს არ ესაუბრება, კომუნიკაციის დროს ეჩხუბება და შეურაცხყოფას აყენებს მათ. არის განსაკუთრებულად აგრესიული და კონფლიქტური. მენეჯერის მსგავსი მიდგომა თანამშრომელთა მიმართ ანგრევს ერთიანობის განცდას, ამძაფრებს შინაგან კონფლიქტებს და ამცირებს პროდუქტიულობას. მსგავს სიტუაციაში ფიქსირდება კადრების გადინების მაღალი დონე.

ხშირია შემთხვევები როცა მენეჯერის უხასიათობის გამო თანამშრომლები მისთვის კითხვის დასმას ვერ ბედავენ, პრობლემის შესახებ არ ატყობინებენ და პროცესი უმართავი ხდება. მენეჯერები პატივს არ სცემენ თანამშრომელთა პირად ცხოვრებას, არ ინტერესდებიან მათი პრობლემებით და საჭიროებებით. ერთ-ერთმა რესპოდენტმა

გაიხსენა ფაქტი როცა საკუთარი ბავშვის ერთი წლის იუბილეს ვერ დაესწრო მენეჯერის უხასიეთოდ ყოფნის გამო.

გამოკითხვის დროს ერთმა რესპოდენტმა გვთხოვა: „იქნებ შეატყობინოთ ჩემს ხელმძღვანელს ემპათიის არსებობის შესახებ, მან მე უდიდესი დარტყმა მომაცენა ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ ეტაპზე, ვფიქრობ მასში ადამიანი არ ცხოვრობს“ არ დაგიმალავთ და ჩემთვის როგორც მკვლევარისთვის ადვილი არ იყო ამის მოსმენა.

დემოტივირებული, აგრესიული და კომფლიქტური მენეჯერი უიღბლობის გარანტიაა. იგი ვერასდროს დაინახავს მოტივაციის მიზეზს, არ აავსებს თანამშრომლებს ენთუზიაზმით და ვერ გააუმჯობესებს შედეგს, ამიტომ აუცილებელია ემოციური ინტელექტის მნიშვნელობის ზრდა. მენეჯერს ისე უნდა ჰქონდეს ემოციური ინტელექტი განვითარებული, რომ შეძლოს სულ მცირე საკუთარი მიღწევებით ტკბობა და თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება.

წარმატებულ და ღია ორგანიზაციებს გამართული მენეჯმენტი სჭირდება თუმცა მხოლოდ კარგი მენეჯმენტით კარგი ორგანიზაცია ვერ იქმნება. იმისთვის, რომ ორგანიზაცია გამართული იყოს ლიდერს მაღალი ემოციური ინტელექტი უნდა ჰქონდეს. კარგ ლიდერს აქვს ხედვა, მომავალში იყურება და ხედავს ორგანიზაციის მომავალ პოტენციალს, რისკებს და ყველა იმ ხვდომილებას, რომელიც შეიძლება მომავალში მოხდეს. ლიდერს უნდა ჰქონდეს მტკიცე ხედვა რითიც უნდა მიიპყროს თანამშრომელთა წარმოსახვა და უბიძგოს მათ ამ ხედვის განხორციელებისკენ. მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს შემდეგი ქმედებები:

- თანამშრომელთათვის ქმედების წაქეზება - აუცილებელია მენეჯერი დაეხმაროს თანამშრომელს რათა თანამშრომელი მაქსიმალურად დაიხარჯოს საქმეზე.

- ინფორმაციის მიწოდება/კომუნიკაცია - თანამშრომელი აუცილებლად უნდა ფლობდეს მისთვის საჭირო ინფორმაციას, არ უნდა ეშინოდეს კითხვის დასმის და პასუხის მიღების.

- მხარდაჭერა და ხელშეწყობა - წარმატებული ლიდერის გარშემო თანამშრომლები ადვილად ბედავენ სიმართლის თქმას, იმედი აქვთ მენეჯერის მხარდაჭერის. მნიშვნელოვანია მენეჯერმა მხარი დაუჭიროს, მოუსმინოს, გაიზაროს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს თანამშრომელთა მოსაზრებები. აღნიშნული უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც მათზე დადებითად აისახება. მსგავს ვითრებაში თანამშრომელი თავს საჭირო და ანგარიშგასაწევ პირად თვლის, რაც ზრდის მის შინაგან თვითკმაყოფილებას და მოტივაციას. საუკეთესო მენეჯერი რთულ სიტუაციაში თანამშრომლებს მხსნელად ევლინება, აძლევს მოქმედების თავისუფლებას და მხარს უჭერს მათ.

მენეჯერმა უნდა იზრუნოს თანამშრომელთა ოპტიმიზმზე და თავდაჯერებულობაზე, ასევე იყოს პატიოსანი, ვინაიდან ეთიკური ქცევა, ფასეულობები და სამართლიანობა თანამშრომელთა მხარდაჭერას და მოტივაციას მკვეთრად ზრდის.

როგორც ვნახეთ მენეჯერის ემოციური ინტელექტი დიდ გავლენას ახდენს თანამშრომლებზე, თუმცა უკეთესი შედეგის მიღების მიზნით მნიშვნელოვანია მენეჯერმა იზრუნოს ჯგუფის წევრების ემოციური ინტელექტის განვითარებაზეც. იგი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომელთა ემოციების მართვა როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად საჭიროებიდან გამომდინარე.

ცნობილი მეცნიერი ურხ დუსკატი ამტკიცებს რომ ინდივიდის ემოციურ ინტელექტს ჯგუფური ანალოგი გააჩნია და ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფის ეფექტურობისთვის. არსებობს სამი პირობა, რომელიც ჯგუფის ემოციურ ინტელექტს ანვითარებს ესენია : - ჯგუფის წევრებს შორის ნდობის ჩამოყალიბება, ჯგუფის წევრების მიერ ჯგუფური იდენტობის განცდა და ჯგუფის ეფექტურობის შეგრძნება. ამ სამი პირობის ბირთვი კი სწორედ ემოციებია.

ბედნიერი ადამიანი უფრო პროდუქტიულია ორგანიზაციისთვის, ვიდრე - უკმაყოფილო და დეპრესიული. ამიტომ, მენეჯერებს ვთავაზობთ, ემოციური ინტელექტის განვითარებასთან ერთად აამაღლონ თანამშრომელთა ფსიქოლოგიური განწყობა, ამისთვის შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად:

- საკუთარი ხელით დაუწერონ თანამშრომლებს მადლიერების ბარათები („საუკეთესო ხარ“, „ორგანიზაციის წარმატებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხარ“, „გმადლობთ“, საუკეთესოდ შეასრულე დავალება“, „ყოჩაღ! თქვენგან ამდენს არ ველოდი“ „ვამაყობ შენით“ „ყოჩაღ! საუკეთესო შედეგი აჩვენე“ და სხვა.)

- დააწესონ ორგანიზაციაში „ბედნიერების დღე“. ორგანიზება გაეწიოს და მოეწყოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელშიც ჩაერთვება ყველა თანამშრომელი. თითოეულ თანამშრომელს, კენჭის ყრის გზით, დაევალოს სხვა თანამშრომლისთვის ბედნიერების მინიჭება. გამოვლინდეს „ბედნიერთა შორის ბედნიერი“ და დაჯილდოვდეს.

- მენეჯერმა საკუთარი ფინანსური რესურსით თანამშრომლებს გაუკეთოს სიმბოლური საჩუქრები, აგრძნობინოს ორგანიზაციისთვის ადამიანური რესურსის მნიშვნელობა.

- მნიშვნელოვანია დაწესდეს თანამშრომელთა პირადი ცხოვრების პატივისცემის გამოხატვის ღონისძიებები, აჩუქეთ თანამშრომელს დამატებითი დასვენების დღეები, თეატრის ან კინოს ბილეთები, მიულოცეთ ბავშვების დაბადების დღეები, მოიკითხეთ მათი საჭიროებები.

აუცილებელია ხელმძღვანელის მინიმალური ჩარევის ფონზე, თანამშრომლებს ჰქონდეთ მოქმედებათა თავისუფლება. მსგავსი მოქმედება გაზრდის თანამშრომელთა თავდაჯერებულობის ხარისხს, მოტივაციას და პროდუქტიულობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოლემანი., დ (2018წ) - „ემოციური ინტელექტი“ თბილისი;
2. ნელსონი.,ბ. & ექონომი.,კ (2015) - „ მართვა მარტივად“ თბილისი;
3. Goleman.,D. (1998) „Working With Emotional Intelligence“ US;
4. Goleman.,D. (2011) „Lidership: The power of emotional intelligence“US;
5. Gordon.,M. (2007) „lidership“ United Kingdom;
6. Haefliger.,S. (2003) „Emotional Intelligence – New Perspectives and applications“;
7. Salovey.,P.& Sluyter.,D.J - „Emotional development and emotional intelligence educational implications“ New York, 2004.
8. [https://www.ucd.ie/t4cms/Leadership%20Guide%20\(Roffey%20Park\).pdf](https://www.ucd.ie/t4cms/Leadership%20Guide%20(Roffey%20Park).pdf)

## ემოციური ინტელექტი და ადამიანური რესურსების მართვა

კესო სუმბაძე  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი  
BTU – მიწვეული ასისტენტ-პროფესორი

### რეზიუმე

ნებისმიერი წარმატებული ორგანიზაციის მთავარი დასაყრდენი მასში დასაქმებული თანამშრომლები არიან. ისინი ქმნიან იმ პროდუქტს, რომელიც ორგანიზაციის წარმატებას განსაზღვრავს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსების სწორად მართვას, რაზეც პასუხისმგებელი მენეჯერია.

ადამიანური რესურსების მართვისას, მეთოდოლოგიასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა მენეჯერის ემოციურ ინტელექტსაც ენიჭება. მენეჯერსა და თანამშრომელს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში ემოციები უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად რაც უფრო კარგად აქვს მენეჯერს ემოციური ინტელექტი განვითარებული უფრო ადვილია მისთვის თანამშრომლებთან ურთიერთობა, უკუკავშირის დამყარება და რთული სიტუაციების მართვა.

ჩვენი მიზანია მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ადამიანური რესურსების მართვაში ემოციური ინტელექტის როლზე. ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების აუცილებლობაზე.

სტატიაში თავმოყრილ თეორიულ მასალას ამყარებს პრაქტიკული მონაცემები და მასალები. ინფორმაცია და ანალიზი ეფუძვნება ქართულ და უცხოურ წყაროებს, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომებს და ჟურნალებს.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანური რესურსების მართვა, ლიდერობა, ემოციური ინტელექტი.



## **Emotional Intelligence and Human Resources Management**

**Keso Sumbadze – PhD  
BTU, Invited Assistant-Professor**

### **Summary**

The principal pillar of any successful organization is its employees. They create the product that determines success of an organization. So proper management of human resources, that's manager's responsibility, has particular importance.

During the managing of Human Resources, manager's emotional intelligence as well methodology, has immense significance. Emotions are too essential in the relationship, formed between manager and employees. Consequently, the more well-developed manager's emotional intellect is, the easier the relationship with employees, feedback establishment and managing of difficult situations are for her/him.

Our purpose is to let the reader's attention focus on emotional intellect role in human resources management, on existing problems of this field and the necessity to solve them.

Practical data and materials reinforce to theoretical datas stated in this article. Information and analysis base on Georgian and foreign sources, including science works and magazines.

**Keywords:** Human Resources Management; Leadership; Emotional intellect.

## **L'intelligence émotionnelle et la gestion de Ressources Humaines**

**Keso Sumbadze  
Doctor of Business Administration  
BTU- Professeur assistante invité**

### **Résumé**

On considère aujourd'hui que la performance des salariés d'une entreprise joue un rôle déterminant dans son succès. En effet, les salariés intègrent ses valeurs et garantissent la prospérité de l'organisation. En retour de leur investissement, ils attendent les retombées de cette réussite sur les plans personnel et professionnel. Pour répondre à ces exigences, une politique RH efficace s'avère essentielle. Le manager occupe un rôle déterminant dans cet objectif.

L'impact des émotions dans le travail est certain, encore plus lors des interactions entre le manager et ses subordonnées. Par conséquent, le manager se doit d'intégrer l'intelligence émotionnelle dans ses pratiques managériales. L'idée étant de prendre des décisions cohérentes et efficaces pour gérer les conflits.

Notre but est ici de mettre en exergue le rôle de l'intelligence émotionnelle dans la gestion de Ressources humaines pour permettre une résolution nécessaire et performante des problématiques conflictuelles. Pour cela, nous adopterons une démarche empirique basée sur l'expérience du terrain tant géorgien qu'étranger qu'il s'agit ensuite d'analyser pour aboutir à des conclusions plus théoriques sur l'importance de l'intelligence émotionnelle.

**Mots clés :** Gestion de ressources humaines, manager, intelligence émotionnelle.

**რამდენად მომგებიანია აშშ-სთვის ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის  
სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა**

**ვალერი მოდებაძე**

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი**

2016 წლის არჩევნების დროს ტრამპი დაჰპირდა ხალხს, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებებს გაანახლებდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გადახედვის შესახებ და თუ ეს მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებდა, საერთოდ გააუქმებდა ამ ხელშეკრულებებს. ტრამპმა თავისი დანაპირები შეასრულა და პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დაიწყო სავაჭრო შეთანხმებების გადახედვა და დარეგულირება მეზობლებთან. ტრამპი თვლის რომ სხვა ქვეყნები მდიდრდებიან ამერიკის ხარჯზე, სავაჭრო ხელშეკრულებები ისეა შედგენილი, რომ საზიანოა ამერიკელი ხალხისთვის, ამიტომ მიზნად დაისახა სავაჭრო შეთანხმებების გადახედვა. მან მიიღო გადაწყვეტილება პარიზის კლიმატის შეთანხმების დატოვების შესახებ, შემდეგ აშშ გამოეთიშა ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებას და გაზარდა ტარიფები ჩინეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე. ტრამპმა ასევე მიზნად დაისახა ნაფტას გაუქმება და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გადახედვა კანადასთან და მექსიკასთან.

რაც შეეხება ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებას, ეს ხელშეკრულება 2015 წელს გაფორმდა ობამას პრეზიდენტობის დროს წყნარი ოკეანის აუზის 12 ქვეყანასთან. ამ ხელშეკრულების მიზანი 18.000 ტარიფის გაუქმება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა იყო, ასევე სამუშაო ადგილების შექმნა და ცხოვრების დონის ამაღლება. ბარაკ ობამა თვლიდა, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმება გაზარდიდა აშშ-ს გავლენას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და შეასუსტებდა ჩინეთის დომინანტურ პოზიციას აზიაში.

პიტერსონის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ეს შეთანხმება აშშ – ს ექსპორტს 123 მილიარდი დოლარით გაზარდიდა. ობამას ადმინისტრაციის გათვლებით პაქტი ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ აღმავლობას და შექმნიდა დამატებით 650.000 სამუშაო ადგილს (Ben Popken, 2017).

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი, რატომ გააუქმა ტრამპმა ასეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო შეთანხმება, რომლის მიზანი იყო თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა, სავაჭრო ბარიერების შემცირება და ვაჭრობის განვითარება ქვეყნებს შორის? მთავარი მიზეზი ისაა, რომ დონალდ ტრამპი არ იზიარებდა ბარაკ ობამას პოზიციას და მიიჩნევდა, რომ ეს ხელშეკრულება წამგებიანი და ზიანის მომტანი იქნებოდა ამერიკელი ხალხისათვის (Info9, 2016). სწორედ ამიტომ, როდესაც პრეზიდენტი გახდა მისი ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება აშშ-ს ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა იყო. დონალდ ტრამპის აზრით ეს ხელშეკრულება ამერიკელებს ჰპარავს სამუშაო ადგილებს და დიდ სარგებელს ანიჭებს დიდ კორპორაციებს. ტრამპი მიიჩნევდა, რომ ამ შეთანხმების გაფორმების შემდეგ კომპანიები განვითარებული ქვეყნებიდან თავიანთ საქმიანობას გადაიტანდნენ იმ განვითარებად ქვეყნებში, რომლებსაც

ჰყავთ იაფი მუშახელი (იაფი სამუშაო ძალა) და აქვთ ნაკლები შრომის დამარეგულირებელი კანონები. ეს მისი აზრით გამოიწვევდა უმუშევრობას განვითარებულ ქვეყნებში. ტრამპმა არჩევნების დროს პირობა დადო, რომ აშშ თავის დღის წესრიგში დააყენებდა ომრხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების შეცვლას ან გაუქმებას.

ერთის მხრივ, ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების გაუქმებით ტრამპმა შეიძლება დროებით შეაჩერა სამუშაო ადგილების გადინება ამერიკიდან, მაგრამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ამ გადაწყვეტილებით შეამცირა აშშ-ს გავლენა აზია-წყნარი ოკეანის აუზში და მწვანე შუქი აუნთო ჩინეთს, რომელიც ყველანაირად შეეცდება, რომ თავისი გავლენა გაზარდოს ამ რეგიონში. საკითხავია, ვინ რჩება საბოლოო ჯამში მოგებული ამ ხელშეკრულების გაუქმებით? არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ მარტო სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ვაჭრობის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 5 ტრილიონ დოლარს. ჩინეთი აუცილებლად სათავისოდ გამოიყენებს იმ შესაძლებლობას, რომელიც წარმოიშვა ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების გაუქმებით და დაიწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოიყენებას თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად აზია-წყნარი ოკეანის აუზში. ხელშეკრულების გაუქმებით დიდად დაზარალდებიან ამერიკული კომპანიებიც, რომლებიც დამოკიდებული არიან იაფ მუშახელზე და რესურსებზე.

ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების გაუქმებით ტრამპმა მესიჯი გაუგზავნა მსოფლიოს, რომ ის აპირებს დაიცვას თავისი წინასარჩევნო დაპირებები, წინა პლანზე დააყენოს ამერიკის ინტერესები და უფრო აგრესიული პოლიტიკა გაატაროს უცხოელი კონკურენტების წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებით მან ყველას დაანახა, რომ არ აპირებს ძველი წესების დაცვას და არ იზიარებს ლიბერალების პოზიციას, რომ გლობალური ვაჭრობის გაფართოება და თავისუფალი ვაჭრობა სასარგებლოა როგორც მსოფლიოსათვის, ასევე აშშ-სთვის. ტრამპი თვლის, რომ ამ ხელშეკრულების გაუქმებით დაცული იქნება ამერიკის მშრომელი ხალხი უცხოური კონკურენციისაგან, განსაკუთრებით დაბალანაზღაურებადი ქვეყნებიდან მომდინარე კონკურენციისაგან. თუმცა ბევრი შიშობს, რომ ჩინეთი შეეცდება ეკონომიკური ვაკუუმის შევსებას და გაფართოებას აზიაში.

ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმების გაუქმებით ტრამპმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისუფალი ვაჭრობის სტრატეგია, რომელიც მიზანმიმართულად აირჩიეს აშშ-ს პრეზიდენტებმა ცივი ომის დასრულების შემდეგ. ასეთი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გამო, ტრამპს უკვე ხშირად ახასიათებენ, როგორც მემარცხენე პოლიტიკოსს, რომელმაც ომი გამოუცხადა ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგს და თავისუფალ ვაჭრობას. პროფკავშირების ლიდერები ამერიკაში დიდი აპლოდისმენტებით და სიხარულით შეხვდნენ ტრამპს, როდესაც მან განცხადება გააკეთა თეთრ-სახლში ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმების გაუქმების შესახებ. (Peter Baker, 2017)

“ჩვენ ვაპირებთ შევაჩეროთ სასაცილო სავაჭრო შეთანხმებები, რომლებმაც გამოიწვია სამუშაო ძალის და კომპანიების მასიური გადინება ჩვენი ქვეყნიდან, ეს ტენდენცია შეიცვლება” - განაცხადა ტრამპმა. მან ხალხს აუწყა, რომ აშშ ომრხივ სავაჭრო შეთანხმებებს გააფორმებდა თითოეულ მოკავშირესთან და გააუქმებდა ტრანსწყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმებას, რაც ხელს შეუწყობდა აშშ-ში დიდი რაოდენობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ტრამპი თვლის რომ ასეთი „სასაცილო“ სავაჭრო

შეთანხმებების გაუქმების შემდეგ, უამრავი ამერიკული კომპანია ისევ სამშობლოში დაბრუნდება. თუმცა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ამ სავაჭრო ხელშერკულებების გაუქმებით დიდი ზიანი მიადგება, როგორც მსოფლიო ეკონომიკას, ასევე ამერიკულ კომპანიებს, რომლებმაც უკვე მილიონობით დოლარის ზარალი განიცადეს ტრამპის მიერ დაწყებული „სავაჭრო ომის“ შედეგად.

ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა და საზოგადო მოღვაწემ, ჯონ მაკკეინმა გააკრიტიკა ტრამპის გადაწყვეტილება ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების გაუქმების შესახებ და მას სერიოზული შეცდომა უწოდა, რომელიც დააზარალებდა აშშ-ს ეკონომიკას. მისი აზრით აშშ-ს გეოპოლიტიკურ ინტერესებს დიდი ზიანი მიადგება და ამერიკა გამოეთიშება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც ხდება ჩინეთის აღზევა. (Peter Baker, 2017)

ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებას ობამას ადმინისტრაცია 8 წელიწადი ამზადებდა და ხანგრძლივ მოლაპარაკებებს აწარმოებდა წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან. ეს შეთანხმება იყო ყველაზე მსხვილი სავაჭრო შეთანხმება, რომელმაც შექმნა თავისუფალი სავაჭრო ზონა აშშ-სა და 11 წყნარი ოკეანის აუზის სახელმწიფოსათვის (Ben Popken, 2017). აღნიშნულ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 40% და მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვის 1/4-ზე მეტი. ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების მიზანი იყო ტარიფების შემცირება და წესების შემოღება სავაჭრო დავების გადასაწყვეტად და ინტელექტუალური საკუთრების წესების დასაცავად. პაქტის ხელმძღვანელი ქვეყნები მიზნად ისახავდნენ საბაჟო გადასახადების სრულ გაუქმებას საქონელზე და მომსახურებებზე აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში. ობამას ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ეს ხელშეკრულება მომგებიანი იყო აშშ-სთვის, ვინაიდან ხდებოდა ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის - იაპონიის და აშშ-ს გაერთიანება ერთ სავაჭრო პაქტში. ტრამპმა თავისი გადაწყვეტილებით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა არა მარტო ტრანსნაციონალურ ამერიკულ კომპანიებს, არამედ ასევე იაპონიას. იაპონიის პრემიერ მინისტრს, შინჯო აბეს მოუწია დიდი ძალისხმევის გაღება იმისათვის, რომ პარლამენტი დაეთანხმებინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. იაპონია ბოლო ქვეყანა იყო, რომელიც ამ პაქტს შეუერთდა. ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმება იაპონელ მწარმოებლებს დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა: მათ შეეძლოთ ტარიფების გარეშე ექსპორტზე გაეტანათ პროდუქცია აშშ-ში და აზიის ქვეყნებში.

იაპონიის პრემიერ მინისტრი, შინჯო აბე თვლის, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებას აშშ-ს მოანწილეობის გარეშე აზრი ეკარგება, ვინაიდან ფუნდამენტური ბალანსი ირღვევა (Agoranews, 2016).

ყველაზე გახარებული ტრამპის გადაწყვეტილებით ჩინეთი დარჩა, თუმცა მისი ლიდერები ოფიციალურ შეხვედრებზე არ იმჩნევენ ამ სიხარულს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტრამპი „აგრესიულ“ სავაჭრო პოლიტიკას ატარებს ჩინეთის მიმართ, (მან სავაჭრო საბჭოს დირექტორად ჩინეთის მკაცრი კრიტიკოსი დანიშნა), მაშინ არავის გაუკვირდება თუ რატომ ემზადება ჩინეთი აშშ-სთან პოტენციური კონფლიქტისთვის და გლობალური დაპირისპირებისთვის.

ჩინეთის პოლიტიკური ეკონომიის ექსპერტი ვიქტორ შიჰი თვლის, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა დიდ ზიანს მიაყენებს ამერიკის

იმიჯს აზია-წყნარი ოკეანის აუზის რეგიონში. ვიქტორ შიჰის აზრით აშშ აღქმული იქნება, როგორც არასაიმედო პარტნიორი, როგორც ეკონომიკის, ასევე უსაფრთხოების სფეროში. შესაბამისად, ბევრი აზიური ქვეყანა იძულებული იქნება შეაჩეროს მჭირდო სავაჭრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აშშ-სთან და ჩინეთისკენ გადაიხაროს.

აზიის სავაჭრო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი დებორა ელმსი თვლის, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან აშშ-ს გამოსვლა ტრაგიკული მოვლენაა, რაც ნიშნავს „ვაჭრობაზე შეერთებული შტატების ლიდერობის დასასრულს და კვერთხის აზიისთვის გადაწოდებას.“ (Guardian.ge, 2016)

ჩინეთმა უკვე დაიწყო ამ მომენტის სათავისოდ გამოყენება და ალტერნატიული პაქტის შექმნა, რომელსაც სახელად ჰქვია რეგიონალური ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობა (the Regional Comprehensive Economic Partnership). პაქტის მიზანს წარმოადგენს დიდი ეკონომიკური ალიანსის შექმნა, რომელშიც გაწევრიანებული იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 10 წევრი ქვეყანა, იაპონია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ინდოეთი. (Peter Baker, 2017)

ავსტრალიის ვაჭრობის მინისტრმა, სტივენ სიობომ განაცხადა, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო პაქტის წევრები ფიქრობენ, ხომ არ შექმნან ტრანს-წყნარი ოკეანის ახალი სავაჭრო შეთანხმება, რომელშიც გაწევრიანებული არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატები (Peter Baker, 2017) მისი აზრით ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებას დიდი სარგებელი მოაქვს ყველა ხელმომწერი მხარისათვის და ამიტომაც, დიდი დანაკლისი იქნება მისი გაუქმება. სტივენ სიობოს აზრით, მიუხედავად ტრამპის გადაწყვეტილებისა, შესაძლებელია ამ შეთანხმების შენარჩუნება, უბრალოდ მას გამოეთიშება ამერიკის შეერთებული შტატები და აღარ იქნება მისი წევრი.

მართლაც, ცოტა ხანში, მას შემდეგ რაც აშშ გამოეთიშა ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო პაქტის შეთანხმებას, დანარჩენმა ქვეყნებმა გააფორმეს პაქტის ახალი ვერსია, რომელიც ცნობილია როგორც ყოვლისმომცველი და პროგრესული ტრანს – წყნარი ოკეანის პარტნიორობა (Comprehensive and Progressive Trans-Pacific Partnership - CPTPP). 2018 წლის დასაწყისში ტრამპმა გაუგზავნა მესიჯი აზია - წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებს, რომ თუ დაკმაყოფილებული იქნებოდა გარკვეული პირობები, ის მზად იყო განეხლებინა მოლაპარაკებების პროცესი პაქტის ხელმომწერ ქვეყნებთან, თუმცა შემდეგ მალე ისევ შეიცვალა აზრი და ექსპერტები თვლიან, რომ ის აღარ მოისურვებს აშშ-ს ხელახლა გაწევრიანებას ამ პაქტში. (James McBride & Andrew Chatzky, 2019)

ბევრი ექსპერტი და ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ტრამპის სავაჭრო პოლიტიკა საზიანოა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ვინაიდან ის იწვევს პრო-ამერიკული კოალიციების დაშლას და გაუქმებას. თუმცა ყველა არ იზიარებს ამ პოზიციას. უბრალო ხალხი და პროფკავშირები მიესალმებიან მის გადაწყვეტილებას. პროფკავშირების ლიდერები თვლიან, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა გადადგა პირველი ნაბიჯი ოცდაათწლიანი უვარგისი სავაჭრო პოლიტიკის გამოსასწორებლად, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ამერიკის მოსახლეობას. ამერიკელი ხალხი მიიჩნევს, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებით და შეუზღუდავი საიმიგრაციო პოლიტიკით ყველაზე მეტად ზარალდებოდა აშშ-ს მოსახლეობა, ვინაიდან ეს პროცესი იწვევდა სამუშაო ადგილების შემცირებას ქვეყანაში. ათწლეულების განმავლობაში არასწორი სავაჭრო პოლიტიკის გამო ილახებოდა ამერიკელი მუშახელის უფლებები და პოლიტიკურ არენაზე

ტრამპის გაპრეზიდენტებამდე არავინ იყო, რომ დაეცვა ამერიკის მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ავრამ ნოამ ჩომსკი თვლის, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო შეთანხმება მიზნად ისახავდა ნეოლიბერალური პროექტის განხორციელებას, რომ გაეზარდათ მოგება ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის და დიდი კორპორაციებისათვის ამერიკელი მუშახელის ინტერესების სრული იგნორირების ხარჯზე. ამერიკელი მემარცხენე პოლიტიკოსი, ბერნი სანდერსიც იზიარებს ამ პოზიციას და თვლის, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო შეთანხმება ამდიდრებდა დიდ კორპორაციებს, მაგრამ დიდ ზიანს აყენებდა აშშ-ს მუშახელს და მშრომელ ხალხს.

ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, მოუტანს თუ არა რაიმე სარგებელს ამერიკის შეერთებულ შტატებს ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების გაუქმება. ალბათ დრო გვიჩვენებს თუ რა შედეგს გამოიღებს ტრამპის სავაჭრო პოლიტიკა და მიიღებს თუ არა აშშ ამ ხელშეკრულების გაუქმებით რაიმე მატერიალურ და ეკონომიკურ სარგებელს გრძელვადიან პერსპექტივაში. როგორც ზემოთ ვახსენეთ, აშშ-ში აზრი ორად არის გაყოფილი: ექსპერტების ერთი ნაწილი თვლის, რომ ტრამპის ნაჩქარევი გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ ინტერესებს აყენებს დიდი ზიანს აზია-წყნარი ოკეანის აუზში. აშშ-მ შეიძლება თანდათანობით დაკარგოს სტრატეგიული მოკავშირეები რეგიონში, რაც გამოიწვევს აშშ-ს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შესუსტებას აზიაში. აშშ-ს სავაჭრო პარტნიორობის ერთმა ნაწილმა უკვე დაიწყო ჩინეთისაკენ გეზის აღება. ამ მომენტს კარგად გამოიყენებს ჩინეთი, რომელიც უკვე ცდილობს ალტერნატიული სავაჭრო პაქტის გაფორმებას აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან.

ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების მომხრეები თვლიან, რომ ეს ხელშეკრულება გააფართოებდა აშშ-ს ვაჭრობას და ინვესტიციებს საზღვარგარეთ, ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ ზრდას, შეამცირებდა წარმოებული პროდუქციის ფასს და შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს. ყველაფერი ეს კი ხელს შეუწყობდა აშშ-ს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების უკეთესად დაცვას აზიის რეგიონში. ეს შეთანხმება მათი აზრით იყო გეოსტრატეგიული მნიშვნელობის, ვინაიდან ის განამტკიცებდა აშშ-ს ლიდერობას აზიაში და უფრო გააძლიერებდა მის მიერ შექმნილ ალიანსებს რეგიონში. (James McBride & Andrew Chazky, 2019)

მემარცხენე პოლიტიკოსები და ექსპერტები არ იზიარებენ ზემოთ დაფიქსირებულ მოსაზრებას და თვლიან, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმება წამგებიანი იყო ამერიკელი ხალხისათვის. მათი აზრით თავისუფალი სავაჭრო ზონები შექმნილია მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის და დიდი კორპორაციებისათვის, რომლებიც მუდმივად არიან აიფი მუშახელის და იაფი რესურსების ძიებაში. აღნიშნული კომპანიები და კორპორაციები წინა პლანზე აყენებენ თავიანთ ეგოისტურ ინტერესებს და იგნორირებას უწევენ ამერიკელი მშრომელი ხალხის და აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს. მემარცხენე ინტელექტუალების აზრით მუდმივად ხდება ამერიკული კომპანიების გადინება აზიაში, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას და ამერიკის მშრომელი ხალხის უფლებების შელახვას.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, მემარცხენე ინტელექტუალები, მათ შორის ტრამპიცი, მხარს უჭერენ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმების გაუქმებას.

#### ბიბლიოგრაფია:

1. Peter Baker (2017) Trump Abandons Trans-Pacific Partnership, Obama's Signature Trade Deal, The New York Times, available from World Wide Web: <https://www.nytimes.com/2017/01/23/us/politics/tpp-trump-trade-nafta.html>
2. James McBride & Andrew Chatzky (2019) What Is the Trans-Pacific Partnership (TPP)?, Council on Foreign Relations, available from World Wide Web: <https://www.cfr.org/backgrounder/what-trans-pacific-partnership-tpp>
3. Guardian.ge (2016) დონალდ ტრამპი ვიდეოგზავნილს ავრცელებს, რომელშიც აცხადებს, რომ თეთრ სახლში შესვლის პირველივე დღეს ტრანს-წყნარი ოკეანის სავაჭრო პარტნიორობის შეთანხმებას გააუქმებს, available from World Wide Web: <http://guardian.ge/20868-donald-trampi-videogzavnils-avrcelebs-romelshic-ackhadebs-rom-thethr-sakhlshi-shesvlis-pirvelive-dghes-trans-tsynari-okeanis-savatcro-partniorobis-shethankhmebas-gaauqmebs.html>
4. Agoranews (2016) ტრამპმა ჩამოთვალა რას გააკეთებს პირველივე დღეებში აშშ-ის პრეზიდენტის ოფისში, available from World Wide Web: <https://agora.ge/new/10871-trampma-chamotvala-ras-gaaketebis-pirvelive-dgheebshi-ashshis-prezidentis-ofisshi>
5. Info9 (2016) დონალდ ტრამპმა პრეზიდენტობის პირველი 100 დღის საქმიანობის გეგმა გამოაქვეყნა, available from World Wide Web: <http://www.info9.ge/uckhoethi/160624-donald-trampma-prezidentobis-pirveli-100-dris-saqmainobis-gegma-gamoaqveyina.html?lang=ka-GE>
6. Ben Popken (2017) Why Trump Killed TPP — And Why It Matters To You, available from World Wide Web: <https://www.nbcnews.com/business/economy/why-trump-killed-tpp-why-it-matters-you-n710781>

**რამდენად მომგებიანია აშშ-სთვის ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა**

**ვალერი მოდებაძე**  
**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი**  
**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია თუ რამდენად არის მომგებიანი აშშ-სთვის ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმებიდან გამოსვლა. ამერიკის შეერთებულ შტატებში აზრი ორად არის გაყოფილი: ექსპერტების ერთი ნაწილი თვლის, რომ ტრამპის ნაჩქარევი გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ ინტერესებს აყენებს დიდი ზიანს აზია-წყნარი ოკეანის აუზში. მემარცხენე პოლიტიკოსები და ექსპერტები არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და თვლიან, რომ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის სავაჭრო შეთანხმება წამგებიანი იყო ამერიკელი ხალხისათვის; მათი აზრით ამ შეთანხმებით დიდ მოგებას მიიღებდნენ მხოლოდ დიდი კორპორაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები ამერიკელი მშრომელი მოსახლეობის უფლებების შელახვის ხარჯზე.

**How profitable is for the United States to withdraw from the Trans-Pacific Partnership Agreement**

**Valeri Modebadze**  
**Saint Andrew the First- Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**  
**Summary**

The article discusses how profitable is for the USA to withdraw from the Trans-Pacific Partnership Agreement. Public opinion in the United States is divided: Some experts believe that Trump's hasty decision will damage geopolitical interests of USA in the Asia-Pacific basin. Leftist politicians and experts disagree with this view and believe that the Trans-Pacific Partnership Agreement was unprofitable to the American people; In their view, this pact allowed only big corporations and transnational companies to make huge profits at the expense of violating the rights of the American working population.

**Quelle est la rentabilité pour les États-Unis de se retirer de l'accord de partenariat transpacifique**

**Valeri Modebadze**  
**Saint André le Premier Appelé du Patriarcat de Géorgie Université Georgian**  
**Résumé**

L'article explique à quel point il est rentable pour les États-Unis de se retirer de l'accord de partenariat transpacifique. Aux États-Unis, l'opinion publique est divisée: certains experts estiment que la décision précipitée de Trump nuira aux intérêts géopolitiques des États-Unis dans le bassin Asie-Pacifique. Les politiciens et les experts de gauche sont en désaccord avec ce point de vue et estiment que l'Accord de partenariat transpacifique n'était pas rentable pour le peuple américain; Selon eux, ce pacte ne permettait qu'aux grandes entreprises et aux sociétés transnationales de réaliser des profits énormes au détriment de la violation des droits de la population active américaine.



**ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში  
(საქართველოს მაგალითზე)**

**მირანდა მიქაძე**  
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეორე კურსის დოქტორანტი**  
**ეკატერინე ლომია**  
**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეორე კურსის დოქტორანტი**

**შესავალი**

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს და ამოცანას წარმოადგენს. ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი დღითიდღე იზრდება. აღნიშნული მოვლენა სრულად არის მხარდაჭერილი ქართული საზოგადოების უმრავლესობის მიერ.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოიცავდა მრავალ სფეროს, სადაც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, ერთობლივად ემუშავათ გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მისაღწევად. მართალია, შეთანხმება არ განსაზღვრავდა კრიტერიუმებს თანამშრომლობის შუალედური ან საბოლოო მიზნებისთვის (მაგალითად, ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ კრიტერიუმებს), მაგრამ იგი ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს. შეთანხმების 43-ე მუხლის თანახმად, საქართველომ ვალდებულება აიღო, ეტაპობრივად მიეახლოებინა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტში მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესა-ბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდა შემდეგი ერთობლივი ინსტიტუტები: თანამშრომლობის საბჭო, თანამშრომლობის კომიტეტი და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი, რომელთა ძირითად ფუნქციას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე ზედამხედველობა წარმოადგენდა (ცენტრი).

ევროკავშირის და საქართველოს ურთიერთობები მოიცავს პერსპექტივებს სამ ძირითად სფეროსთან მიმართებაში - დემოკრატია და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება და სამხედრო თანამშრომლობა და ეკონომიკური ურთიერთობები.

ეკონომიკური განვითარების დონე, კორუფცია, მიგრაცია, კანონის უზენაესობა, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად აფერხებს

ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. თუმცა საქართველო ევროკავშირის მხრიდან რეგიონში „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერად მიიჩნევა.

**”საქართველოს მოქალაქეების მტკიცე ნებაა ჩამოაყალიბონ დემოკრატიული წესრიგი, ეკონომიკური თავისუფლება, კანონის უზენაესობად მყოფი სოციალური სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის უნივერსალური უფლებები და თავისუფლებები, გაამყარონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება სხვა ქვეყნებთან...”** საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა (Georgia M. o.)

### ლიტერატურის მიმოხილვა

ევროკავშირი და საქართველო ძალიან ახლო და პოზიტიური ურთიერთობით სარგებლობენ. ორმხრივი ურთიერთობა, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ინტენსიული ხდებოდა, ხოლო გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 2016 წელს, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის არის დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. შეთანხმება ქმნის მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფალი ვაჭრობა და სასამართლო სისტემა. საქართველოსთვის ამ შეთანხმების განსახორციელებლად არ იქნება მარტივი ამოცანა, რადგან ეს მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოს თანდათანობით ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან, რაც განსაზღვრავს იმ კონკრეტული კანონმდებლობის ხელსაყრელ კრიტერიუმებსა და ჩამონათვალს, რაც უნდა აისახოს მის იურიდიულობაზე (Goletiani, 2015).

ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში და ისწრაფვის ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. ევროკავშირი და საქართველო ასევე შევიდნენ ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონაში (DCFTA), ხოლო საქართველოს მოქალაქეებმა ისარგებლეს უვიზო მიმოსვლით შენგენის მხარეში 2017 წლის 28 მარტიდან. ევროკავშირი არის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და უზრუნველყოფს 100 მილიონ ევროზე მეტს საქართველოში ყოველწლიურად ტექნიკური და ფინანსური დახმარებით. ევროკავშირი მტკიცედ არის ერთგული პოლიტიკაში, რომ მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში, აგრეთვე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობაში, კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების მხარდასაჭერად. 2008 წლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოქმედებს ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში გარემოსდაცვითი პრობლემების ფართო რეგიონალური გამოწვევების მოსაგვარებლად, ევროკავშირმა წამოიწყო თანამშრომლობის გაღრმავება შავი ზღვის სინერჯის (BSS) მეშვეობით (Georgia D. o., 2018).

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კვლევებში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლევადიან და გრძელვადიან გამოწვევებიდან გრძელვადიან გამოწვევას დასახელდა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიზაციის

პრობლემა (როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან). მეორე, გრძელვადიან გამოწვევად იყო უსაფრთხოების საკითხი, კონფლიქტები, რუსეთის ინტერვენცია და საქართველოს სამხედრო სისუსტე. გრძელვადიან გამოწვევებად ასევე დასახელებული იყო ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები და სტაბილური პოლიტიკური ლანდშაფტი. მოკლევადიან გამოწვევებიდან დაფიქსირდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემდეგ შექმნილი პრობლემა (განსაკუთრებით, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში თავშესაფრის უსაფუძვლო მთხოვნელთა რიცხვის ზრდა). ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროინტეგრაციის პროცესს საქართველოში მყარი საფუძველი აქვს და მხარს უჭერს, როგორც პოლიტიკური ელიტა, ასევე მოსახლეობა. აღსანიშნავია რომ საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებით, ევროკავშირი ჯერ კიდევ არ მიიჩნევს, რომ საქართველოს შეუძლია ევროკავშირში გაწევრიანება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, საქართველოში ევროკავშირის მიერ განხორციელებული დემოკრატიზაციის ზეწოლა აღემატება აღმოსავლეთ პარტნიორობის საშუალო მაჩვენებელს, თუმცა ბევრად ჩამორჩება ევროპულ სტანდარტებს (ინსტიტუტი, 2018)

### **ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა - TACIS**

**ტასისი (TACIS - Technical Assistance to the Commonwealth of Independent States)** ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც გრანტების სახით აფინანსებდა პროექტებს სხვადასხვა სფეროში. პროგრამა 1991 წელს დაიწყო და მას შემდეგ იგი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ცამეტ ქვეყანაზე ვრცელდება. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ბელორუსია, თურქმენეთი, მოლდოვა, მონღოლეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი. ტასისი ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოქმედი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების ფინანსური ინსტრუმენტი იყო (თბილისი).

2007 წელს TACIS -ის პროგრამა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI) ჩაანაცვლა. აღნიშნული პროგრამა იმ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომლის საშუალებითაც ევროკავშირი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელებას უზრუნველყოფდა.

მოგვიანებით, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უფრო ფორმალური და პოლიტიკურად აქტიური გახდა. პროგრამა TACIS -ის დაწყებისას ტექნიკური დახმარება ცალკე ხორციელდებოდა, მოგვიანებით კი, ეს პროგრამა პარტნიორ ქვეყნებთან, საქართველოს ჩათვლით, რთული და სწრაფად მზარდი ურთიერთობის ნაწილი გახდა. პროგრამის მიზანი იყო უფრო ღრმა პოლიტიკური ურთიერთობების პრიორიტეტების დაკმაყოფილება. TACIS -ის დახმარების ძირითადი ელემენტი იყო ევროკავშირში არსებული ორგანიზაციების ნოუჰაუს და გამოცდილების გაზიარება პარტნიორი ქვეყნებისთვის. ზოგადად, პარტნიორი კომპანია (კონტრაქტორი) ევროკავშირიდან მუშაობდა პარტნიორ ორგანიზაციასთან (სამთავრობო ან არასამთავრობო) TACIS-ის ქვეყანაში კონკრეტულ პროექტზე. საქართველოში TACIS-ის საქმიანობა ეხმარებოდა ევროკავშირის ზოგად სტრატეგიას, გაემლიერებინა ამ ქვეყნის

დამოუკიდებლობა და მისი სვლა საბაზრო ეკონომიკისა და კარგად განვითარებული დემოკრატიისკენ. (თბილისი)

მრავალი პროგრამის განხორციელების შედეგად TACIS-მა წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ესენია: ახლად დანიშნულ მოსამართლეთა მომზადება; სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკულ სექტორში; პარლამენტის ინსტიტუციური მშენებლობა; საჯარო მოხელეთა მომზადება; ქუთაისსა და თბილისში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება; საბაჟოს მოხელეთა მომზადება; ახალი საბუღალტრო სტანდარტების დამკვიდრება კომერციულ ბანკებში; ტურიზმის სტრატეგიის განვითარება; საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციისთვის დახმარების გაწევა; პორტებში საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარება; TRACECA-ს ხიდის მშენებლობა; ფოთი-ილიჩოვსკის სარკინიგზო ბორნის მშენებლობა; რკინიგზაზე კომუნიკაციისა და სასიგნალო სისტემის შექმნის მიზნით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის დამონტაჟება; ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება; გაზის განაწილების ქსელის განვითარება; სტატისტიკის დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა; ტემპუსი – უმაღლესი განათლების განვითარება და რესტრუქტურირება; ქართულ-ევროპული პოლიტიკის და სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შექმნა და ა.შ. 1992–2006 წლებში ევროკომისიამ ტასისის ფარგლებში საქართველოში ასობით პროექტის განსახორციელებლად 131 მილიონამდე დახმარება გამოყო (ცენტრი).

### **ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (European Neighborhood Policy Instrument/ENPI)**

ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი (ENPI) იყო ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას და 2007 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტმა ჩაანაცვლა თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: TACIS (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის) და MEDA (ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის). ამ თვალსაზრით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი უზრუნველყოფდა ამ პროგრამებში არსებული სტრატეგიული ხაზის გაგრძელებას. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულებების გაზიარება, სტაბილურობისა და კეთილდღეობის არეალის შექმნა, ინტენსიური თანამშრომლობა და უფრო ღრმა ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრირება თანამშრომლობის სფეროების მთელი სპექტრის გათვალისწინებით. 2007-2013 წლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 16 სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნისა და რუსეთისათვის 11 მილიარდი ევრო შეადგინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ევროკავშირის დახმარება მისი სამეზობლოსათვის.

2007 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებას მოხმარდა. სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში 2007-2010 წლების საერთო ბიუჯეტმა 120 მლნ ევრო შეადგინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა (ცენტრი).

### **აღმოსავლეთ პარტნიორობა პარტნიორობის (Eastern Partnership - EaP)**

აღმოსავლეთ პარტნიორობა პარტნიორობა (Eastern Partnership - EaP) შეიქმნა 2009 წლის მაისში, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებსა და სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსს, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინას შორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. 2017 წლის ბრიუსელის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტმა მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც მოიცავს ფოკუსის ოთხი ძირითადი სფეროს (მძლავრი ეკონომიკა, ძლიერი მმართველობა, ძლიერი კავშირი და ძლიერი საზოგადოება), რომლის მიზანია წარმოადგინოს ხელშესახები ინფორმაცია თანამშრომლობის სარგებელი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში (Commission, 2019).

2008 წლის 3 დეკემბერს, ევროკომისიამ გამოაქვეყნა კომუნიკაცია “აღმოსავლეთ პარტნიორობის” შესახებ, რომელიც დამტკიცდა 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მიზნად ისახავს შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობას, მიაღწიონ ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასევე, ის ითვალისწინებს მობილურობის გაძლიერებას და მომზადებულ პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ეტაპობრივ გაუქმებას, შესაბამისი სამოქმედო გეგმის აღსრულების გზით, კარგად მართული და უსაფრთხო გარემოს პირობებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობა არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, არამედ ის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ვითარდება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს: ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით ახალი, უფრო ფართო საკონტრაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მრავალმხრივი თანამშრომლობა კი უზრუნველყოფს ახალ ფორმატს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

საქართველო აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაციის მიმართულებით „აღმოსავლეთ პარტნიორობით“ გახსნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენების გზით, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ პოლიტიკას საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განხორციელებისათვის. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ევროკავშირისა და, კონკრეტულად,

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სათანადოდ წარმოჩენას, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება.

### **დასკვნა**

საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას. თუმცა ასოცირების შეთანხმება არ არის გარანტი, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, არამედ საშუალებაა იმისა, რომ ქვეყანა უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს.

პრობლემა საქართველოს დემოკრატია და კანონის უზენაესობა პოლიტიკური კულტურის დეფიციტში მდგომარეობს. საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტი არ არის ბოლომდე მზად, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით მიჰყვეს დემოკრატიულ დინებას.

ეკონომიკური განვითარების დონე, კორუფცია, მიგრაცია, კანონის უზენაესობა, შიდა დაპირისპირებები და არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად აფერხებს ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. თუმცა საქართველო ევროკავშირის მხრიდან რეგიონში „მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად“ და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის ლიდერად მიიჩნევა.

„ევროპული პერსპექტივის“ მინიჭება/აღიარება იძლევა გაწევრიანების დაპირებას რომელიც ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს საქართველოს. აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩარჩოდ აღმოსავლეთ პარტნიორობა რჩება.

## Bibliography

Commission, E. (2019). Future of the Eastern Partnership – Have your say! Retrieved from <http://eapcivilsociety.eu/news/civil-society-news/future-of-the-eastern-partnership-have-your-say.html>

Georgia, D. o. (2018). Georgia and the EU. Retrieved from EEAS: [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/49070/georgia-and-eu\\_en](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/49070/georgia-and-eu_en)

Georgia, M. o. (n.d.). *National Security Concept of Georgia*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of Georgia: <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx?lang=en-US>

Goletiani, T. (2015). *Georgia's progress and challenges on the path to the EU*. თბილისი.

თბილისი, ლ. ა. (n.d.). ტასისი (TACIS - Technical Assistance to the Commonwealth of Independent States). Retrieved from <http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/379-tasisi-tacis-technical-assistance-to-the-commonwealth-of-independent-states.html>

ინსტიტუტი, ს. პ. (2018, მაისი). გამოწვევები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ექსპერტთა შეფასება. თბილისი. Retrieved from ექსპერტთა გამოკითხვა #6: <http://gip.ge/wp-content/uploads/2018/05/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%906.pdf>

ცენტრი, ს. დ. (n.d.). თანამშრომლობის ისტორია. Retrieved from <http://infocenter.gov.ge/euinfo-georgia-history/>

ევროკავშირის დახმარების ინსტრუმენტები პოსტსაბჭოთა სივრცეში  
(საქართველოს მაგალითზე)

მირანდა მიქაძე  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეორე კურსის დოქტორანტი  
ეკატერინე ლომია  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეორე კურსის დოქტორანტი

**აბსტრაქტი**

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, იწყება. 1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და ძირითადად, შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. სწორედ ევროკავშირის შუალემალობით მოეწერა ხელი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს.

სტატია მიზნად ისახავს, პირველად და მეორეულ წყაროებზე დაყრდნობით, გავაანალიზოთ ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ახლავს თან საქართველოს ევროკავშირისკენ ინტეგრაციის გზაზე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ევროკავშირი, უსაფრთხოება



**EU Assistance Instruments in the Post-Soviet Space  
(Case study Georgia)**

**Miranda Mikadze**

Second-year PhD student at Caucasus International University

**Ekaterine Lomia**

Second-year PhD student at Caucasus International University

**Abstract**

The EU-Georgian relations began following the dissolution of the Soviet Union, after which Georgia regained independence. In 1992, the European Union recognized Georgia as an independent state and started mutual cooperation with it. Initially, this cooperation was of low intensity and was mainly limited to humanitarian and technical assistance to Georgia. The EU-Georgian relations have grown steadily over the years. Bilateral relations have become more intense since 2003, when Georgia actively implemented political and economic reforms. New phase in these relations begins on June 27, 2014, when the Association Agreement was signed between the European Union and Georgia.

The EU actively supports Georgia's sovereignty and territorial integrity within its internationally recognized borders. The ceasefire agreement was signed within the mediation of the EU in 2008 which marked the ending of Russian-Georgian war.

The article aims to analyze the key challenges in the EU-Georgian relations on the path to Georgia's European integration.

**Outils d'assistance de l'UE dans l'espace post-soviétique  
(exemple géorgien)**

**Miranda Mikadze**

Deuxième cours doctorant à l'Université internationale du Caucase

**Ekaterine Lomia**

Deuxième cours doctorant à l'Université internationale du Caucase

**Résumé**

Les relations entre la Géorgie et l'UE commencent avec l'indépendance de la Géorgie. En 1992, l'Union européenne a reconnu la Géorgie en tant qu'État indépendant et a commencé à coopérer avec elle. Initialement, cette coopération était de faible intensité et se limitait principalement à une assistance humanitaire et technique à la Géorgie. La coopération entre l'UE et la Géorgie s'est développée progressivement au fil des ans. Les relations bilatérales sont devenues plus intenses depuis 2003, lorsque la Géorgie a commencé à poursuivre activement les réformes politiques et économiques. Une phase entièrement nouvelle dans ces relations commence le 27 juin 2014, lors de la signature de l'accord d'association.

L'UE soutient activement la souveraineté et l'intégrité territoriale de la Géorgie à l'intérieur de frontières internationalement reconnues. L'accord de cessez-le-feu a été signé par l'UE en 2008 lors de la guerre d'août entre la Russie et la Géorgie.

Cet article vise avant tout à analyser les principaux défis qui accompagnent les relations entre la Géorgie et l'Union européenne sur la voie de l'intégration de la Géorgie à l'Union européenne.

## ანტიბიოტიკების კომპლექსური ნაერთის მოქმედება ზოგიერთ

### მიკროორგანიზმებზე

ირინა ხატიაშვილი, თამარ შიუკაშვილი, ილონა საყვარელიძე

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

**შესავალი.** კბილის დაავადებებს მიეკუთვნება კბილის მაგარი და რბილი ქსოვილების დაზიანება . ეს დაავადებები განსხვავებულია კლინიკური გამოვლინებებით და იწვევს ანთებით პროცესებს . განსაკუთრებით გავრცელებულია კარიესი , რომლითაც დაავადებულია მოსახლეობის 40-90% .კარიესული პროცესების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს პირის ღრუს მიკროფლორა. მიკროორგანიზმების საშუალებით იშლება კბილის მაგარი ქსოვილები, რასაც მივყავართ პულპიტამდე და პერიოდონტიტამდე [1] .პერიოდონტიტების მკურნალობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კბილების არხების სტერილობა რათა ბჟენის დადების შემდეგ არ მოხდეს ანთებითი პროცესების განვითარება [2]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი რომელიც ეხება მიკროორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობას ანტისეფტიკური ნივთიერებების ზემოქმედებით . აქტუალურია საკითხი ანტიბიოტიკების კომპლექსურად მოქმედების შესწავლის შესახებ .

### კვლევის ობიექტები და მეთოდები

კომპლექსურ ნაერთთა ანტიმიკრობული სპექტრის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგი დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად სამკურნალო პრეპარატების გამოყენების საქმეში [3] ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის ანტიმიკრობული სპექტრი ცალ-ცალკე და აგრეთვე კომპლექსური ნაერთები სახით . ტესტ ობიექტად გამოვიყენეთ შემდეგი ბაქტერიები : *Escherichia coli* ,*Staphylococcus aureus* *Bacillus subtilis* ,*Staphylococcus sp* , აქტინომიცეტები *Actinomyces greseus* ,*Nocardiosis dessonvillei* და *Elythrosporangium brasiliense* .

ვიყენებთ შემდეგ საკვებ არეებს: აქტინომიცეტებისთვის - კრასილნიკოვის CP-1საკვებ არეს, ბაქტერიებისთვის - ხორცპენტონიან აგარს(ხპა).

ანტიბიოტიკების მოქმედება მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებაზე შესწავლილ იქნა (ჰის) და ქაღალდის დისკის მეთოდი [4] გამოკვლეულ იქნა სამკურნალო პრეპარატები *Cicatrene* (10მგ/მლ), *Dermacombin* (საცხი), *Neosporin* (საცხი), *Septomixine forte* (საცხი) ანტიმიკრობული სპექტრი (ცრხილი 1) .

კვლევის შედეგები და მათი განსჯა

ანტიბიოტიკების გავლენა ზოგიერთი მიკროორგანიზმის ზრდა-განვითარებაზე

ცხრილი 1

მიკროორგანიზმები	ანტიბიოტიკები			
	Cicatrene	Dermacombin	Neosporin	Septomixine forte
	დათრგუნვის ზონის სიდიდე,მმ	დათრგუნვის ზონის სიდიდე,მმ	დათრგუნვის ზონის სიდიდე,მმ	დათრგუნვის ზონის სიდიდე,მმ
<i>Elythrosporangium brasiliense</i>	14,5	13,75	4,25	17,5
<i>Actinomyces griseus</i>	11,0	6,0	0,0	10,5
<i>Staphylococcus aureus</i>	9,5	8,75	2,5	13,0
<i>Escherichia coli</i>	8,0	9,5	2,5	14,5
<i>Bacillus subtilis</i>	8,5	8,0	2,25	13,0
<i>Nocardiosis dessonvillei</i>	15,0	12,5	4,0	16,5
<i>Sreptococcus</i>	5,0	5,0	0,0	11,0
<i>Actinomyces streptomycini</i>	14,5	10,25	4,5	14,25

როგორც ცხრილიდან ჩანს აღნიშნული ნივთიერებები შერჩევითად მოქმედებენ საკვლევი კულტურების ძრდა განვითარებაზე . შედარებით მაღალ აქტივობას ავლენს Septomixine forte და Cicatrene (დათრგუნვის ზონის სიდიდეა 8,0 -17,5მმ ) გამონაკლის წარმოადგენს სტრეპტოკოკი, რომლის მიმართ ეს ნივთიერებები შედარებით დაბალ აქტიურია ( დათრგუნვის ზონის სიდიდეა 5,0მმ) რაც შეეხება Neosporinს, იგი ნაკლებ აქტივობას იჩენს საკვლევი კულტურების მიმართ , Dermacombin აქტივობას ავლენს ყველა მიკროორგანიზმზე (დათრგუნვის ზონის სიდიდეა 5,0-13,75მმ).

შემდგომი კვლევისათვის დავამზადეთ ზემო აღნიშნული ნივთიერებების სხვადასხვა კონცენტრაციების კომბინაციები :

- 8. Dermacombin + Neosporin + Septomixine forte (1:1:1)
- 9. Dermacombin + Septomixine forte (1:1)
- 10. Neosporin + Septomixine forte (1:1)
- 11. Dermacombin + Neosporin (1:1)
- 15. Cicatrene (50მგ/მლ) + Neosporin (50მგ/მლ) (1:1)
- 16. Cicatrene (100მგ/მლ) + Septomixine forte (50მგ/მლ) (1:1)
- 17. Cicatrene (100მგ/მლ) + Dermacombin (50მგ) (1:1)
- 18. Cicatrene (100მგ/მლ) + Septomixine forte (50მგ/მლ) + Dermacombin (50მგ/მლ) (1:1:1)

შევისწავლეთ ამ კომპლექსური ნაერთების მოქმედება გამოსაკვლევი კულტურების ზრდა განვითარებაზე შედეგი მოცემულია (ცხრილი 2)

ანტიბიოტიკების კომპლექსური მოქმედება მიკროორგანიზმების ზრდა-განვითაებაზე  
ცხრილი 2

მიკროორგანიზმები	კომპლექსური ნივთიერებები							
	8	9	10	11	14	16	17	18
<i>Elythrosporangium brasiliense</i>	17	20,0	14,0	12,0	9,0	19,0	12,0	20,0
<i>Actinomyces griseus</i>	13,0	24,5	13,5	9,5	6,0	20,0	9,0	15,0
<i>Staphylococcus aureus</i>	8,0	8,0	6,0	7,0	4,0	9,5	6,0	8,0
<i>Escherichia coli</i>	7,0	8,0	7,0	5,5	4,0	9,5	6,5	9,0
<i>Bacillus subtilis</i>	8,0	9,0	7,0	5,0	4,0	10,0	5,5	10,0
<i>Nocardiosis desonvillei</i>	21,0	22,0	17,0	9,0	6,0	23,0	11,0	21,0
<i>Sreptococcus</i>	8,0	11,0	8,0	6,75	5,0	10,0	5,75	10,0
<b>Actinomyces streptomycini_14,0• 13,5 13,5</b>								

როგორც ცხრილიდან ჩანს ანტიბიოტიკების კომპლექსური მოქმედება საკვლევი კულტურების მიმართ სხვადასხვაგვარია .აღნიშნული კომპლექსების მოქმედება მაღალეფექტურია ნოკარდიების მიმართ ამ პრეპარატების თავდაპირველ აქტივობასთან შედარებით . Dermacombin + Neosporin + Septomixine forte ნაერთთა კომპლექსი ძლიერად მოქმედებს *Nocardiosis desonvillei* (დათრგუნვის ზონის სციდიდეა 21მმ ) და Dermacombin + Septomixine forte მოქმედებენ *Nocardiosis desonvillei* (დათრგუნვის ზონის სციდიდეა 22მმ). ასევე მოქმედებენ აქტიურად აქტინომიცეტ *Elythrosporangium brasiliense* (დათრგუნვის ზონის სციდიდეა 17-20მმ) ასევე დიდი აქტიობით გამორჩევა კომპლექსი . cicitrene (100მგ/მლ) + Septomixine forte (50მგ/მლ) + Dermacombin (50მგ/მლ) , რომელიც მოქმედებს ყველა მიკროორგანიზმზე დათრგუნვის ზონა იწყება 8მმ და 21მმ-მდე).

### დასკვნა

ჩვენს მიერ მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს რომ ანტიბიოტიკების კომპლექსური მოქმედება მთელი რიგი მიკროორგანიზმების მიმართ უფრო ეფექტურია , ვიდრე ზოგიერთი მათგანის ცალ-ცალკე

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Козионова Н.А Сравнительные аспекты использования различных лекарственных препаратов для медикаментозной обработки при лечении кариеса и пульпита // Автореферат дисс.канд.мед.наук М.1988,с.17
- 2.Димитриева Н.А ,Хазанова В.В Особенности возбудителей различных воспалительных процессов в челюстно-лицевой области .Стоматология,1987,№2,с 29-31
- 3.Klimm W , et ,ol,Zum antimikrobiellen verschidener Wurzelkanal-antseptika Stomatol 1989,Bd.39,A2 ,p.73-77.
- 4.Егоров Н.С . Выделение микробов-антагонистов и биологические методы учёта их антибиотической активности. М.:Изд-во МГУ,1957,с.77.

## ანტიბიოტიკების კომპლექსური ნაერთის მოქმედება ზოგიერთ მიკროორგანიზმებზე

ირინა ხატიაშვილი, თამარ შიუკაშვილი, ილონა საყვარელიძე  
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

### რეზუმე

შესწავლილია პირის ღრუს მიკროორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობა ანტიმიკრობული ნივთიერებების ზემოქმედებით. გამოვიყენეთ ჯერ ერთეული ანტიბიოტიკები - cicitrene, demacombin, neosporin, septomixine forte, მერე-მათი კომპლექსური ნაერთი. ტესტ ობიექტს წარმოადგენდნენ ბაქტერიები -Escherichia coli ,Staphylococcus aureus Bacillus subtilis, Staphylococcus sp, და აკტინომიცეტები. Actinomyces greseus, Nocardiosis dessonvillei და Elythrosporangium brasiliense . მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს რომ ანტიბიოტიკების კომპლექსური მოქმედება უფრო ეფექტურია ვიდრე ზოგიერთის ცალ-ცალკე.

**საკვანძო სიტყვები:** ანტიბიოტიკები, აკტინომიცეტები, ბაქტერიები, კარიესი, მიკროორგანიზმები.

## **The action of a complex antibiotic compound on some microorganisms**

**Irina Khatiashvili, Tamar Shiukashvili, Ilona Sakvarelidze  
Tbilisi Humanities Teaching University  
Ilia State University Botany Institute**

### **Summary**

The viability of oral microorganisms with exposure to antimicrobials has been studied. We first used single antibiotics - cicatrene, demacombin, neosporin, septomixine forte, then their complex compound. The test object was bacteria -Escherichia coli, Staphylococcus aureus Bacillus subtilis, Staphylococcus sp, and actinomycetes. Actinomyces greseus, Nocardiosis dessonvillei and Elythrosporangium brasiliense. Analysis of the obtained results shows that the complex action of antibiotics is more effective than some alone.

**Keywords:** Antibiotics, Actinomycetes, Bacteria, Caries, Microorganisms.

## **L'action d'un composé antibiotique complexe sur certains microorganismes.**

**Irina Khatiashvili, Tamar Shiukashvili, Ilona Sakvarelidze  
Université d'enseignement des sciences humaines de Tbilissi  
Institut de botanique de l'Université d'État d'Ilia**

### **Rezume**

La viabilité des microorganismes oraux exposés à des antimicrobiens a été étudiée. Nous avons d'abord utilisé des antibiotiques simples - cicatrène, démacombine, néosporine, septomixine forte, puis leur composé complexe. L'objet à l'essai était une bactérie: Escherichia coli, Staphylococcus aureus Bacillus subtilis, Staphylococcus sp et des actinomycètes. Actinomyces greseus, Nocardiosis dessonvillei et Elythrosporangium brasiliense. L'analyse des résultats obtenus montre que l'action complexe des antibiotiques est plus efficace que certains seuls.

**mots clés:** Antibiotiques, Actinomycètes, Bactéries, Caries, Microorganismes.

ავტორთა საჭურავლევოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას.  
რედაქცია პასუხს არ აბებს წარმოღვენილი მასალების სიზუსტეზე.  
იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოღვენილი სახით.

**Notice to the authors:**

**The authors and the redaction may have different points of view.**

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაკალაღვის  
რაიონულ სასამართლოში  
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registered at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi

Number of registration - 1/9-68

**EAN 9771987830003**

ტირაჟი 100